

EXCLUSIVE

europe-bet.com



„ითამაშე
ვარსკვლავთან
ერთად“
„პრემიერისა“
და „ევროპაბეტის“
საჩუქარი ფანჯურის
გულშემატკივარს
„ვფიქრობ, პროექტი შედგა“



სკანდალური
გადადგომების
სერია პრეზიდენტის
ადმინისტრაციაში



რა მოხდა დუბეთში
მარგველაშვილის აბარაკზე
რატომ დაუპირისპირდნენ
ერთმანეთს აბაშიძე
და მაჭავარიანი

EXCLUSIVE

რა სქემით
ეუფლებოდნენ
კლიენტების საბარათთა
მონაცემებს ბარის
მფლობელი და
მიმტანი?



ირაკლი ლარიბაშვილი: „მინდა მივულოცო „ქართული ოცნების“
თბილისის მერობის კანდიდატს დავით ნარმანიას გამარჯვება.
დღევანდელი გამარჯვებით ჩვენმა კოალიციამ დაადასტურა,
რომ ჩვენ ნამდვილად ვართ უალტერნატივო ძალა“

ექსკლუზიური ინტერვიუ

„გული მწყდება,
თვითონ
სტურუამ რატომ
მიიღო ასეთი
გადანყვეტილება?!
30 წლის
განმავლობაში რაც
ერთად გვიკეთებია
და გვიშრომია,
ერთ მშვენიერ
დღეს ყველაფერ
ამის მოშობა,
დანგრევა და
სანაგვე ყუთში
გადაგდება რატომ
მოინდომა?!“



ზაზა პავუაშვილი თეატრის შესახებ კანონში ცვლილებების
შეთანხმება და როგორც სტურუასთან დაპირისპირებაზე



როგორ აისახება
გასწვნილი ცხედრებიდან
გამოქონილი ტოქსინები
გოგირდის წყლებზე,
რითაც საბურთალოს
ნაწილი მარაგდება?

SOS!

SCANDAL

EXCLUSIVE
საპარტნიორო ფონდის
ენერგოპროექტის
განხორციელება
აქტიურ ფაზაშია



EXCLUSIVE



სიყვარულში
ბევრჯერ
იგეგმავს რეალური
მეგობრული ურთიერთობის



სააკაშვილის რეჟიმის გაუიფრული კორუფციული
სქემა და 9-წლიანი ბიზნესტერორის ქრონიკა

EXCLUSIVE



ვისგან შეიტყო
პრეზიდენტმა ბიძის
ჩრდილოვანი
შემოსავლების შესახებ?

რა ბრძოლა წააგო
სააკაშვილმა ფვანასთან
პრემიერის გარდაცვალებამდე
ორი თვით ადრე?

რომელ მინისტრს
რომელ კომპანიაში
ჰქონდა პირადი
ინტერესები?

რა ხრიკებით უწევდა
ბიზნესმენს თავდაცვა
სახელმწიფოს
ტერორისგან?

SCANDAL
VIP პატიმარმა ციხის დირექტორის კაბინეტში
ინგლისურის მასწავლებელი გააუპატიურა

პარტიზმი

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება, საზოგადოებას, საკუთარ პოლიტიკურ გუნდს და კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს, პირველმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მიულოცა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლის ნდობისთვის და განაცხადა, რომ ამ არჩევნებით საქართველომ ევროპისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ყველას დაანახა, რომ ქვეყანა მზად არის მსოფლიოს სრულფასოვლებიან წევრად იქცეს.

ირაკლი ლარიაშვილი: „პირველად საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ჩვენ მივიღეთ მრავალპარტიული საკრებულოები თითოეულ ქალაქსა და თითოეულ რაიონში. ეს არის ჩვენი რეალური დემოკრატიის გამარჯვება. ამიტომ მე კიდევ ერთხელ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ვულოცავ ქვეყნის არჩევნების სრულფასოვლიან არჩევნების ჩატარებას.“

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებმა ჩაიარა სერიოზული დარღვევების გარეშე. დაფიქსირებულ მცირე დარღვევებსა და ინციდენტებზე კი, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციამ, ისე პოლიციამ რეაგირება უკვე მოახდინა და იმედი მაქვს, გამოიძიებს მიყვანენ ბოლომდე. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ცესკოს საარჩევნო პროცესის კარგი ორგანიზებისთვის, რამაც უზრუნველყო რეალურად მოსახლეობისთვის არჩევნის თავისუფლად გაკეთების საშუალება. მადლობას ვუხდით ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საარჩევნო პროცესში გამოჩენილი აქტიურობისა და ობიექტურობისთვის.

ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ევროპისკენ და ვაჩვენეთ მსოფლიოს, რომ ჩვენი ქვეყანა მზად არის ცივილიზებული მსოფლიოს სრულფასოვლებიან წევრად იქცეს. ჩვენი მონაცემებით და ეგზიტპოლის მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო ყველა დიდ ქალაქში. მინდა მიულოცო „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატს დავით ნარმანიას გამარჯვება. დღევანდელი გამარჯვებით ჩვენმა კოალიციამ დაადასტურა, რომ ჩვენ ნამდვილად ვართ უალტერნატივო ძალა.“

ვაზიტაშვილი

მთავარი, რაც ამ ადგილობრივმა არჩევნებმა ნათლად გამოკვთა, ეს ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემაა. ასეთი ტენდენცია პირველად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოიკვეთა, გაგრძელდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე და გასაკვირი არ არის, რომ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებიც სწორედ ამაზე მეტყველებს.

წინა ბურჟუაზიის ისე ძირითადი სათამაშო მოედნის მიღმა რჩება. საიხლე კი ის არის, რომ დამატებითი შემოვიდა სათამაშო არენაზე „პატრიოტთა ალიანსი“. ირმა ინაშვილის დებუტი პოლიტიკაში შთაბეჭდილება მონაცემებით შედგა. საინტერესოა, რამდენად შეძლებს ჟურნალისტი პოლიტიკაში ამ მონაცემების გაუმჯობესებას.

თუმცა, ეს ციფრებში. რეალურად კი, საკრებულოში ნაციონალები სრულ უმცირესობაში შეიძლება აღმოჩნდნენ. სავარაუდოდ, არც ბურჟუაზიამ და არც „პატრიოტთა ალიანსი“ მათთან არ თანამშრომლობენ. ისინი უფრო ხელისუფლების მოკავშირეები იქნებიან.

საინტერესოა, რომ „რუსთავი 2“-ის მონაცემებით ეგზიტპოლებში მეორე ტური დაფიქსირდა, „იმედის“ ეგზიტპოლებში კი არჩევნები პირველივე ტურში ნარმანიას გამარჯვებით დასრულდა. შესაბამისად, ნაციონალებმა „რუსთავი 2“-ის მონაცემების საფუძველზე იზიემეს გამარჯვება, „ქართულმა ოცნებამ“ კი „იმედის“ მონაცემებზე დაყრდნობით დავით ნარმანია თბილისის მერად გამოაცხადა.

ისე ჩანდა, თითქოს ნაციონალებმა უკვე დაიწყეს კიდევ მეორე ტურისთვის მზადება, როცა ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდეს.

გოკა გაბაშვილი:
– „ნაციონალური მოძრაობა“ არის პარტია, რომელმაც მიაღწია მეორე ტურს და არის პარტია, რომელიც არის ამ მთავრობის მთავარი ალტერნატივა... მსურს, მივმართო დანარჩენ ოპოზიც-



იურ ძალებს, ჩვენ გვაქვს შანსი, უკმაყოფილო მოსახლეობის ხმები გავერთიანოთ და მმართველი გუნდი დავამარცხოთ. თუმცა, ნაციონალების მონაწილეს არაფერს გამოხმაურება. ის ერთადერთი ოპოზიცია არ იყო, ვინც თავი გამარჯვებულად გამოაცხადა. თბილისის მერობის სხვა კანდიდატებმაც განაცხადეს, რომ მათ ბრძოლა მოიგეს. „ლეიბორისტული პარტიის“ მერობის კანდიდატმა ასმით ტყაბლაძემ ეგზიტპოლების შედეგებს სასაცილო უწოდა:

– სასაცილოა, მე ვერ არ მინახავს თბილისში ადამიანი, რომელიც ნარმანიასა და „ოცნებას“ ატლებს ხმას, სასაცილო ვერ ის არის, რომ 30-მა პროცენტმა მიიღო მხოლოდ მონაწილეობა, ეს უკვე რას ნიშნავს? რამდენმა ადამიანმა განაცხადა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. ამბობდნენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, ახლა დავრწმუნდი, რომ მართლა ბინძური ყოფილა...“

წინა ბურჟუაზიის ოფისიდან განცხადება გია კობახიძემ გააკეთა:

– სრულიად სამარცხენოდ და უტიფარი ეგზიტპოლის შედეგებია. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან ბევრ რაიონსა და ქალაქში ვართ მეორე ტურში გასული, ზოგიერთში კი გვაქვს პირველი ადგილის შედეგი.

ირმა ინაშვილი, „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი:

– ეს არის ტყუილი და სიყალბე. საზოგადოებაში არის შიში და ამომრჩევლები არ ასახელებდნენ, ვის მისცეს ხმა. მანტერესებს, როგორ ჩატარდა ეგზიტპოლები. მეორე ადგილი ჩვენია...“

ინფორმაციისთვის: თბილისის საკრებულოში 47 ვაკანტური მანდატია. აქედან 22 დეპუტატი აპოკრიფარობის სისტემით აირჩევა, 25 კი – პროპორციული სითი.

„ნაციონალური მოძრაობა“, როცა ის ხელისუფლებაში იყო, ოპოზიციისგან არჩევნების შედეგების არა უბრალოდ აღიარებას მოითხოვდა, არამედ ნაგებულს მოუწოდებდა. გამარჯვებულისთვის ხელი ჩამოერთმია. ასე ჩამოართვა ხელი თავის დროზე ირაკლი ალასანიამ გიგი უგულავას და გამარჯვება მოულოცა.

თუმცა, ახლა, როცა „ქართული ოცნება“ გამარჯვებულია, ნაციონალებმა პირველი, რაც გააკეთეს, ნარმანიას გამარჯვება ეჭვქვეშ დააყენეს და ხელის ჩამორთმევაზე არც კი უფიქრიათ.

რატომ არ დაესწრო გიორგი მარგველაშვილი კოალიციის ზეიმს

გიორგი მარგველაშვილმა დავით ნარმანიას გამარჯვება გუნდთან ერთად არ იზეიმა. მას „ქართული ოცნების“ ოფისში არც არაფერი ელოდა. გამარჯვება მის გარეშე იზეიმეს, მის გარეშევე გახსნეს შამპანური და ასევე, მის გარეშე გაუშვეს ორმოცდაერთმომრანი საპარეო ბურთები ცაში.



გიორგი მარგველაშვილი არჩევნების დღეს ერთადერთხელ გამოჩნდა. ისიც მაშინ, როდესაც საკუთარ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად დილის 8 საათზე მივიდა. დღის ბოლოს კი ქართველ ხალხს არჩევნების მშვიდობიანი დასრულება მოულოცა.

უმრავლესობაში მარგველაშვილთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო. ნაწილი ჟურნალისტებს უმტკიცებდა, პრეზიდენტი წუთიწუთზე მოვაო. იგივე განაცხადა ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ „პრამიტიბიონ“ საუბრისას, პრეზიდენტს ველოდებით, უკვე მოდის... მაგრამ მარგველაშვილს კოალიციის შტაბში მისვლა არც კი უფიქრია. „ოცნების“ მეორე ნაწილი იურიდიულად ხსნიდა მარგველაშვილის არყოფნის მიზეზს.

ირინა იმერლიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი:

– დაძაბულობა პირადად მე არასოდეს მიგრძნია პრეზიდენტსა და გუნდს შორის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბატონმა ბიძინამ ტელევიზიის მეშვეობით გააუღერა განცხადებები. პრობლემები ყო-



ველდლიურ ურთიერთობაში მათ შორის ნამდვილად არ ყოფილა.

– რატომ არ მივიდა პრეზიდენტი ოფისში?

– პრეზიდენტი არ არის კონსტიტუციით ერთი პარტიის პრეზიდენტი და ეს ძალიან კარგია. მარგველაშვილი არის საქართველოს პრეზიდენტი და მან გადაწყვიტა, რომ არ დაესწროს თუნდაც მმართველი პარტიის სადღესასწაულო ღონისძიებას.

– თუმცა მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი საუბარია შიდა დაპირისპირებაზე, არ ფიქრობთ, რომ მისი არყოფნა კიდევ უფრო ბევრ კითხვას გააჩენს?

– ნამდვილად არ ვფიქრობ ასე, არ განცხადებთ კითხვები, რადგან ბატონმა პრეზიდენტმა ბევრჯერ დააფიქსირა თავისი პოზიცია და მზარდად წარმანიას მიმართა.

დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა დავით ბერძენიშვილმაც. უმრავლესობის წევრი დარწმუნებულია, რომ მარგველაშვილის არყოფნა კითხვებს არ გააჩენს, რადგან ის ქვეყნის პრეზიდენტია და არანაირად არ იყო ვალდებული, ნარმანიას გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე გამოცხადებულიყო...“

დავით ბერძენიშვილი:

– პრეზიდენტი არ არის პარტიის წევრი, ის ქვეყნის პრეზიდენტი და ახსნაც არ სჭირდება ამას.

სასჯულალსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი ვარაუდობს, რომ ნაციონალებისთვის თვითმმართველობის

არჩევნები ბოლო იქნება. საკუთარ მოსაზრებას სუბარი აკონკრეტებს, თუმცა ადასტურებს, რომ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში „ქართულმა ოცნებამ“ 80% აიღო. თავადვე ადასტურებს, რომ მსგავსი შემთხვევა ერთადერთ რეგიონში დაფიქსირდა, თუმცა მიაჩნია, რომ ის საკმარისია „ქართული ოცნებისადმი“ დამოკიდებულების დასანახად.

სოზარ სუბარი, სასჯულალსრულების მინისტრი:

– იმ მონაცემებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, არანაირი მეორე ტური არ იქნება. „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად ლიდერობს როგორც თბილისში, ასევე ყველა რეგიონში. გეტყვით, რომ ეს შეიძლება „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ბოლო არჩევნები იყოს.

მისივე განცხადებით, მინისტრთა კაბინეტში არ იგეგმება არანაირი ცვლილება. თუმცა ვერ კიდევ დიდი ხნის წინ ანონსდებოდა საკადრო ცვლილებები სწორედ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ. სოზარ სუბარი აღნიშნულ ინფორმაციას ჭორებს უწოდებს და მიაჩნია, რომ მას სიმართლესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

სოზარ სუბარი:

– ისეთი კითხვა, რატომ უნდა ველოდებოდე ცვლილებებს? ზოგადად რომ ავიღოთ, ცვლილებები შეიძლება ყოველთვის მოხდეს, მაგრამ ამ წუთისთვის არაფერი იგეგმება, ამ ხმებს ვილატები ავრცელებდნენ და ვილატების ნათქვამზე მე რა კომენტარი გავაკეთო.

ოპოზიცია აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დროზე ადრე აღნიშნა გამარჯვება, რადგან მიაჩნიათ, რომ მეორე ტური გარდაუვალია. რადიკალურად განსხვავებული განცხადებები კეთდება თავად ოცნებაში. ნარმანიამ მილოცვები პირველივე ეგზიტპოლის გამოცხადებისთანავე მიიღო და სამომავლო გეგმებიც იქვე დასახა.

დავით ნარმანია:

– ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე, ერთად ვიზრუნოთ თბილისზე. ჩვენ კიდევ ერთხელ დაფუძკიცეთ ქვეყანას, რომ ღირსნი ვართ, ვიცხოვროთ თავისუფალ საქართველოში. მოუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ჩვენ არასდროს შეგვაპრივა ეჭვი საკუთარ სამართლიანობაში. თქვენმა შემართებამ, ერთგულებამ, თავისუფალი არჩევნების ჩატარებამ შედეგი გამოიღო და მთელი საქართველო ამას ზეიმობს. მადლობა უზარმაზარი ნდობისთვის, შეუდრეკელობისთვის და რწმენისთვის. ერთად ბევრი



ნიკა მელია: „თბილისელებს დიდი ნაწილისთვის მიუღებელია დედაქალაქის მერი, რომელიც ანგარიშვალდებულო იქნება მხოლოდ ერთი ადამიანის წინაშე“

ეგზიტპოლის პირველი შედეგების გამოცხადების შემდეგ „პრამიტიბიონ“ ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატს, ნიკა მელიას გაესაუბრა:

– ეს იყო ჩემთვის ზეპარტიული არჩევნები, სადაც თითოეულ თბილისელს უნდა ჰქონოდა განცხადება, რომ მათ მიერ არჩეულ ადამიანს არ აქვს უფლება, ერთი რომელიმე პარტიის ინტერესს ატარებდეს. ამ არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ თბილისელების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია დედაქალაქის მერი, რომელიც ანგარიშვალდებულებული იქნება მხოლოდ ერთი ადამიანის წინაშე. საზოგადოების განწყობები კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა. ზოგადად, თავმდაბლობა ადამიანში არის ყველაზე დიდი ღირსება, ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩვენ მთელი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გვესმოდა, რომ მეორე ტური არ იქნებოდა.

paparazzi



ომ გამარჯვებულის განწყობა გვაქვს თბილისშიც და ყველა დიდ ქალაქშიც. ამომრჩეველთა უმრავლესობამ დაუდასტურა საკუთარი ნდობა „ქართულ ოცნებას“. იმედი მაქვს, რომ ერთგვარი დაგვიანებით ნიკა მელია მორჩება ჰიპოთეტურ პერსპექტივებზე ლაპარაკს და მიულოცავს დათო ნარმანიას. ალბათ, როგორც მოქცა ბაქრაძე, ისევე მოიქცევა მელიაც. შესაძლოა, ოდნავ დაგვიანებით“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

ბურჯანაძე ქუჩის საპროტესტო აქციებს არ გამოირჩევა

„ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ საარჩევნო პროცესებში არსებულ დარღვევებზე საუბრობს და უნდობლობას უცხადებს თვითმმართველობის არჩევნების ეგზიტპოლის შედეგებს, რომლის მიხედვითაც კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, დავით ნარმანიას გამარჯვება პირველივე ტურში დადგა.

როგორც „ერთიანი ოპოზიციაში“ აცხადებენ, თუკი ცენტრალური საარჩევნო კომისია იგივე შედეგებს დადებს, ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული პროცესები დაიწყება და ბურჯანაძის გაერთიანება შესაძლოა, ქუჩაში ვიხილოთ.

როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები და რა გეგმები აქვს ნინო ბურჯანაძეს? „პრაიმტიმთან“ ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი საუბრობს:

– მხოლოდ საქართველოა ის ქვეყანა, სადაც ეგზიტპოლის შედეგებს აქვეყნებენ არჩევნების შედეგებიდან რვა საათით ადრე. ეს არის საზოგადოებაზე მანიპულირების საშუალება არჩევნების დასრულებისთანავე... დავინახეთ, რა დონეზე მოახერხა „ქართულმა



რამ გადავიტანეთ, მაგრამ ერთხელაც არ შეგვარავია ეჭვი ჩვენს გამარჯვებაში. ჩვენ დავუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ საქართველოშიც შესაძლებელია თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და სახელმწიფო შესაძლებელია, ხალხს ემსახურებოდეს. ხვალისთვის ჩვენ ერთად, ახალი ენერჯით ვაგაგრძელებთ ქვეყნის შენებას. საქართველო აღარასოდეს დაბრუნდება უკან, აღარასოდეს იცხოვრებს სიცრუეში. ჩვენ საბოლოოდ დავალაგებთ ქვეყანას და ერთად შევქმნით დიდ მომავალს. ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე, ერთად ვიზრუნოთ თბილისზე.

„არესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი მეორე ტურის საჭიროებას გამოირჩევა

„არჩევნებმა დაადასტურა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ არის უპირობო ლიდერი მთელ საქართველოში. დათო ნარმანიას თბილისში აირჩია თბილისის მერად ძალიან მაღალი ბარიერის პირობებში. დამაჯერებელი ჰქვია გამარჯვებას, როცა პირველივე ტურში იგებს, რადგან ამის ალბათობა მაღალია. ჩვენ მოვიპოვეთ საქართველოში დამაჯერებელი გამარჯვება. ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ვერ მოგვიახლოვდა, ერთმანეთში ჰქონდათ კონკურენცია. ამიტ-



ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სამარიდან ამოყვანა, თუ არა მათი გადარჩენა. საოცრება ხდება, ასეთი პოლიტიკური დილემანტიზმი არსად გვინახავს. ლარიაშვილი ულოცავს ნარმანიას, რომ მან გაიმარჯვა ეგზიტპოლის შედეგებში, პირველივე ტურში. პირველი პირის მიერ ასეთი რამის გაკეთება, არის ყოველად დაუშვებელი. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელმაც არ იცის, რომ ეგზიტპოლის შედეგებით არ შეიძლება მიულოცოს თავის კანდიდატს გამარჯვება. მით უმეტეს, როდესაც ზოგიერთი ეგზიტპოლის მიხედვით, ნარმანიამ პირველი ტური ვერ გადალახა. ეს არის ისტერიული ფონი, რომელიც შექმნილია „ქართული ოცნებაში“. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ამას მეოთხეხარისხოვანი როლი აქვს. ჩვენ ვამბობთ, როგორც კი პირველადი შედეგები დაიდება, უბნებში ხმების დათვლის შესახებ, სწორედ ამის მიხედვით განვსაზღვრავთ პროცენტულ მაჩვენებლებს. იმას, თუ რა მანიპულირებებს ჰქონდა ადგილი. ზოგადი აქტივობა იყო დაბალი და ჩვენ მოვუწოდებდით მოსახლეობას, რომ ისინი მისულიყვნენ არჩევნებზე. ჩვენ თავის ვიკავებთ კოკერეტული დასკვნებისგან, მანამ სანამ არ მივიღებთ მაჩვენებლებს, რათა განვსაზღვროთ ის პროცენტული მაჩვენებელი და გაყალბების ხარისხი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო.

– თუ ცესკომ ანალოგიური შედეგი დადო, რაც ეგზიტპოლის შედეგებს ეწინააღმდეგება, რა იქნება თქვენი რეაქცია?

– არავითარი ალიაზა ამ არჩევნებს არ ექნება, რადგანაც ეს პირდაპირპროპორციულად იქნება მანიპულირება და ორ პარტიას შორის გარიგებული არჩევნები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მოხდეს ამის ალიაზა და შეიძლება, ძალიან სერიოზული პროცესები დაიწყოს ამ არჩევნების შემდეგ.

– რას გულისხმობთ. შესაძლებელია, თქვენი პოლიტიკური ძალა ქუჩაში გამოვიდეს?

– ჩვენ გამოვიყენებთ კანონით დასაშვებ ყველა საპროტესტო ფორმას, აქციებს... მე ამას არ გამოვირცხავ, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამ ყველაფრის წინასწარ თქმა არ მინდა. ამაზე მას შემდეგ მიიღებს „ერთიანი ოპოზიცია“ გადაწყვეტილებას, რაც ჩვენ გვექნება შედეგი და იზოგორმაცია, როგორ დაითვალა ეს ყველაფერი უბნებში.

ქეთი ხატიაშვილი
მირიან ბოქლოშივილი
ხათუნა მგალობლიშვილი
ნანა შონია
სალომე გოგობია
ფოტო: თინა თუთისანი



სქემატი და ცხრანულიანი ბიზნესტერორის ქრონიკა...



EXCLUSIVE

„ცოტა ხანში ნახავთ, რომ მათ პრობლემები დაენწყებთ და ერთმანეთზე დაგვიდებენ ძალიან საინტერესო მასალებს. ამის განცხადების რეალური საფუძველი მაქვს. კეზერაშვილი ფლობს მათ სასიცოცხლო „საერთოს“ და ჩემი დახმარებით ამ „საერთოს“ მიაღება გამოძიება“

რა სრიკებით უნავდა ბიზნესმენს თავდაცვა სახელმწიფოს ტერორისგან?

ვინ წყვეტდა მთავარ თამაშს და ვინ იყვნენ უემსრულელები?...

„პირველი იყო იმერეთის გუბერნატორი, დავით მუმლაძე, რომელთან ერთადვე ერთხელ მქონდა გაკეთებული ერთი „სდელკა“. მის პარტნიორ სლოვაკურ კომპანიას ჭიათურის მთიანეთში 3000 ტონამდე ნედლეული. მაშინ გაიგო მან ამ პროდუქტის გემო. როგორც კი გუბერნატორი გახდა, მაშინვე შეცვალა გაკოტრების მმართველი ჭიათურაში და დანიშნა საკუთარი ბიძა“



კომპანიასთან სრული წარმადობის მოცულობის მინობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ხელისუფლებაში, ჩვენ მას ეს ბრძოლა მოუვლეთ და გამარჯვდა.

– მუმლაძეს რა ინტერესი ამოძრავებდა?

– მუმლაძე დაბალი ფასით გაიტანდა პროდუქტს და ნიღბს მიიღებდა სლოვაკებისგან. ვთქვათ, გაიტანდა 60 დოლარად, იქ გაყიდდნენ 100 დოლარად და სხვაობას, 40 დოლარს გაიყოფდა სლოვაკებთან. მასთან შეხება ადრეც მქონდა, როცა ის შევარდნაძის ხელისუფლებაში საგადასახადოს უფროსის მოადგილე იყო. მაშინ ზესტაფონში მოსახლეობა ქერქულ წარჩენებს ფლობდა და ხელისუფლება უკანონოდ აჩერებდა მათ გატანას. მე ვეხმარებოდი და ვლოობრებდი ზესტაფონურ კომპანიებს და ამ ფარგლებში მომიხილა მასთან შეხვედრა. ამ პროცესში მაშინ ორისტიტიც დამჭირდნენ. დავიჭირე რამდენიმე და მათ შორის იყო პავლე კუბლაშვილი...

– დავით მუმლაძესთან ურთიერთობა ჭიათურის ინციდენტით დაასრულეთ?

– რა თქმა უნდა, არა... მუმლაძის თანაგუნდელმა და უახლოესმა მეგობარმა, გიორგი ლაცაბიძემ, რომელიც ზურაბ ადგიშვილმა მოადგილედ წაიყვანა პროკურატურაში, იმის გამო, რომ მართლაც საკმაოდ კრეატიული ჯალათი იყო, დაიჭირა ფერის გენერალური დირექტორის მოადგილე, ილია კოკაიას ბიძა, 70 წლის კაცი, ტარიელ ცინცაძე. მის გასათავისუფლებლად 200 ათასის გადახდა მოვიხილა. ეს იყო ჩვენგან გაღებული პირველი ხარკი.

– ანუ საქმეში უკვე პროკურატურა ერთვება... ამ ფაქტს მუმლაძის შურისძიებად აღიქვამთ, თუ უკვე სახელმწიფო მანქანის ობიექტივში ხვდებით ამ დროისთვის?

– ეს იყო მუმლაძისთვის სუფთა, მე-

გობრული მხარდაჭერა ლაცაბიძის მხრიდან. ამასობაში, შევიტყვეთ, რომ მუმლაძე სლოვაკების შემოყვანის დასალობირებლად დადიოდა სააკაშვილთან. ისიც შევიტყვეთ, რომ მაშინ სააკაშვილი უბნებოდა, რომ ჩინოვნიკი ბიზნესგარიგებებში არ უნდა გარეუღიყო და თუ ეს უნდოდა, პოსტი უნდა დაეტოვებინა და კერძო სექტორში გადასულიყო. მუმლაძეს შეხვდა ჩემი პარტნიორი ილია კოკაიაც, იმისთვის, რომ გაერკვია, რას ითხოვდა ხელისუფლება ჩვენგან. შეხვედრიდან დაბრუნებულმა კოკაიამ გვითხრა, რომ გუბერნატორი არაფერს გვიხსნის და მომართულია, წაგვართვას ყველაფერი. ამიტომაც უნდა დაგვეწყო საკუთარი თავის დაცვა და მოგვექებნა ე.წ. ლობი.

– რატომ შეაჩერეთ არჩევანი მაინც-ცადამინც თემურ ალასანიასზე? გქონდათ ინფორმაცია, რომ ის ამ საქმიანობას ეწეოდა?

– იმ დროს იჭერენ მერაბ ჟორდანიას და მალევე უშვებენ. ჩვენი ნაცნობებით ვარკვევთ, რომ ეს პრობლემები მას თემურ ალასანიამ მოუგვარა. მას ჩვენ პარიზში შეხვდით პირველად. ის უკვე ინფორმირებული იყო, რომ ჩვენი პრობლემები მუმლაძისგან მომდინარეობდა. გვითხრა, რომ პრობლემა არ იყო მისი ჩამოშორება და ამის საფასური იქნებოდა 2 მილიონი დოლარი და აქციების 25 პროცენტი, რაც მაშინ 10 მილიონი დოლარის ღირებულების იყო. თანაც ეს აქციები მისთვის უნდა გადაგვეფორმებინა, რადგან სააკაშვილისთვის იქნებოდა და უკვე საკუთარი ბიზნესის სახელით ესაუბრა მასთან. ალასანიამ ავანსად 1 მილიონის გადახდა მოითხოვა. რაც განვხილეთ ორ ტრანშად მისგან დასახელებულ ოფშორულ კომპანიაში. ამასობაში ჩვენ გვექონდა ვალდებულებები ფეროში და თუ ამას ვერ შევასრულებდით, სახელმწიფოს უცერემონიოდ შეეძლო ჩვენთვის მისი ჩამორთმევა. ამიტომაც გვიჩივრებდნენ. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ამიტომაც ჩვენ დავთანხმდით ალასანიას პრობლემს, რადგან სხვა გზა არ გვქონდა.

– ამ გარიგების მიუხედავად, ვიცით, რომ დაგიჭირეს. თქვენი ინფორმაციით, სააკაშვილი საქმის კურსში იყო ბიძის საქმიანობის თაობაზე?

– ეს დასტურდება ოქრუაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებითაც, რომ „ძე-

ვლ სახლში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ მას დაურეკა სააკაშვილმა და შეეშვა ამ საქმეს... იყო ერთი საინტერესო დეტალიც: ის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ეჭვობდა, რომ ჩვენი პარტნიორი ავსტრიული კომპანია ფიქტიური იყო და ის რეალურად არ არსებობდა. როცა მე ციხეში ვიყავი, კოკაიამ საქართველოში ჩამოიყვანა ჩვენი უცხოელი პარტნიორები და შეხვდა ბენდუქიძეს. იქვე უამბო თემურ ალასანიასთან გარიგების თაობაზეც. ბენდუქიძისთვის ავსტრიელების რეალობაში არსებობა მოკი იყო და ამიტომაც წამოვიდნენ საპროცესო გარიგებაზე – 1 მილიონის გადახდის ფასად. აქედან 10 ათასი ლარი გადაგვახდევინეს ჯვარიმის სახით, 900 ათასი კი ჩავრიცხეთ სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდში.

– მოდი, ერთგვარი შეჯამება გავაკეთოთ: ამ მომენტამდე ვისი ინტერესები იკვეთება თქვენი ბიზნესის მიმართ და რა მიზნებით?

– მუმლაძე კერძო ინტერესებით ლობირებს სლოვაკურ კომპანიას და იწყებს „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზების პროცესებს... ჩნდება ალასანია კერძო ინტერესებით – 2 მილიონი დოლარი და 25 პროცენტი წილი. ამ ინტერესებისთვის იყენებს თავის ნათესაურ კავშირს პრეზიდენტთან... ბენდუქიძე მოქმედებს სახელმწიფოს დაეაღიებით და ასევე, ახორციელებს ზენოლას, რათა სარფიანად გაყიდოს „ჭიათურმანგანუმი“. ოქრუაშვილი დაინტერესებულია, რომ „ჭიათურმანგანუმი“ იყიდოს კუჩმას სიძის კომპანიამ. ამისთვის ამ კომპანიის საკუთრებაში უნდა აღმოჩნდეს ფეროც, რომლის 96 პროცენტის მფლობელები ჩვენ ვართ იმ ეტაპისთვის.

– ეს თემები განხილეთ კანცელარიაში ცნობილი შეხვედრის დროს, რომელსაც თურმე ზურაბ ალასანიაც ესწრებოდა?..

– უბრალოდ, თავი ავარიდე გარდაც-

ბიზნესმენი ბიორბი კაპანაძე ახალ გზარებს ასახელებს

ვლილ ადამიანზე საუბარს... თავიდან ბენდუქიძემ დაგვიხატა, რათა ჩვენი წინადადებები განგვეხილა „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზაცია და კავშირებით. იქ კი აღმოჩნდა, რომ პინჩუკის „ინტერპრაისისთვის“ უნდა მიგვეყიდა ფერო 14 მილიონ 800 ათასად, სრულად 96 პროცენტით. ეს ის თანხაა, რაც მისი ყიდვის დროს გადავიხადეთ. იმ დროისთვის კი ამ კომპანიის საბაზრო ღირებულება 60 მილიონი დოლარი იყო. ჩემი

პარტნიორის, კოკაიას დამახურობით ეს საუბარი გადატყდა ჩვენს სასარგებლოდ. ილიამ იკითხა, რას იხდიდა პინჩუკის კომპანია ისეთს, რასაც ჩვენ ვერ გადავიხდით. გვითხრეს, რომ ამ თანხას ჩვენ ვერ შენვებოდით. 50 მილიონზე იყო საუბარი. კოკაიამ თქვა, შევძლებთ, პარტნიორი მყავს და მაქვს საშუალება, ეს თანხები მოვიძიო. ამიტომ, თუ შანსს მოგვცემთ, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას ტენდერში. ბენდუქიძე დავთანხმდა, თუმცა ამაზე ოქრუაშვილი გადაირია. მართლაც მივიღეთ მონაწილეობა ტენდერში, უზარმაზარ კომპანია „ევრაზპოლ-დინგთან“ ერთად. უფრო მეტი თანხები რომ მიეღოთ, აუქციონზე გამოიტანეს „ვარციხეპსიკი“. საბოლოოდ 132 მილიონად შევიძინეთ ეს ორი ობიექტი.

„ეს ხდება უვანიას გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე. უცნაური დამთხვევაა... ფაქტია, რომ ეს უზარმაზარი წვეთი იყო სააკაშვილის მოთმინების ფიალაში...“



სააკაშვილის რეჟიმის გაპიფრული კორუფციული



„რით ცხოვრობს დღეს სააკაშვილი და მისი ნათესაობა, რომელიც სხვადასხვა ბიზნესში იყო ჩართული. გაზუსტაც კი ჰქონდა ინტერესი თუნდაც ზოგჯერ. უკვე აღარ ვსაუბრობ დედამისზე, ბიკამისსა და მის ყველა ძმაზე, რომლებმაც სხვადასხვა კომპანიებში ამოწყვეს თავი. სააკაშვილი ამ ყველაფრიდან სარგებელს არ ნახულობდა? ცოტა ხანში ამ ყველაფერზე მასწავლები დაიღებ“

„კეზერაშვილმა მითხრა, რომ, თუ ფეროვი დარჩენას შევეცდებოდით და რამე გზით ან ჯარიმას გადავიხდიდით, მერე კიდევ დაგპარტახებდნენ ას მილიონს ზემოდან და ასე გაბრკალებდით დაუსრულებლად, სანამ რეისურსები არ ამოგვინებდით“

დასაწყისი გვ.4-5

თუმცა, ამის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ფეროშენადნობის ფასების მკვეთრი ვარდნა დაიწყო. ამიტომ „ევრაზიოლინგმა“ თავი შეიკავა, ვინაიდან 132 მილიონი იმ პერიოდისთვის არარეალური ღირებულება იყო.

– ფაქტია, რომ ტენდერი მოუგეთ კუჩმას სიძის კომპანიას, რომელსაც სააკაშვილის ფრთა ლობობდა. თუ კანცელარიაში ცნობილ შეხვედრას გავითვალისწინებთ, თქვენს წინადადებას ფუნაის ფრთა დასთანხმდა. ამ შეხვედრაზე სააკაშვილის ყური, როგორც ჩანს, ოქრუაშვილი იყო. ზოგადად, ცნობილია, რომ ფუნაისა და სააკაშვილის ინტერესები ხშირად უპ-

– ანუ თქვენ ისევ კანცელარიაში შემოთავაზებული წინადადების წინაშე დარჩით – თუ სახელმწიფო მოძებნიდა ინვესტორს, მისთვის ფეროს აქციები 14 მილიონად უნდა მიგეყიდათ?

– ასე იყო, თუმცა, მათ კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ მყარი პოზიციები გექონდა სანარმოში. ჩვენ არ ვიყავით ის მენეჯმენტი, რომელიც კურორტებზე სიარულით მართავს კომპანიას. ჩვენ ჩვენი ოჯახებით ამ სანარმოში ვხვდებოდით ახალ წელს, მუშუბთან ერთად. ამიტომ მათ იქ ცხვირის შემოყოფა გაუჭირდებოდათ. ეს იცოდა ყველა ინვესტორმაც. ბოლოს ბენდუქიძემ დაგვიძახა

დროზე გაგაფრთხილათ, რომ დაჭერას გიპირებდნენ?

– დიახ. ამ წინადადების ისინი დასთანხმდნენ. ამან ძალიან გაგვაკვირვა. ჩვენ მაშინვე ჩავედით მოსკოვში და უშუალოდ შეხვედით მათ ხელმძღვანელს, ვინმე გენერალს. აუფხენით, რას ჰგავდა მისი საქციელი. ეს იგივე იყო, რომ ჩავსულიყავით მოსკოვში, ლუჟკოვს ჩვენივე შემოთავაზებინა გენერალის სპირტის ქარხანა და ჩვენ ამაზე დაეთანხმებოდათ. თანაც, ჩვენი ყოფილი პარტნიორი მართავდა მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან ჩვენი გვერდის ავლით იმაზეც, რომ კუთვნილი აქციები მისთვის 14 მილიონ 800 ათასად გადაგვეცა, იმ დროს, როცა მანაც ძალიან კარგად იცოდა, რა იყო სანარმოს რეალური ფასი. გენერალი დავთანხმებ ჩვენს ყველა პრეტენზიას და გვითხრა, – პირობას გაძლევთ, 1 დოლარად რომ მაჩუქონ პოლიციის 100 პროცენტი, ჩემს ფებს იქ ვეღარ დაიხმავთო. ამასობაში კი პრეზიდენტს ხვდება ეკონომიკის ახალი მინისტრი ჩოგოვაძე. ამ შეხვედრას ესწრება ბენდუქიძეც, რომელიც მაშინ მრჩეველი იყო. ამ შეხვედრაზე სააკაშვილს მოახსენეს, რომ ქართველმა აქციონერებმა შეაშინეს ინვესტორები და გააქციესო. მანაც გადმოყარა დორობლები და დაქუხა – არ დავინახო მათი კავშირის ხსენება ფეროშენადნობ ქარხანასთანო. რა თქმა უნდა, ამ ბრძანების შესასრულებლად ისევ ჩართო სახელმწიფო მანქანა და ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა შემატყობინა, რომ ჩვენს სანარმოს თავს უნდა დასხმოდან ფინანსური პოლიცია, ჩვენ კი უნდა დავეჭვირეთ. იმ დღეს მე და კოკია საჯირითოდ უნდა გავსულიყავით. დაფურევე და ვუთხარი, რომ შორ გზაზე მოვეხვედ და ვჯირითი. ინფორმაცია კოკიამ ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან, კახა დამენიასთან გადაამოწმა. მან ცოტა ხანში დაგვირეკა და გვითხრა, – თქვენს ახალ ქარხანას გახევეთო. შევთავაზე ჩემს პარტნიორებს, საქართველოდან წავსულიყავით. მეგობრებმა საზღვარზე სამივე ტომრებით გადაგვიყვანეს. მივადინეთ ლონდონამდე, სადაც შეხვედით ჩვენს პარტნიორებს, კომპანია „სტემკორს“, რომელთა მიმართ 3 მილიონი გვექონდა დავალიანება. ცხადია, ისინი შემოვლიდნენ. ამასობაში კი ფინანსურმა პოლიციამ

„ ამ კომპანიას თავის დროზე თარგამაქის უახლოესი მეგობარი, გიგა ბედინიშვილი შეეკრა. ეს იყო ადამიანი, რომელიც პრივატიზაციის პროცესის დროს ხელისუფლებამ ფინანსური დოკუმენტაციის მოსაგვარებლად ჩაგვისვა და მან ხელფასის სახით 60 ათასი დოლარი გამოგვძალა. ანუ თვეში 60 ათასს ვუხდიდით“

„იმ დროს იჭერენ მერაბ ჟორდანიას და მალევე უშვებენ. ჩვენი ნაცნობებით ვარკვევთ, რომ ეს პრობლემები მას თემურ ალასანიამ მოუგვარა. მას ჩვენ პარიზში შეხვედით პირველად. ის უკვე ინფორმირებული იყო, რომ ჩვენი პრობლემები მუმლადისგან მომდინარეობდა. გვითხრა, რომ პრობლემა არ იყო მისი ჩამოშორება და ამის საფასური იქნებოდა 2 მილიონი დოლარი და აქციების 25 პროცენტი, რაც მაშინ 10 მილიონი დოლარის ღირებულების იყო. თანაც ეს აქციები მისთვის უნდა გადაგვეფორმებინა, რადგან სააკაშვილისთვის ეჩვენებინა და უკვე საკუთარი ბიზნესის სახელით ესაუბრა მასთან“

ირისპირდებოდა ერთმანეთს. მექმნება შთაბეჭდილება, რომ 2004 წლის დეკემბერში ფუნაისამ ამ ომში კიდევ ერთი ბრძოლა მოუგო სააკაშვილს. ასეა?

– დიახ. თანაც ეს ხდება ფუნაის გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე. უცნაური დამთხვევაა... ფაქტია, რომ ეს უზარმაზარი წვეთი იყო სააკაშვილის მოთმინების ფიალაში... რაკი „ევრაზიოლინგი“ უკვე თავს იკავებდა ფულის გადახდაზე, ჩვენ ამის შესახებ საქმის კურსში ჩავეყენეთ ბენდუქიძე და ვთხოვეთ, რომ 3 თვით გადაეფარებინა ფულის გადახდის ვალდებულება. 20 მილიონი უკვე გადახდილი გვექონდა ტენდერში მონაწილეობისთვის და კიდევ 20 მილიონის შეტანას ვგეგმავდით, თუმცა საქართველოს უკვე ახალი პრემიერი ჰყავდა, რომელსაც, ალბათ, თავისი ინტერესები გაუჩნდა და ხელისუფლება ჩვენი გვერდის ავლით დაუკავშირდა ამ რუსულ კომპანიას. დაუკონკრეტეს, რომ ან გადაიხდებოდა დარჩენილი 112 მილიონი, ან მყისიერად დატოვებდნენ საქართველოს. მათ ნახვლა არჩიეს.

და გვითხრა, სასწრაფოდ იბოვებ ინვესტორები, ნუ ხართ პასიურ პოზიციებში, თორემ ისევ პრობლემები შეგექმნებათო. არადა ფასები ისევ დაბალი იყო და 132 მილიონი აბსოლუტურად არარეალური ღირებულება იყო კვლავაც. ამასობაში შევიტყვეთ, რომ მათ მოძებნეს მყიდველი, გაურკვეველი პირობებით. ეს იყო ჩვენი ძველი პარტნიორი, რომლისგანაც თავის დროზე 5 მილიონად ვიყიდეთ მათ სარგებლობაში არსებული ფეროს აქციები. ეს იყო „პრამიშლენი“ ინვესტორი“.

– ეს ის ხალხი არ არის, ვინც თავის

ერთ კვირაში 40 მილიონი ჯარიმა დაგვარიცხა. ამ თანხის გადასახდელად კანონმდებლობით 40 დღე გვეძლეოდა. მალევე, 2006 წლის იანვარშივე, დამირეკა ჩემი და კეზერაშვილის საერთო ნაცნობმა და მითხრა, რომ კეზერაშვილს, რომელიც იმ დროს ფინანსურ პოლიციას ხელმძღვანელობდა, ჩემთან უნდა შეხვედრა. ეს შეხვედრა შედგა ისრაელში, სასტუმრო „პოლიტონში“. მან განმიცხადა, რომ ის ჩამოსული იყო პრეზიდენტის დავლებით, რათა ჩვენი აქციები კომპანია „DCM“-ისთვის გადაგვეფორმებინა.

– ამ კომპანიას გიგი თარგამაქე ლობობდა, არა?

– დიახ. ამ კომპანიას თავის დროზე თარგამაქის უახლოესი მეგობარი, გიგა ბედინიშვილი შეეკრა. ეს იყო ადამიანი, რომელიც პრივატიზაციის პროცესის დროს ხელისუფლებამ ფინანსური დოკუმენტაციის მოსაგვარებლად ჩაგვისვა და მან ხელფასის სახით 60 ათასი დოლარი გამოგვძალა. ანუ თვეში 60 ათასს ვუხდიდით. რეალურად მან ყველა ინფორმაცია მიიღო და შემდეგ ეს სათავესოდ გამოიყენა. ჩვენი საქართველოდან წასვლის შემდეგ „სტემკორი“ შევიდა სანარმოში და თანამშრომლებს განუცხადა, რომ ამ იერიდან ქარხანას „DCM“ მართავდა.

– ეს ხომ თქვენი პარტნიორი ავსტრიული კომპანია იყო, რომელთან ერთადაც თავის დროზე ფეროს სახელმწიფო ნილი იყიდეთ?

– დიახ, მაგრამ ჩვენი საქართველოდან წასვლის შემდეგ ბედინიშვილმა ავსტრიელები დაარწმუნა, რომ ჩვენ დედა აღარ გვეყავდა და მათ მისთვის უნდა დაეჭირათ მხარი, რათა ქარხნის მართვას ჩასდგომოდა სათავეში. ის კი მოახდინდა მათი ნილის ლობობას. თავის მხრივ კი ხე-

ლისუფლება დაარწმუნა, რომ შეძლებდა სიტუაციის მართვას.

– ახლა უკვე გასაგებია „ფიზიკური“ გიგი თარგამაქის საკმაოდ უხამსი პოლისტის შინაარსი თქვენთან დაკავშირებით... გამოდის, მას ძველი ანგარიშები ჰქონია თქვენთან დაკავშირებით...

– რა თქმა უნდა, მასაც ჩაუფარდა თავისი ნილი მცირე ზომის, მარილის კოვზი ნაცარში... ბედინიშვილს თანამშრომლებმა მართვის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოსთხოვეს. რა თქმა უნდა, მან ეს ვერ წარმოადგინა და სააკაშვილის მოლოდინი კიდევ ერთხელ გაცრუვდა.

– თქვენი და კეზერაშვილის შეხვედრა რაზე შეთანხმებით დასრულდა?

– კეზერაშვილმა მითხრა, რომ, თუ ფეროში დარჩენას შევეცდებოდით და რამე გზით ამ ჯარიმას გადავიხდიდით, მერე კიდევ დაგვარიცხავდნენ ას მილიონს ზემოდან და ასე გაგრძელებოდა დაუსრულებლად, სანამ რესურსები არ ამოგვინებდით. ამ შეხვედრის შემდეგ გავფრინდით ავსტრიაში და „დისიემს“ ჩვენი აქციები 40 მილიონად შევთავაზეთ. „DCM“-ში გაიკვირეს, რადგან ჩვენგან ისინი თურმე სახელმწიფოსგან დაპირებულ შეთანხმებაზე ხელმოწერას ელოდნენ და არა ფასზე მოლაპარაკებას. ვინაიდან ვერ შევთანხმდით, ისევ ჩვენს ინგლისელ პარტნიორებს, „სტემკორს“ შევთავაზეთ წინადადება – მათ მივცემდით ჩვენს აქციებს ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ისინი შემოვიდოდნენ საქართველოში და დაიცავდნენ ჩვენს ინტერესებს პრივატიზების პროცესამდე. ამ მომსახურებისთვის ყოველთვიურად 100 ათასს გადავუხდიდით. ამასობაში კი მოქმედებდით ინვესტორს „ჭიათურამანგანუმის“ პრივატიზებისთვის და შემდეგ უკვე მოვილაპარაკებდით, ვის რა ინტერესები ექნებოდა ახალ პოლიდგამში, იმის მიხედვით, ვინ რას გააკეთებდა.

– ანუ, აქ იგივე სქემა გათამამდა, რაც თავის დროზე პატარაკაციშვილმა გააკეთა მერდოკოვან?

– დიახ. „სტემკორი“ ჩამოვიდა საქართველოში და თავისი ინტერესები და სიტუაციები დააღალა... იქ დაინიშნა ნომინალი, მათი კომპანიის წარმომადგენელი, რადგ-

„ამ შეხვედრაზე სააკაშვილს მოახსენეს, რომ ქართველმა აქციონერებმა შეაშინეს ინვესტორები და გააქციესო. მანაც გადმოყარა დორობლები და დაქუხა – არ დავინახო მათი კავშირის ხსენება ფეროშენადნობ ქარხანასთანო. რა თქმა უნდა, ამ ბრძანების შესასრულებლად ისევ ჩართო სახელმწიფო მანქანა და ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა შემატყობინა, რომ ჩვენს სანარმოს თავს უნდა დასხმოდან ფინანსური პოლიცია, ჩვენ კი უნდა დავეჭვირეთ“



მოსკოვი

€195-დან

ბილეთის ყიდვა რთული მარშრუტით

გაფრენა

Tbilisi International

ჩაფრენა

Moscow, Vnukovo

- ორი გზა
- ერთი გზა

გაფრენის თარიღი

დეკემბერი 2013

ორ	სამ	ოთ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ზღაპრ. (12+ წ)

1

შავშვი (2-11 წ)

0

ჩვილი (<2 წ)

0

ძიება

ამსტერდამი
€ 299-დან

მოსკოვი
€ 195-დან

ბათუმი
€ 56-დან

თბილისი
€ 300-დან

ბერლინი
€ 299-დან

ერევანი
€ 295-დან

თბილისი
€ 47-დან

თბილისი
€ 328-დან

დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM



20 წელი თქვენს გვერდით

გარდაბნის თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე გაზის ტურბინები მონტაჟდება

ხათუნა მაგლობლიძე

გარდაბანში შერეული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა ძირითად ეტაპზე გადავიდა. ტერიტორიაზე გაზის ტურბინების მონტაჟი დაიწყო. თბოელექტროსადგურის მშენებლობას საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია უკვე ხუთი თვეა, ახორციელებს და მის დასრულებას 2015 წლისთვის გეგმავს. სამშენებლო სამუშაოებს კი უმსხვილესი თურქული სამშენებლო ფირმა „Calik Energy“ ატარებს.



ნათია თურნავა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, სპარტნიორო ფონდს, ამ მიმართულებით სხვა პროექტებზე გვამხსენს. ჯამში, ეს სამუშაოები სამომავლოდ ქვეყანაში ელექტროენერჯის პროდუქციას მოხსნის

ირაკლი კოვზანაძე: „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ხორციელდება უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი, ეს არის 230 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგური“

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მილიონი ამერიკული დოლარია. სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ის წლიურად 1.8 მილიარდ კილოვატ/საათს გამოიმუშავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ენერჯეტიკულ სისტემაში მოულოდნელად შექმნილ პრობლემას უმოკლეს ვადებში აღმოფხვრის და ქვეყანას უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ელექტროენერჯის.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, სადგურის მშენებლობა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. გარდა იმისა, რომ სადგური საჭიროების შემთხვევაში ქვეყანას ელექტროენერჯით მოამარაგებს, ასევე, შექმნის სამუშაო ადგილებს. მშენებლობაზე უკვე დასაქმებულია 400 ადამიანი, მათგან 270 გარდაბნის ადგილობრივი მკვიდრია. კოვზანაძის თქმით, დასაქმებულთა რიცხვი ექვსსამდე გაიზარდება.

ირაკლი კოვზანაძე, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:

ინების მიღებიდან 20 წუთში შეძლებს სისტემაში ჩართვას და ერთი საათის განმავლობაში ნაწილობრივ შეძლებს ენერჯის მიწოდებას, ხოლო სრულად უზრუნველყოფას – საათ-ნახევარში. სამშენებლო კუთხით ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ამავდროულად გახსნორციელდა ყველა დანადგარის შეკეთა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მიმდინარეობს მათი აწყობა სხვადასხვა ქარხნებში. პარალელურ რეჟიმში ხდება მათი ჩამოტანა, დაწყებულია მონტაჟიც.

საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლის, ნათია თურნავას განცხადებით, ფონდი, აღნიშნული სადგურის გარდა, დამატებით პროექტებზეც მუშაობს, რომელთა განხორციელების შემდეგ საქართველოში ელექტროენერჯის პროდუქცია საბოლოოდ მოიხსნება.

ნათია თურნავა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:

– ყველაზე კრიტიკული ეტაპი იყო გაზის ტურბინების ტრანსპორტირება და სამშენებლო მოედანზე მათი უსაფრთხო მოტანა. ეს ეტაპი უკვე გადალახულია და, ვფიქრობ, მთავარი პრობლემები მოხსნის, დარწმუნებული ვართ, რომ სადგური საქართველოს დროულად ჩაბარდება.

– შეიძლება ითქვას, რომ სადგურის ამუშავებით ქვეყანას ელექტროენერჯის პრობლემა მოეხსნება?

– ეს ძალიან ხმაშალალი ნათქვამი იქნება, რომ მართლაც ერთი სადგურის აშენებით ქვეყანას პრობლემა მოეხსნება, რადგან, მოგეხსენებათ, ეკონომიკა ძალიან სწრაფად ვითარდება და დღეში მოთხოვნილებაც ძალიან სწრაფად იზრდება, თუმცა ეს იქნება ამ მიმართულებით გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. გარდა ამისა, ჩვენ, საპარტნიორო



– დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხორციელდება უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი. ეს არის 230 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რომელიც დაახლოებით 220 მილიონი დოლარი ჯდება. მიმართა, რომ დასრულების შემდეგ ეს იქნება უმნიშვნელოვანესი რამ საქართველოს ენერჯის სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის. პრაქტიკულად გადაიჭრება ყველა ის პრობლემა, რომელიც არსებობს ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მიხარია, რომ 27 წუთი დასჭირდება ელექტროსისტემის ოპერატორს, რომ სისტემაში შეიყვანოს. მიმართა, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოს ენერჯის სისტემის მდგრადობისთვის.

– სარეზერვო სადგური იქნება?

– ეს იქნება თბოელექტროსადგურის შერეული ციკლი, რომელიც ნებისმიერ დროს შეგვეძლება, გამოვიყენოთ, როგორც ზამთრის, ასევე, ზაფხულის განმავლობაში. ყველა შემთხვევაში, სადგური მზად იქნება დამატებითი ენერჯის მიწოდებისთვის. რაც ყველაზე მთავარია, სადგური ალტერნატიული უახლესი ტექნოლოგიური მიწვევებით. გარდა ამისა, სადგური იმუშავებს გაზზეც და გამოიმდინარე აქედან, 55%-ით უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ნებისმიერი სხვა სადგური, რომელიც საქართველოში დღემდე არსებობს.

– რამდენი ადამიანი დასაქმებული?

– აქ მუშაობს 400 ადამიანი, მომავალში ციფრი 600-მდე გაიზარდება. დღევანდელი მდგომარეობით 400 ადამიანიდან 270 საქართველოს მოქალაქეა.

– აბრეშთ თუ არა ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანას?

– ვნახოთ, ეს იმაზე დამოკიდებულია, რა სიტუაცია გვექნება 2015 წლის შემოდგომისთვის, ახუ იმ დროისთვის, როცა სადგური ექსპლუატაციაში გავეშვება. დღევანდელ დღეს, მოგეხსენებათ, ზამთარში დეფიციტი გვაქვს. ამ სადგურს რამდენიმე დანიშნულება აქვს: პირველ რიგში, ეს არის დეფიციტის მოხსნა, ასევე, ენერჯის სისტემის დამოუკიდებლობის მოგვარება, სადგური პრაქტიკულად საქართველოს ენერჯის სისტემის მდგრადობის მთავარი ელემენტი იქნება.

გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკის მინისტრი:

– ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ეკონომიკისთვის. ჩვენ გვჭირდება როგორც შიდა, ასევე თბოელექტროსადგურები. ვფიქრობთ, რომ გარდაბნის სადგურის პროექტის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვან-



ფონდსა და ნავთობისა და გაზის კორპორაციას სპეციალური მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება კი დასჭირდა ტურბინების უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის.

ლაშა მგელაძე, გარდაბნის თბო-ადგურის გენერალური დირექტორი:

– ტურბინების ტრანსპორტირებისთვის შეირჩა სპეციალური მარშრუტი, გამომდინარე იქიდან, რომ ტვირთი იყო არაგაბარითული, მისი სიმძლავრე გახლდათ საკმაოდ მაღალი, შესაბამისად, რიკითის გვირაბში ვერ გამოეტყობა. მოვიძიეთ ალტერნატიული მარშრუტი – ზესტაფონიდან ქიათურის გავლით. ამავდროულად მთელი სამი თვის მანძილზე ტარდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები, ეს იყო გაზის მილების აწევა, ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების, სატელეფონო ხაზების აწევა, ზოგ ადგილას ხიდების ქვეშ დაგვიჭირდა გაზის საფარის აყრა, რომ გზა აგვემალეებინა. ტვირთის გამოტარების შემდეგ ჩვენ მიერ დაზიანებული ყველა მონაკვეთი უკვე აღდგენილია.

– სადგურის დასრულება დაგეგმილია 2015 წლისთვის?

– მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2015 წლის დასაწყისში, ხოლო ექსპლუატაციაში შევა 2015 წლის ოქტომბერში. ეს იქნება გარანტირებული სიმძლავრე საქართველოსთვის, რომელიც შეტყობ-

ფონდს, ამ მიმართულებით სხვა პროექტებზე გვაქვს. ჯამში, ეს სამუშაოები სამომავლოდ მოხსნის ელექტროენერჯის პრობლემას.

12 ივნისს ეკონომიკის მინისტრის გარდა, გარდაბანში თბოელექტროსადგურის მშენებლობა მოინახულა ფინანსთა მინისტრმაც. ნოდარ ხადური კმაყოფილია სადგურის მშენებლობით. მისი განცხადებით, ვადებში განხორცილ სამუშაოები დაქარაუხები ტემპებით მიმდინარეობს.

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:

– ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, ხედავთ, რომ 5 თვეში მშენებლებმა პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლეს. ძალიან სწრაფი ნაბიჯებით მიდის მშენებლობა. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს ენერჯეტიკის დივერსიფიკაციისა და დამოუკიდებლობის მიღწევისთვის. ფაქტია, რომ ეკონომიკის განვითარება ენერჯეტიკის განვითარების გარეშე ნარმოუდგენელია. თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ახლა იწერება, გვაძლევს საშუალებას, ბევრად იაფად მივიღოთ ელექტროენერჯია. თქვენ ხედავთ, როგორ იქმნება სამუშაო ადგილები და ასეთი უამრავი მაგალითია, სადაც ადამიანები საქმდებიან.

გიორგი კვირიკაშვილი:

„ის 230 მგვ, რომელიც საქართველოს ელექტროენერჯის რაოდენობა, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის“

ქეთი ხატიავილი

პრეზიდენტობისთვის ეს სკანდალზე მეტია. მარგველაშვილს ეს ინციდენტი არასერიოზულსა და უპასუხისმგებლოს აჩენს. სხვას ვერაფერს დაარქმევ იმ ფაქტს, რომ ერთ მშვენიერ დღესაც თითქმის მთელი ადმინისტრაცია სახლში მიდის. გადადგომების სერიული პარასკევს დილით დაიწყო და საღამომდე ჯაჭვური რეაქციით მიმდინარეობდა. სოციალურ ქსელებში იხუმრეს კიდევ, პრეზიდენტიც ხომ არ აპირებს გადადგომას, ეგებ გამორჩედს, სადმე დაგვენახოსო.

ეს ნამდვილი შოკი იყო. რაც მთავარია, არავინ არავითარ განმარტებას არ აკეთებდა. მხოლოდ დღის ბოლოს, ადმინისტრაციის დილით გადამდგარმა უფროსმა ლაშა აბაშიძემ განაცხადა, რომ შუადღისით განთავისუფლებული მაჭავარიანი მას არანაირად არ უკავშირდებოდა:

– პრეზიდენტის ადმინისტრაციის დატოვების გადაწყვეტილება პირადად მივიღე და ვანო მაჭავარიანის განთავისუფლების ფაქტს არ უკავშირდებო.

ლაშა აბაშიძემ ამ განცხადებით მხოლოდ ის დააზუსტა, რომ თვითონ გადადგა, მაჭავარიანი კი გადააყენეს. მოგვიანებით პრეზიდენტის დათხოვნილი მრჩეველი აზუსტებს, რომ პოსტის დატოვება მას მარგველაშვილმა სთხოვა:

– გიორგი მარგველაშვილის თხოვნით მივედი წინასწარჩვენი კამპანიაში საგარეო ურთიერთობათა მრჩეველად, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ერთად ვსწავლობდით კიდეც, შემდეგ მთხოვა, მისი მრჩეველი ვყოფილიყავი, რასაც ვაკეთებდი აქამდე. ჩვენ ვიყავით კიევიში, სადაც შეხვედრა იყო ბიძენტან, პოროშენკოსთან, კიევიდან დაბრუნების შემდეგ გიორგიმ მთხოვა, წავსულიყავი და მიზეზების შესახებ შემდეგ დამელაპარაკებოდა, მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მე გავიზიარე მისი თხოვნა და დავეწერე განცხადება. დანარჩენი დეტალები ჯერ არ ვიცი. რა კონფლიქტი უნდა მოგვესლოდა, 40 წელია ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ... ჩემთვის მიზეზი ბოლომდე არ არის ცნობილი. დავილაპარაკებთ, ალბათ, მომავალ კვირას და უფრო მეტი დეტალები მეცოდინება...

ვანო მაჭავარიანი მხოლოდ ის თქვა, რომ უკრაინაში ვიზიტის შემდეგ მთხოვა პრეზიდენტმა, პოსტი დამეტოვებინაო. რა მოხდა კიევიში? ეს, უბრალოდ, დამთხვევაა, თუ მაინც მოხდა რაღაც?

„პრაიმტიმის“ წინა ნომერში წერდა იმ საიდუმლო შეხვედრის შესახებ, რომელიც კონფიდენციალური წყაროს ცნობით, მარგველაშვილსა და სააკაშვილს შორის შედგა სწორედ მაჭავარიანის შესახებ, კერძოდ:

„პრაიმტიმის“ წყაროს ცნობით, უკრაინაში პოროშენკოს ინაუგურაციის დროს, კიევიში შედგა საიდუმლო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დავით ბაქრაძემ, სააკაშვილისა და ბოკერიას დაქირავებულმა ლობისტმა რაფაელ გლუქსმანმა. შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდა მარგველაშვილის ადმინისტრაციის თანამშრომელი ვანო მაჭავარიანი. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ უნდა მოხდეს მარგველაშვილის გადაქაჩვა, „ნაცების“ თამაშში ჩართვა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გამოყენება. მარგველაშვილმა თანხმობა განაცხადა, ვანო მაჭავარიანმა სააკაშვილს მარგველაშვილის

„პრაიმტიმის“ წყაროს ცნობით, უკრაინაში პოროშენკოს ინაუგურაციის დროს, კიევიში შედგა საიდუმლო შეხვედრა



პოლიტიკას და მარგველაშვილისადმი გახშირებულ კრიტიკასაც მას აბრალებდა.

დაძაბულობა კი უკვე დიდი ხანია არსებობს და ამის შესახებ პირველად პირადად პოლიტიკიდან წასულმა ყოფილმა პრემიერმა ისაუბრა. ბიძინა ივანიშვილმა მაშინ აქცენტი არა მხოლოდ მარგველაშვილზე, მაჭავარიანზეც გააკეთა. პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაციიდან მხოლოდ 122 დღე იყო გასული, ივანიშვილმა კი ის მკაცრად გააკრიტიკა:

– ვფიქრობ, პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ, როდესაც ის პრეზიდენტი გახდა, 60 წლის ვხვდები და მსგავსი მაგალითიც არ მასსოვს. მან პასუხიც ვერ გამცა, რატომ გახდა ვანო მაჭავარიანი ახალი პრეზიდენტის ფავორიტი, როცა ძველი პრეზიდენტის ფავორიტი ამკარად არის მისი ძმა – მიმა მაჭავარიანი. თანაც ამას ამბობებს ის ფაქტები, რაც გიორგიმ კარგად იცოდა. როცა მე მოვედი პოლიტიკაში, ნოემბერში გიორგიმ მოიყვანა მისი მეგობარი ვანო მაჭავარიანი, ის უნდა გამხდარიყო ჩვენი გუნდის წევრი. მე მასთან ბევრი დრო დავხარჯე, საკმაოდ ხშირად დადიოდა ჩვენთან ოფისში, ერთ მშვენიერ დღეს განაცხადა, რომ სურვილი აღარ აქვს. მომავალში გიორგიმ, რომ ჩვენთან მოსვლით მან მხოლოდ გააბრაზა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომლებიც მას სამსახურს არ აძლევდნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმუშევარი იყო. მან მიაღწია იმას, რომ შეაშინა, იქ წავალ, თუ სამსახურს არ მომცემთო.



რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს აბაშიძე და მაჭავარიანი

თანხმობა გადასცა. გადაწყდა, რომ ამერიკელი ლობისტების, რაფაელ გლუქსმანის ხელშეწყობითა და ვიქტორია ნურლანდის დახმარებით შედგებოდა ბიძენტან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

შეხვედრის მიზანი მარგველაშვილის ამბიციების გაღრმავება, „გაგიჟება“ და ნაცების მხარეს „გადაქაჩვა“ იყო. როგორც შემდგომში ვნახეთ, შედგა ხუთნობიანი შეხვედრა ფეხზე დგომით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მარგველაშვილის პიროვნებას არასერიოზულად უყურებს, ვინაიდან ამერიკის მხარემ კარგად იცის, რომ რეალური ხელისუფლება

საქართველოში პრემიერს აქვს და ის წყვეტს ყველა საკითხს.

ანუ ეს შეხვედრა ბიძენტან ფორმალური და არაფრისმომცემი იყო, მაგრამ სააკაშვილისთვის მთავარი ამოცანა შესრულებულია. ჩვენი წყაროს ცნობით, სააკაშვილს სჭირდებოდა ამ შეხვედრის დაფიქსირება, იმისთვის რომ განხორციელდეს მარგველაშვილის „გაგიჟების“ გრძელვადიანი გეგმა.

„ნაციონალების“ მხარეს მარგველაშვილის გადაქაჩვაში აქტიური როლი დაეკისრება ვანო მაჭავარიანს – ეს ინფორმაცია „პრაიმტიმმა“ წინა ნომერში გამოაქვეყნა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ამ სკანდალურ წერილს არანაირი გამომხმარებელი არ მოჰყოლია. თუმცა, როგორც ჩანს, შიდა გარჩევები მაინც შედგა.

როგორც ამბობენ, დუშეთში, გიორგი მარგველაშვილის სახლში აბაშიძესა და მაჭავარიანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამბობენ, რომ აბაშიძე მარგველაშვილს ვანო მაჭავარიანის გადაყენებას ურჩევდა, პრეზიდენტისგან კი ამაზე უარი მიიღო. ადმინისტრაციის უფროსი თითქოს არ იზიარებდა მაჭავარიანის



„პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა თავისი გუნდი, გამოფინარა მისი პიროვნებიდან და შესაძლებლობებიდან“

მას მისცეს სამსახური ქრთამის სახით – 7 000 ლარს უხდიდნენ საპარტნიორო ფონდში.

მარგველაშვილმა ივანიშვილს, შეიძლება ითქვას, არ უპასუხა. მხოლოდ ის თქვა, ამ ადამიანს პატივს ვცემ და დუმილის უფლებას დავიტოვებო, თუმცა, უთანხმოება დაადასტურა:

– ბიძინას კომენტარები, მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ, ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანია. ვაფასებ მას, მაღალი შეფასება მაქვს, მისი აზრი მნიშვნელოვანია ჩემთვის. შესაბამისად, ეს დამოკიდებულება, ის, რომ ხდება ჩემი კრიტიკა, ჩემთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. ამასთან ერთად, ბიძინას ისაუბრა, რომ იყო გარკვეული თემები, რომლებზეც ჩვენ ბოლომდე ვერ შევთანხმდით. იყო ინტენსიური მსჯელობები, თუმცა, რასაც განვიხილავდით, ამის საჯაროდ გამოტანას არ ვაპირებ ერთი მიზეზით. ეს არის ჩემსა და ბიძინას შორის ურთიერთობები და არა ურთიერთობები მედიის მეშვეობით ბიძინასთან. რა თქმა უნდა, ჩემთვის მტკივნეულია, მნიშვნელოვანია მისი შეფასებები და შენიშვნები...

გადის დრო და მეორე დიდი ხმაური კიევი მარგველაშვილის ვიზიტს მოჰყვება და ვანო მაჭავარიანის სახელი აქაც ფიგურირებს.

ცალკე სჯელობის საგანი გახდა პრეზიდენტის რეზიდენციაში შესვლა და ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

რა მოხდა დუშეთში მარგველაშვილის აბარაპზე



მოსწონდა, ეს იყო უბრალოდ არასწორი მიდგომა საქმისადმი, მე ვიყავი დაკავებული საგარეო მიმართულებით, არასდროს არ ვერეოდი შიდა თემებში. შემიძლია გითხრა, რომ მე მივედი ადმინისტრაციაში გიორგი მარგველაშვილის თხოვნით, ჩვენ ნ თვეში მოვახერხებთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი. საერთაშორისო არენაზე არაერთი ვიზიტი განხორციელდა ძალიან წარმატებული. ბოლო იყო კიევი ბაიდენტთან შეხვედრა. პრეზიდენტს აქვს თავისი ხედვა, რისი დიდი ნაწილიც, თავისთავად, გუნდის დამსახურებაა. თავისთავად ეს არის ის, რაც ჩვენ შევძელით და თუ ჩვენ ჩვენი

შესაძლებლობები ამოვწურეთ, მიხდება წარმატება ვუსურვო ყველას. ძალიან მნიშვნელოვანია პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკის. გიორგი მარგველაშვილს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს აქვს უზარმაზარი რესურსი. მას აქვს უნარი, ქვეყნის შესაძლებლობები ქვეყნის გარეთ გაიტანოს, რასაც მე ვცდილობდი თავისთავად და როგორც ჩანს, ეს ბევრს არ მოსწონდა...

რაც შეეხება კიევის სკანდალურ და საიდუმლო შეხვედრას, ვანო მაჭავარიანმა თქვა, რომ კიევი მსგავსი არაფერი მომხდარა და რომ მას არც სააკაშვილი უნახავს და არც გლუქსმანი.

ასე რომ, ერთ მშვენიერ დღესაც, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხუთმა პირმა დატოვა. თავად მარგველაშვილს კომენტარი ვერ არ გაუუკეთებია. თუმცა, ასეთი სკანდალი მის უნარებზე დადებითად არ მეტყველებს. ის პრეზიდენტი მხოლოდ მაშინ კი არ არის, როცა ბაიდენს ან პოროშენკოს ხვდება, არამედ მაშინაც, როცა კადრებს არჩევს საკუთარი ადმინისტრაციისთვის.

თუმცა, ამ ხმაურიანი გადადგომების სერიამ შესაძლოა კიდევ ერთი არანაკლებ სერიოზული სკანდალი გამოიწვიოს. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აუდიტია შესული, რომელიც 2011-2013

წლებს სწავლობს. აუდიტის სამსახურმა უკვე განაცხადა: შემონება გეგმიურია, ის იანვრიდან დაიწყო და ივლისში დასრულდება, საკადრო ცვლილებებს არ უკავშირდება. თუმცა, ახლა უკვე საინტერესო ხდება რა დასკვნას დადებს აუდიტი და როგორი შედეგები იქნება. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კი, მთავარი ინტრიგა გახდება ის, თუ რომელი მაღალი თანამდებობის პირებს უკავშირდება ის. საინტერესოა, როგორ დააკომპლექტებს ახლა მარგველაშვილი საკუთარ ადმინისტრაციას, ან მოუბრუნდება თუ არა ივანიშვილს პრეზიდენტზე გული.

ვანო მაჭავარიანი: „მარგველაშვილს აქვს უნარი, ქვეყნის შესაძლებლობები ქვეყნის გარეთ გაიტანოს, რასაც მე ვცდილობდი თავისთავად და როგორც ჩანს, ეს ბევრს არ მოსწონდა...“

ასე რომ, დაპირისპირებამ, როგორც ჩანს, იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ აბაშიძემ მარგველაშვილს მაჭავარიანის დათხოვნა და გუნდური თამაშის წესების მიღება ურჩია. თუმცა, დუშეთში ვერაფერი მოილაპარაკეს.

თითქოს სწორედ მაშინ თქვა ადმინისტრაციის უფროსმა, თუ ეგ დარჩება, მაშინ მე წავალ.

მეორე დღეს მარგველაშვილმა მედიისგან გაიგო, რომ საკუთარი ადმინისტრაციის უფროსი გადადგა და მასთან ერთად პოსტები დატოვეს ლაშა აბაშიძის მოადგილეებმა, ასევე, ლოჯისტიკის უფროსმა. ინფორმაცია ვერ მედიაში გავრცელდა და გადადგომის შესახებ აბაშიძის განცხადებაც პრეზიდენტს მაგიდაზე შემდეგ დაუდეს.

ცუდი პარალელია, მაგრამ ჩერჩილის მამა გამახსენდა, რომელიც ფინანსთა მინისტრი იყო და უთანხმოება თავდაცვის მინისტრთან მოუვიდა. ამიტომაც გადადგა. ოღონდ, ვერ ამის შესახებ მედიას შეატყობინა და შემდეგ საკუთარ გუნდს.

ჩერჩილი იქით იყოს და ლაშა აბაშიძის წასვლის შემდეგ, მარგველაშვილმა ვანო მაჭავარიანიც გადააყენა. მოგვიანებით, პრეზიდენტის უკვე ყოფილმა მრჩეველმა „რუსთავი 2“-თან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისი აქტიურობა ბევრს არ მოსწონდა, თუმცა, დეტალები არ დააკონკრეტა:

– პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა თავისი გუნდი, გამომდინარე მისი პიროვნებიდან და იმ შესაძლებლობებიდან, რომელიც მას ჰქონდა. თავისთავად იყო რამდენიმე ადამიანი, რომელსაც ეს არ



რატომ დააკავეს თბილისში

my View
მირიან გომილიძე

კრიმინალურმა პოლიციამ გასულ კვირას თბილისში, მარდენზე მდებარე ერთ-ერთი ცნობილი ბარის მეპატრონე დააკავეს. მას არც უკანონო სამუშაოზე საქმიანობას ედავებოდა და არც ბიზნესთან დაკავშირებულ რაიმე დარღვევას. საქმე კიბერდანაშაულს ეხება.

ეს ბარი თბილისში საკმაოდ პოპულარულია და მას ყოველდღიურად უამრავი კლიენტი აკითხავს, მათ შორის ბევრი ტურისტიცაა. დაწესებულებას ორი მფლობელი ჰყავს. სწორედ ერთ-ერთი მათგანი, რუსეთის მოქალაქე, 24 წლის გიორგი მ. ბარის მიმტანთან, 26 წლის ელენე გ.-თან ერთად კიბერდანაშაულში ამიილეს. ირკვევა, რომ ელენე გ. გიორგი მ.-ს კუთვნილ კაფე-ბარში მიმტანად მუშაობდა, მასთან შეთანხმებით, სპეციალური მონაცემების, ე.წ. „რიდერის“ საშუალებით, 2014 წლის მარტიდან მისამდე უკანონოდ აგროვებდა ბარის სხვადასხვა კლიენტის საბარათო მონაცემებს და კლიენტების მიერ თანხის გადახდის დროს ტერმინალზე დაფიქსირებულ პინ-კოდებს იმასსოვრებდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას უკანონოდ მითვისებული თანხები, 47 ცალი პლასტიკური ბარათი, ტექნიკური მოწყობილობები – ე.წ. „რიდერი“ და „რაითერი“, კომპიუტერული ტექნიკა და მეხსიერების ფლემ-ბარათები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

„პრაიმტიმში“ დეტალების გასარკვევად ზემოხსენებულ კაფე-ბარს ესტუმრა. დაწესებულება მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. დაწესებულების თანამშრომელი საუბარზე იმ პირობით დაგვთანხმდა, თუ სტატიამ არც მისი და არც ბარის ინდენტიფიცირება არ მოხდებოდა. ჩვენ ამ პირობას ვიცავთ.

ბარის თანამშრომელი:

– მე და გიორგიმ ერთმანეთი 2007 წელს გავიცანით. ბიზნესპარტნიორობა გადავწყვიტეთ 2011 წლის ბოლოსკენ. 2012 წლის სექტემბერში გავსესხით ეს ობიექტი, მანამდე ვმეგობრობდით. არანაირი ეჭვი არ შემპარვია, რომ რაიმე კანონსაზიზღებელი ქმედებასთან იყო ეს პიროვნება დაკავშირებული. გეჰქონდა ძალიან კარგი პიროვნული ურთიერთობა და ვენდობოდი. ჩვენთან წილები გადანაწილებული იყო 50/50-ზე.

– ახლა როგორ წარმოგიდგენიათ მასთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება?

– მენეჯმენტი არის მის სახელზე, ეს თავიდან ჩვენი შეთანხმების საფუძველზე მოხდა და ოქმშიც ასე ჩაიწერა. შესაბამისად, ყველანაირი გადარიცხვები და ანგარიშსწორებები კეთდებოდა მისი სახელით. ახლა მინდა მენეჯმენტი გადმოვიბარო, სხვა შემთხვევაში ბიზნესს ექმნება პრობლემები. ვერც ერთ ბანკთან, მომწოდებელთან და სხვა ორგანიზაციასთან ვერ ვურთიერთობთ ნორმალურად. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ – მე მას აქ აღარ ვაგაკარებ არაფერს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორც იცო, საკმაოდ ცნობილი ბარია, ყოველდღიურად ვიღებთ უამრავ სტუმარს, ტურისტს და ის, რაც მოხდა, ჩვენს იმიჯზე სერიოზულად აისახება. სიმართლე გითხრა, მეც რომ ვიყო ჩვენი კლიენტების ადგილას, სურვილი არ გამიჩნდებოდა, შევსულიყავი იმ ბარში, სადაც პლასტიკური ბარათებიდან ფულს ითვისებდნენ. ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა ბოდიში გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც დაზარალდა.

– აპირებთ, ბიზნესში მისი წილი გამოისყიდოთ?

– მე ეს შევთავაზებ, თუმცა თავად უარზეა. ზოგადად, არაადეკვატურად აზროვნებს. ის ფლობს წილს, რა თქმა უნდა, მე ვერ წავართმევ ამ წილს, მაგრამ შევთავაზებ, რომ ინვესტორის მეშვეობით გამოვიყიდო ამ წილს, რაზეც უარი განაცხადა.

– მასთან ერთად დააკავეს მიმტანიც... მათ შორის რაიმე საქვეო არ შეგიძინებიათ?

– ერთადერთი, ვიცი, რომ მათ ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. დანაშაულებრივი კავშირიც თუ ექნებოდათ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. არასოდეს შემიძინებია ეს გოგონა მსგავს ქმედებებში. სამსახურში საკმაოდ დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე მივიღეთ.

– ყოფილა შემთხვევა, დაზარალებულ კლიენტს პრეტენზია გამოუთქვამს ანგარიშსწორების გამო?



„მოკოვახული მონაცემებით ყალბი პლასტიკური ბარათები თურქეთში დააგზავნა, მოგვიანებით კი გაყალბებული 19 ბარათით თანხების განაღდებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობდნენ“



კაფე-ბარის თანამშრომელი: „ვიცოდი, რომ მათ ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა, დანაშაულებრივი კავშირის თუ ექნებოდათ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი“

– არა, მსგავსი არაფერი მახსენდება. არავინ მოსულა და უთქვამს, რომ ჩვენთან ყოფნის შემდეგ ბარათიდან დამატებით თანხა ჩამოეჭრა. პირიქით, ყოფილა შემთხვევა, როცა სხვადასხვა ნივთები დარჩენილი და ყველაფერი უკლებლივ დაბრუნებიათ. მე ასეთი საჩივარი არ მახსენდება, ამიტომაც ვენდობოდი ამ ხალხს. ეს იყო ჩემს ზურგს უკან გაკეთებული, კარგად მოფიქრებული სცენარი. რას წარმოვიდგენდი, რომ მათ თურმე სპეციალური აპარატურა ჰქონდათ, რითაც პლასტიკური ბარათების მონაცემებს მოიპოვებდნენ.

ცემები, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებდნენ, კომპიუტერში ინახებოდა, შემდეგ იქიდან ხდებოდა პროგრამულად ცარიელ პლასტიკურ ბარათზე გადატანა შემდგომი განაღდებას მიზნით.

– კონკრეტულად რა საქმით მოქმედებდნენ ეს ადამიანები? როგორც ცნობილია, სპეციალური ხელსაწყოები ჰქონდათ შეძენილი ამ მიზნით?

– სქემა იყო ასეთი: ორი პიროვნება მოქმედებდა ერთმანეთთან შეთანხმებით. მამაკაცი გახლავთ ამ ბარის თანამშრომელი, გოგონა კი მიმტანად მუშაობდა. იქიდან გამოვიდინარე, რომ მიმტანს უშუალოდ ჰქონდა შეხება კლიენტთან და შესაბამისად, პლასტიკურ ბარათთანაც. სპეციალური მოწყობილობის – „რიდერის“, ანუ წამკითხავის საშუალებით (ეს არის დაახლოებით ასანთის კოლოფის სიდიდის მოწყობილობა) ხდებოდა სხვისი ბარათის მონაცემების მოპოვება. ანგარიშსწორების დროს მიმტანი ფარულად ამ „რიდერზე“ ატარებდა პლასტიკურ ბარათს. ეს მოწყობილობა შესაძლებლობას იძლევა, ბარათის მაგნიტურ ზოლზე არსებული ინფორმაციის მოპოვების. შემდეგ „რიდერი“ ე.წ. USB კაბელის მეშვეობით ერთდება კომპიუტერში და ხდება ამ მონაცემების კომპიუტერში გადატანა. კომპიუტერში სპეციალური პროგრამა არსებობს, საიდანაც ეს მონაცემები უკვე „რაითერზე“ გადაიტვირთებოდა. მარტივად რომ ვთქვათ: ერთი მხრივ, „რიდერი“ უერთდება კომპიუტერს, გადაიღებს მონაცემები კომპიუტერში, კომპიუტერს ასევე უერთდება „რაითერი“, სადაც გადადის

კონკრეტულად რა საქმით ეუფლებოდნენ კლიენტების საბარათო მონაცემებს ბარის მფლობელი და მიმტანი? რა ტექნიკურ საშუალებებს იყენებდნენ დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოსაყვანად? რამდენად ხშირია კიბერდანაშაულის ეს მიმართულება და რას ურჩევნებდნენ სამართალდამცველები მოქალაქეებს?

ამ დეტალების გასარკვევად „პრაიმტიმში“ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთა ბრძოლის სამმართველოს უფროსის მთავარი, ოთარ გადაბაძეს ესაუბრა.

– ბატონო ოთარ, შეგიძლიათ, გვითხრათ, სულ რა რაოდენობის თანხას დაეუფლა ეს ჯგუფი აღნიშნული მეთოდით?

– ამ ეტაპზე, რაც დადგინდა, არის 1400 ლარი, მაგრამ ვეზარაუდობთ, რომ ეს თანხა გაცილებით მეტი უნდა იყოს. კომპიუტერებს ამჟამად ექსპერტიზა უტარდებათ. მონაცემები, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებდნენ, კომპიუტერში ინახებოდა, შემდეგ იქიდან ხდებოდა პროგრამულად ცარიელ პლასტიკურ ბარათზე გადატანა შემდგომი განაღდებას მიზნით.



ცნობილი ბარის მეკატრონა?



ოთარ ბაღაბაძე: „ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება მსგავსი დანაშაულის აღსაკვეთად, თუმცა მხოლოდ ჩვენი კალისხმევა საჭიროა არ არის, საჭიროა, მოქალაქეებმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ, როდესაც საქმე ეხება პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებას“



რას უყვება „პრაიმტიმის“ დაკავებული ბიზნესპარტნიორი?

რა სქემით ეუფლებოდნენ კლიენტების საბარათო მონაცემებს ბარის მფლობელი და მიმტანი?

რა ტექნიკურ საშუალებებს იყენებდნენ დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოსაყვანად?

რას ურჩევან სამართალდამცველები მოქალაქეებს პლასტიკური ბარათის გამოყენებისას?

ეს მონაცემები და სპეციალური პროგრამის გამოყენებით იტვირთება ცარიელ პლასტიკურ ბარათებზე. შემდეგ უკვე მიღიან ბანკომატთან და გააქვთ თანხა.

– თუმცა ბანკომატიდან თანხის გასატანად საჭიროა პინ-კოდიც... ამის მოპოვებას როგორ ახერხებდნენ?

– რაც შეეხება პინ-კოდს, მას მიმტანი გოგონა ვიზუალურად იმასხვორებდა, როდესაც მომხმარებელი ანგარიშსწორების მიზნით ტერმინალზე შეიყვანდა შესაბამის კომბინაციას. ანუ მიმტანი ბარათს ჯერ „რაიდერზე“ ატარებდა, შემდეგ ტერმინალში დებდა და ამ ტერმინალს პინ-კოდის შესაყვანად აწვდიდა მომხმარებელს, თავად კი აკვირდებოდა, რა კომბინაცია შეჰყავდა მომხმარებელს. ამას იმასხვორებდა და შემდეგ ფურცელზე ინიშნავდა. ეს ფურცლები ნივთმტკიცების სახით ამოვიღეთ.

– რამდენი მოქალაქის კუთვნილი მონაცემების მოპოვება მოახერხეს ამ გზით...

– კომპიუტერის დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ 300-მდე მოქალაქის მონაცემები ჰქონდათ მოპოვებული უკანონოდ. მონეული გვყავდა ექსპერტი და გავარკვეით, რომ ამ კომპიუტერში „რაიდერის“ საშუალებით ჩატვირთული იყო 300-მდე მოქალაქის მონაცემი. ჩვენ გამოიძიება დაიწყეთ ერთ-ერთი დაზარალებულის მომართვის საფუძველზე. მან განაცხადა, რომ მისი პლასტიკური ბარათიდან მოიხსნა გარკვეული რაოდენობის თანხა, ისე, რომ ბარათი არავითარ მიზეზით არც პინ-კოდი იცოდა ვინმემ. მას ბანკმა SMS-ის საშუალებით შეატყობინა, რომ მისი პლასტიკური ბარათიდან ჩამოიჭრა თანხა. დაიწყეთ გამოძიება და გამოძიების კვლავ სწორედ ამ კაფე-ბართან მიგვიყვანა.

– ანუ გამოდის, რომ პლასტიკური ბარათები თაღლითებისგან დაცული არ არის?

– კი, ბატონო. ამიტომ საჭიროა მოქალაქეებმა გაითვალისწინონ რამდენიმე რეკომენდაცია. ხშირად ხდება რესტორანში, ან სხვა დანესტრუქტურაში მომსახურე პერსონალისთვის ბარათის გადაცემა. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოთ. მაქსიმალურად უნდა ეცადოთ, ბარათი თქვენი მხედველობის არეს არ გასცდეს და ამასთანავე, სიფრთხილედ გამოიჩინოთ პინ-კოდის შეყვანის დროს. „რაიდერის“ გარდა, არსებობს მონაცემების მოპოვების სხვა, ასევე მარტივი მეთოდი. ეს არის ფოტოგრაფირება. ამ შემთხვევაში ხდება ბარათის ორივე მხარის ფოტოსურათის გადაღება, ეს ფოტოები საშუალებას იძლევა, ინტერნეტგადარცხვა განახორციელონ. ვისაც ინტერნეტგადარცხვა შეუძლია, კარგად მოეხსენება, რომ სპეციალურ გრაფიკაში უნდა შევიყვანოთ 16-ნიშნა ციფრი, ბარათის მოქმედების ვადა, მფლობელის სახელი და გვარი და მეორე გვერდზე დატანილი კოდი, ეს ყველაფერი ბარათზე ვიზუალურადაა ასახული და ფოტოგრაფირების შემთხვევაში მონაცემების გამოყენება შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი გზით.

– ზოგადად, რამდენად ხშირია მსგავსი დანაშაული?

– კიბერდანაშაულის ეს მიმართულება ცნობილია, როგორც ქარდინგი. ანუ საბანკო პლასტიკური ბარათის მონაცემების მოპოვება. მთელ მსოფლიოში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად,

ნაცემების მოპოვება, ყალბი ბარათის დამზადება-გამოყენება და ქურდობა). რაც შეეხება იმ მონაცემებს, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ... როგორც გავარკვეით, ეს მონაცემები მარტივად ხელმისაწვდომია. არსებობს ინტერნეტსაიტები, სადაც შესაძლებელია, როგორც „რაიდერის“ და „რაითერის“, ისე ცარიელი პლასტიკური ბარათების გამოწერა, არცთუ ისე მაღალ ფასად. არსებობს სხვა საშუალებებიც... მაგალითად, ე.წ. „სკიმერი“, რომლის გამოყენების ბრალდებითაც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა, ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთი პირი დააკავა. გაირკვა, რომ 28 წლის ლევან მ-მ 2 აპრილს თბილისში პეკინის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ბანკომატზე დაამონტაჟა პლასტიკური ბარათების მონაცემთა უკანონოდ მოპოვება-შენახვისთვის განკუთვნილი სპეციალური მონაცემები „სკ-

იმერი“. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულმა ანალოგიური მონაცემები 31 მარტს ჩიტაის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბანკომატზეც დაამონტაჟა, რომლის საშუალებითაც 329 მომხმარებლის საბანკო მონაცემებს უკანონოდ დაეუფლა. ლევან მ-მ მოპოვებული მონაცემებით ყალბი პლასტიკური ბარათები თურქეთში დაამზადებინა, მოგვიანებით კი გაყალბებული 19 ბარათით თანხების განაღდებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობდნენ. აღნიშნული სქემით, ლევან მ-მ ერთ-ერთი ბანკის 9 მომხმარებლის კუთვნილი თანხები – 3260 ლარის ოდენობით, თბილისში სხვადასხვა ბანკომატიდან გაანაღდა.

ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, თქვენს კუთვნილ პლასტიკურ ბარათზე თანხა აღარ დაგვხდეთ... ამიტომ უპრიალი იქნება, თუ ბარათის გამოყენების დროს მეტ სიფრთხილესა და ყურადღებას გამოიჩენთ.



ბუნებრივად გაიზარდა ამ დანაშაულის რიცხვი. ბოლო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა. ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება ამ დანაშაულის აღსაკვეთად, თუმცა მხოლოდ ჩვენი ძალისხმევა საჭიროა არ არის. საჭიროა, მოქალაქეებმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ, როდესაც საქმე ეხება პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებას. სხვა ტიპის დანაშაულებებისგან განსხვავებით, გამოძიების კუთხით ქარდინგი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

„პრაიმტიმმა“ გავარკვია, რომ კიბერდანაშაულში ბრალდებული კაფე-ბარის მფლობელი წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. ის საქართველოში 2007 წელს ჩამოვიდა და აქ მუდმივი ბინადრობის უფლებით ცხოვრობს. მას და მასთან ერთად დავაგებულ გოგონას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლით ნაუყენეს (წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, სამსახურებრივი მდგომარეობით პირადი მო-




my View თაზარ გომეზაძე

ზაზა პაპუაშვილს ბოლო პერიოდში მის გარშემო ატეხილ ხმაურზე ასე ვრცლად არსად უსაუბრობია. მსახიობი და დეპუტატი დაგროვილ კითხვებზე პასუხების გაცემას დიდი ხანი არიდებდა თავს. რუსთაველის თეატრის შიდა სამხარეულოს გარეთ გამოტანას არ აპირებდა. არც იმაზე სურდა საუბარი, პროტესტის ნიშნად ათი თვე რატომ არ თამაშობს სპექტაკლებში. „ვფიქრობდი და ველოდი მომენტს, რომ ეს პრობლემა თეატრის შიგნით სწრაფად, სამართლიანად და ადამიანურად გადაწყდებოდა. ჩემი პროტესტი დასრულდება მაშინ, როცა ეს ფაქტიური დირექტორი თეატრს დატოვებს“ - გია თევზაძეზე ამბობს პაპუაშვილი. დეპუტატი პრემიერ-მინისტრისთვის მიწერილი წერილის არსს სწორედ „პრაიმტი-აიმის“ მკითხველისთვის ხსნის, წერილისა, რომელშიც მსახიობი და დეპუტატი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რობერტ სტურუას თეატრის უზურპაციაში ადანაშაულებს. სწორედ ამ ექსკლუზიური ინტერვიუდან შეიძლება, თუ როგორ მიჯნავს პაპუაშვილი თეატრის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს რუსთაველის თეატრში არსებული უსიამოვნო ვითარებისგან.

- ბატონო ზაზა, საზოგადოებაში დღეს უარესად დიდი გამოხმაურება ჰპოვა თქვენ მიერ ინიცირებულმა ცვლილებებმა კანონში პროფესიული თეატრების შესახებ. თქვენ თავიდანვე ენააღმდეგებოდით 2012 წელს მიღებულ კანონს და უნინასწარმეტყველებდით წარუმატებლობას. რატომ იყავით და ხართ არსებული თეატრის კანონის წინააღმდეგი?

- გამაღობთ, რომ საშუალებას მაძლევთ აუხსნა მკითხველს, მაყურებელს, საზოგადოებას, კოლეგებს და საერთოდ, თეატრის თავყვანის-მცემლებს ამ ცვლილებების არსი და მიზანი. მინდა განვუმარტო საზოგადოებას, რამ გამოიწვია პანიკა, ასეთი ისტერიკა და შოში. პასუხები მარტივია. პირველი: არსებული კანონი ცუდია. მე ამ კანონს შევარქვი „ბალადა, თქმულემა მინისტრზე“. ეს კანონი პასუხისმგებლობას არ აკისრებს, არ შეიცავს არანაირ რეგულაციებს, არანაირ პროცედურებს არ არის განწესებული. აბსოლუტურად უგულვებლყოფს შემოქმედებითი კოლექტივის აზრს. სრული განუკითხაობის და ერთპიროვნული მართვის შესაძლებლობას იძლევა, ერთი სიტყვით კი თანამდებობის უზურპაციის. მეორე: ხელოვნურადაა შექმნილი სარეკომენდაციო საბჭო, რომელიც მხოლოდ თეატრმცოდნეებით არის დაკომპლექტებული. საქართველოს ყველა თეატრში მათი უშუალო მონაწილეობითა და მი-



„გული მწყდება თვითონ სტურუაზე რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება... 30 წლის განმავლობაში რაც ერთად გვიკეთებია და გვიზრობია, ერთი მშვენიერ დღეს ამ ყველაფრის მოშორება, დანგრევა და სანახევო ყუთში გადაგდება რატომ მოინდომა?!“

თითებით ინიშნებიან, ხაზს ვუსვამ, ინიშნებიან სამხატვრო ხელმძღვანელები, შემოქმედებითი კოლექტივის აზრის გათვალისწინების გარეშე. არასდროს ყოფილა ქართული თეატრის ისტორიაში ისეთი მომენტი, როცა თეატრმცოდნეებს ეძლეოდათ უფლება სამხატვრო ხელმძღვანელების წარდგენისა და დანიშვნისა. ეს ყოველად დაუშვებელია. თეატრმცოდნეები დისტანცირებულნი უნდა იყვნენ ასეთი საკითხებისგან, რათა შეძლონ ობიექტური შეფასება და კრიტიკა. ისინი დაინტერესებულ მხარეს არ უნდა წარმოადგენდნენ. ახლანდელმა თეატრმცოდნეებმა კი დაივიწყეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა - წერონ კრიტიკული წერილები, სტატიები და შეფასებები და ამის ნაცვლად სხედან რაღაც გაუგებარ ბორდებში თუ საბჭოებში და იღებენ გადაწყვეტილებებს, თანაც ისე, რომ შემოქმედ ადამიანებს არაფერს ეკითხებიან. არსებული კანონი მკვდრად შობილი იყო, პარლამენტში განწიერი იყო ჩასაგდებად, მაგრამ მაინც დაეუჭირეთ მხარი, იმ იმედით, რომ დეპუტატებში ხარე-

ვები გასწორდებოდა. დეპუტატს შევიწმაცეთ, მაგრამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ დეპუტატზე უარი განაცხადა აბსურდული მიზეზების გამო. პასუხი იყო ასეთი: „რაც კანონში არ წერია, იმას ჩვენ დეპუტატში ვერ გავწერთ“. მივხვდით, ვისთანაც გვექონდა საქმე და იმ დღიდან დავიწყეთ ცვლილებებზე ფიქრი.

- კი მაგრამ, რა არის ახალი კანონის არსი და მიზანი? რით განსხვავდება ის არსებულისაგან?

- ჩვენი სურვილია, რომ შემოქმედებითი კოლექტივებს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება, ავტონომიურობა, რათა შემოქმედმა ხალხმა თავიანთი ბედის განკარგვაში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. თავისუფალი სივრცე - კონკურენტუნარიანი გარემო - აი, რისი შიში აქვთ. ქვეყანაში, სადაც ვირჩევთ პრეზიდენტს, მერს, გამგებებს, უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო საბჭოები, რექტორებს,

„ჩვენი სურვილია, რომ შემოქმედებითი კოლექტივებს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება, ავტონომიურობა, რათა შემოქმედმა ხალხმა თავიანთი ბედის განკარგვაში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. თავისუფალი სივრცე - აი, რისი შიში აქვთ“

სკოლებში - დირექტორებს და ა.შ - რა ხდება? რა საინტერესოა, თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევის დროს (მავანი მხოლოდ მინისტრის მხრიდან დანიშვნის მომხრეა) გათვალისწინებული იქნას შემოქმედებითი კოლექტივების აზრი?! რაშია საქმე?! პასუხი მარტივია. იმ რეტორიკადა და მარგინალთა მცირე ჯგუფს ერთი საფიქრალი აქვთ მხოლოდ, როგორმე არ შეიცვალოს მათი მდგომარეობა, არ დაკარგონ ის პრივილეგიები (რისკენაც მუდამ ილტვოდნენ), საგარძლებში ისხდნენ და მენტორული ტონით, ერთპიროვნულად მოძღვრავდნენ ყველას. მათ როგორც აწყობთ ისე წყვეტდნენ თეატრებში არსებულ პრობ-

სებულს რაღა ვუნდოთ? როდესაც მინისტრი თუ მისი ვილაჯ უნიჭო მოადგილე (ქე რო თეატრების ბედი ჩაუბარებიათ ვითამ) თავიანთი უგემოვნო, პროვინციული შეხედულებებისამებრ პირდაპირ რომ ნიშნავენ და ათავისუფლებენ ხელმძღვანელებს, ეს არ არის საბჭოური?

- როგორც ცნობილია, ახლანდელმა დანიშნულმა სამხატვრო ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს კოლექტიურ წერილს, ცვლილებების წინააღმდეგია არიან.


- სწორედ მაგაშია საქმე, რომ დანიშნული ადამიანების დაბარება, ორგანიზება და მართვა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე არჩეულის, თავისუფალის, დანაშაულებული ვარ, ბევრს არც კი ნაუკითხავს და გაუაზრებია ამ ცვლილებების არსი. გამაკვირვა მათმა ასეთმა „ორგანიზებულმა“ და სკამის დაკარგვის შიშით „გაერთიანებამ“. რამდენიმე ადამიანის გარდა, სად მიიმალნენ ეგ „თეატრალეები“, როცა ჩვენ თეატრს ყველაზე მეტად უჭირდა? სად იყო მათი სოლიდარობა? რომელ ბუჩქებში იყვნენ გაყურსულნი? ახლა რა ვაჟაკობა და გამბედაობა შეეყარათ ასეთი. რა მორალურ საფუძურზე შედგნენ, რომ თავს უფლება მისცეს და კოლექტიურ წერილებს ხელს აწერენ თავიანთი დანიშნულების მითითებებით...
- და ვინ არიან ამ ცვლილებების მომხრეები?
- უამრავი საღად მოაზროვნე ადამიანი - რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, საოპერო მომღერლები...
- ქალბატონმა ქეთი დოლიძემ ხმაურიანად გამოხატა თავისი აზრი ცვლილებების მიმართ. თითქ-

„როდესაც რობერტ სტურუა თეატრიდან გაათავისუფლეს ლამის გული გამიჩერდა, სისხლი გამეყინა, თითქოს ძვირფასი ადამიანი მოგვიკლეს. აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ნებისმიერი ბრძოლისთვის ვიყავი მზად“

„თეატრში ერთი პერიოდი ისე დაიკაზმითარება, შეიძლება უმართავი სიტუაცია მიგველო. საქმე შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებაშიც მისულიყო. ამ პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, მივმართე ბრძოლის კანონიერ გზას“



EXCLUSIVE



„ამჟამინდელი ფინანსური დირექტორის რეპუტაცია რუსთაველის თეატრის ავტორიტეტს არ შეესაბამება. მიუხედავად ოთხგზის შეთანხმებისა და თხოვნა-მუდარისა, რომ ეს კაცი თეატრში არ შემოეშვა, რობერტ სტურუამ მაინც მოიყვანა. რატომ ასეთი ტყუილი, უპატივცემულობა? ამან გამოიწვია უამრავ ადამიანში პროტესტის გრძნობა, ჩემში კი შეურაცხყოფის განცდა“

„როცა აწყდები ასეთ უსამართლოებას, უპატივცემულობას, უზურაცხყოფას, ასეთი უკადრისი ხერხებით ბრძოლას, იძულებული ხარ შენც ბრძოლით უზასუსო და თავი დაიწვა. ეს წერილი არის ერთგვარი ფარი, თავდაცვა მოსალოდნელი არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებლად“

ოს ეს ცვლილებები ბატონ რობერტ სტურუას წინააღმდეგ გაქვთ მიმართული, რასაც თქვენი პასუხი მოჰყვება და სიტუაციაც დაიძაბა.

- როგორ მელიმება ასეთ ცრუ, ფსევდო რეჟისორულ სოლიდარობაზე. თითქოს ერთს მზე და მთვარე ამოსდიოდეს მეორეზე, ხოლო მეორე მოჯადოებული და ალტაცებული იყოს პირველის წარმატებებით. ქეთი დოლიძეს რომ ჰკითხოთ, მისი დამსახურებაა მე რომ დეპუტატის მანდატი მერგო, ხოლო „ქართული ოცნება“ მისი თანადგომის გარეშე სანადელს ვერ მიიღწევდა და ქართველი ერი ნანატრ გამარჯვებას ვერ იზიებდა. რა ვქნათ, ასეთ დღეში ვართ, ასე „დავალბეულია“ საქართველო მისგან. მე მას ვარგად არ ვიცნობ. არ მქონია, არ მაქვს და იმედია, არც მექნება მასთან საქმე. მე ის არასდროს მიხსენებია, არანაირ კონტექსტში, არანაირი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. უბრალოდ, აღმშობელთა მისმა უტაქტობამ და წინდაუხედაობამ არასდროს მიკადრია სხვა თეატრის პრობლემებში და მით უმეტეს, სხვა ადამიანების უთიერობებში ჩარევა.

- ხომ არ ჯობდა თქვენ დაგეთმოთ? მაინც ქალბატონია...

- სანამ ადამიანი პირს გააღებ და შხამს ამოუშვებ, სადაც ცხვირის ჩაყოფას არავინ გეკითხება, იქ განიზრახავ და გულს ატკენ სხვას, ქალობაზე, კაცობაზე და კოლეგიალობაზე მანამდე უნდა იფიქრო.

- ბატონ რობიკოს და თქვენ დაპირისპირებაზე რას იტყვიან? როდღიდან იღებს სათავეს?

- არანაირი დაპირისპირება რობერტ სტურუასთან მე არ მაქვს! არ არის ღია კარის მტყვევა საჭირო! საქმე მარტივად. შემასხენეთ ერთი შემთხვევა, რომ მე მისთვის მეღალა-

ტოს ან მის წინააღმდეგ გამელაშქროს; მითხარით ერთი ფაქტი მაინც, რომ ულტიმატუმის ენით მესაუბროს მასთან ან თეატრის რომელიმე წევრთან; მითხარით, როდის მივიტყვი საზოგადოების ყურადღება პროტესტებით და სკანდალური ქცევით და ამით გავაბეზრე თავი თეატრში? ვის ჭირდება ეს? ვის აძლევს ეს გაუგებრობა ხელს? მე წამდვილად არა!

როდესაც რობერტ სტურუა თეატრიდან გაათავისუფლეს, ლამის გული გამიჩერდა, სისხლი გამეყინა, თითქოს ძვირფასი ადამიანი მოგვიკლეს. აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ნებისმიერი ბრძოლისთვის ვიყავი მზად. როგორ შეიძლება ასეთი დიდი მოვლენა გაგვეტარებინა რეაგირების გარეშე? განა დიდი რა გავაკეთეთ, მაგრამ ის მაინც შევქელით, ღირსება და „მუნდირი“ დაგვეცვა. 48 წლის კაცი პროკლამაციებს ვაკრავებდი თეატრში და მის გარეთ. შევეუძახებდი საკუთარ თავს და სხვას, რომ არ შეგუებოდნენ ამ მოვლენას. ხმამაღლა გავიძახე, რომ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა! ახლა კი ვილაყ კრეტივები ცილს მწამებენ და მბრალდებენ, რომ მე მას ვებრძვი, რომ მისი თეატრიდან წასვლის მომხრე ვარ და სამხატვრო ხელმძღვანელობა მინდა. ასეთი ავადმყოფური ტვინის მქონე ადამიანების მონაჩმასზე რა პასუხი უნდა ვაგო?! ჩემი ერთადერთი იარაღი სიმართლეა.

- და მერე რა მოხდა, რატომ შეიქმნა ასეთი დაძაბულობა? რამდენად ვიცით, თითქმის ერთი სეზონია სპექტაკლებს აღარ თამაშობთ.

- ჩემი თეატრის გარეთ ყოფნა, ვატყობ, მაინცდამაინც არავის ალღევს. არ ვიცით, რა გითხრათ, რატომ

შეიქმნა ასეთი დაძაბულობა, მეც მაინტერესებს. ერთი კია, გული მწყდება თვითონ სტურუამ რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, როცა, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა განსაკუთრებული შემოქმედებითი ენა მოვნახეთ და ეს შემოქმედებითი კავშირი თვისობრივად სულ სხვა ხარისხში ავიყვანეთ, 30 წლის განმავლობაში რაც ერთად გვიკეთებია და გვიშრომია, ერთ მშვენიერ დღეს ამ ყველაფრის მოშობა, დანგრევა და სანაგვე ყუთში გადაგდება რატომ მოინდომა?! ნუთუ მას გვერდით არ ჰყავს ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც შეზღუდვას და შეეკითხება: „ზაზას რას ერჩი? რა დაგიშავაო?“. რატომ დაუყენე საპირწონედ ეს ვილაყ ფინანსური დირექტორი თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას? „რატომ გახდა მისი თეატრში ყოფნა ასე აუცილებელი?“

- ვის გულისხმობთ? გია თევზაძეს?

- დიას, თეატრის ფაქტიურ დირექტორს, ამჟამინდელ ფინანსურ დირექტორს, რომლის რეპუტაცია რუსთაველის თეატრის ავტორიტეტს არ შეესაბამება. მიუხედავად ოთხგზის შეთანხმებისა და თხოვნა-მუდარისა, რომ ეს კაცი თეატრში არ შემოეშვა, მაინც მოიყვანა. რატომ ასეთი ტყუილი, უპატივცემულობა? ამან გამოიწვია უამრავ ადამიანში პროტესტის გრძნობა, ჩემში კი შეურაცხყოფის განცდა.

- კი, მაგრამ მაყურებელმა რა დაგიშავათ? როდემდე გასტანს თქვენი პროტესტი? თეატრიდან გაუჩინარების მიზეზს ნუთუ არავინ გეკითხება?

- ამ პრობლემების გარეთ გამოტანის არანაირი სურვილი არ მქონია. ეს „კეთილის მსურველების“ მეცადინეობით მოხდა. ვფიქრობდი და ველოდი მომენტს, რომ ეს პრობლემა თეატრის შიგნით სწრაფად, სამართლიანად და ადამიანურად გადაწყდებოდა. მართალი ხართ, ბევრი მეკითხებოდა იგივეს. მე კი ათას რამეს ვიკონებდი, ხან მოუცლევლობას ვიმიზეზებდი, ხანაც არ ვიცოდა... ათას რამეს. რაც შეეხება პროტესტს, ჩემი პროტესტი დასრულდება მაშინ, როცა ეს ფაქტიური დირექტორი თეატ-

„როგორ მელიმება ასეთ ცრუ, ფსევდო რეჟისორულ სოლიდარობაზე. თითქოს ერთს მზე და მთვარე ამოსდიოდეს მეორეზე, ხოლო მეორე მოჯადოებული და ალტაცებული იყოს პირველის წარმატებებით. ქეთი დოლიძეს რომ ჰკითხოთ, მისი დამსახურებაა მე რომ დეპუტატის მანდატი მერგო, ხოლო „ქართული ოცნება“ მისი თანადგომის გარეშე სანადელს ვერ მიიღწევდა და ქართველი ერი ნანატრ გამარჯვებას ვერ იზიებდა. რა ვქნათ, ასეთ დღეში ვართ, ასე „დავალბეულია“ საქართველო მისგან“

რს დატოვებს. მაგრამ ეს საკითხები არანაირ კავშირში არ არის თეატრის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანასთან!!!

- ანუ თქვენ კატეგორიულად მიჯნავთ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხსა და თეატრში არსებულ არცთუ ისე სასიამოვნო ვითარებას?

- რასაკვირველია. ჩემი არსებულ კანონთან უარყოფითი დამოკიდებულება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე, როგორც თქვენ ამბობთ, თეატრში არასასიამოვნო ვითარება.

- და წერილი პრემიერს?

- როცა აწყდები ასეთ უსამართლობას, უპატივცემულობას, შეურაცხყოფას, ასეთი უკადრისი ხერხებით ბრძოლას, იძულებული ხარ შენც ბრძოლით უპასუხო და თავი დაიცივა. დღევანდელი ჩემი სტატუსი განსაკუთრებულია. მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი. კაცმა რომ თქვას, ეს სტატუსი განსაკუთრებულ წინდახედულობას და სიფრთხილეს მოითხოვს ჩემგან. პრემიერი ჩვენი გუნდის ლიდერია, მასთან ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე, ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს სატელეფონო, წერილობითი თუ პირადად - შემიძლია ვიურთიერთო. ეს წერილი არის ერთგვარი ფარი, თავდაცვა მოსალოდნელი არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

- უფრო კონკრეტულად?

- თეატრში ერთი პერიოდი ისე იძაბა ვითარება, შეიძლება მიგველო უმართავი სიტუაცია. საქმე შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მიუსულიყო. ამ პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, მივმართე ბრძოლის კანონიერ გზას, რათა მერე მავანსა და მავანს არ ჰქონოდა საბაბი ეთქვა, რომ აი, ხედათ, პარლამენტის წევრი, დეპუტატი მოგვივარდა, იჩხუბა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენა მოქალაქეებს და ამით კანონმდებელი თვითონ იქცა კანონის დამრღვევად მაშინ, როცა მას აქვს ყველანაირი ბერკეტი - ტრიბუნა, იმისთვის, რომ ასეთი საკითხები ცივილიზებულად და კანონის ფარგლებში მოგვარდეს. რა, ვერ იტყვიან? იტყვიან! ვერ გამოიყენებდნენ? გამოიყენებდნენ! აი, ეს არის ამ წერილის პრემიერისთვის მიწერილი არსი. ეს არ ყოფილა პარლამენტის წევრი. მასში მოყვანილი ფაქტები ყველასთვის ცნობილია და არახალია. წერილი დანერვილია დეპუტატის ბლანკზე, ჩემი ხელმოწერით. ყოველ სიტყვაზე, ნერტილისა თუ მძიმეზე პასუხს ვაგებ!

- დაბოლოს, რა პერსპექტივა აქვს ამ ახალ ცვლილებებს?

- ჩვენ ვითვალისწინებთ კომიტეტზე გამოტყვევებულ შენიშვნებს, რჩევებს და უმოკლეს ვადაში წარვუდგენთ ყველა დაინტერესებულ ადამიანს, შემდეგ კი პროცედურული ნორმების დაცვით საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის მას.

„შეაჩხვანეთ ერთი შეთხვევა, რომ მე მისთვის მეღალატოს ან მის წინააღმდეგ გამელაშქროს; მითხარით ერთი ფაქტი მაინც, რომ ულტიმატუმის ენით მესაუბროს მასთან ან თეატრის რომელიმე წევრთან“

სალომე გოგონია

დაბა ვაზიანისკენ მიმავალი გზა უსასრულოდ გაიჭიმა. არადა, დასახლებული პუნქტი არც ისე შორსაა, თუმცა, მოუნესრიგებელ გზაზე, სადაც ალაგ-ალაგ ორმოები, მანქანას გადაადგილება უჭირს. ამ გზაზე ყოველდღიურად გადაადგილდებიან ადგილობრივები. ხელისუფლებების ცვლილება ამ ტერიტორიაზე არ ასახულა. მიუხედავად მოსახლეობის თხოვნისა, პრობლემები კვლავ მოუგვარებელია.

დაბა ვაზიანი გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია. თუმცა, გამგეობაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ტერიტორია მათ დაქვემდებარებაში არ შედის. შესაბამისად, არსებული პრობლემების მოგვარებაც მათ არ ევალებათ.

ერთ დროს მჩქეფარე სამხედრო ქალაქი დღეს გაპარტახებულია. მას შემდეგ, რაც ტერიტორია რუსმა სამხედროებმა და მათმა ოჯახებმა დატოვეს, იქაურობა დაცარიელდა. აფხაზეთის ომის შემდგომ, საცხოვრებელ კორპუსებში დევნილები შესახლდნენ. დარჩენილი ფართები კი უსახლკაროდ დარჩენილებმა და სოციალურად შეჭირვებულმა მოსახლეობამ დაიკავეს.

ხრიოკი ადგილი, ავარიული, ამორტიზებული შენობები, უგზობა - ეს დღევანდელი ვაზიანის სლობით მოუგვარებელი პრობლემებია.

იმ კორპუსებში, სადაც დევნილები ცხოვრობენ ბუნებრივი აირი და წყალი არცთუ დიდი ხნის წინ გაიყვანეს. ასევე, დევნილებს საცხოვრებელი ბინებიც გაურემონტეს. მათ ფონზე სოციალურად შეჭირვებულების სახცოვრებლები კიდევ უფრო უსახურად გამოიყურება.

„გაზი და წყალი გვაქვს, მაგრამ წნევა არ აქვს. ვწვალვით. მანამდე ეზოში ერთი ოცნის გვედგა და რიგში ვიდექით. მოსწრებაზე ვიყავით, რადგან წყალი გრაფიკით მოდიოდა. რემონტი მთავრობამ გააკეთა, მაგრამ ზურეულედ. უცებ გაფუჭდა. დღემდე ველოდებით პრივატიზაციას, მაგრამ რატომ ჭიანჭურდება მაგას არავინ გვეუბნება. არც ის ვიცით დაგვიკანონებენ თუ არა“, - განუცხადეს „პრაიმტიმს“ აფხაზეთიდან დევნილებმა.

მათგან განსხვავებით, სოციალურად შეჭირვებულები დღემდე სასმელ წყალს საერთო ონკანიდან აგროვებენ. მათ საცხოვრებლებში ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის გაყვანაზე რატომღაც არავინ იზრუნა.

სანამ მოსახლეობას ვესაუბრებოდი, იქვე, ონკანთან ნელ-ნელა გროვდებოდა სხვადასხვა ზომის ჭურჭელი. ლამის წვეთ-წვეთობით ჩამომავალი წყლით



თავდაცვის სამინისტროს ამორტიზებულ შენობებში მცხოვრებთა მოგავალი გუნდოვანია

**„არჩევნების
წინ რომ მიდიან
ამომრჩევლებთან,
ჩვენ მაშინაც არავის
ვახსენდებით. ალბათ,
არც იციან, რომ ამ
ადგილზე ადამიანები
ვცხოვრობთ“**

ჭურჭლის შევსებას თითოეული მობინადრე საკმაოდ დიდხანს ანდომებს. კორპუსიდან კორპუსამდე მიმავალ ეზოში გაშლილი კარავი შევამჩნიე, როგორც ადგილობრივებმა ამისხსნეს, მასში ერთ-ერთი დაზარალებული ცხოვრობს. შარშან, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სადარბაზო ჩამოინგრა. საბედნიეროდ, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. თუმცა, მობინადრეები ღია ცის ქვეშ დარჩნენ. ზოგმა ნათესავს შეაფარა თავი, ზოგმა ბინა იქირავა, ხოლო უსახსროდ დარჩენილმა ერთ-ერთმა ოჯახმა კარავი გაშალა და შიგ შეიხიზნა.

კარავის მობინადრეებთან გასაუბრება ვერ შედგა, რადგან „შინ“ არ იმყოფებოდნენ. ჩვენს შეკითხვებს სხვა მობინადრეებმა უპასუხეს.

მე-მ კორპუსი ოთხსართულიანია. პირველი სადარბაზო აღარ არსებობს. ნანგრევებში ბავშვები თამაშობენ. მიუხედავად იმისა, რომ აქ არათუ თამაში, გავლაც კი საშიშია, რადგან დარჩენილი კორპუსის ნანაილი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოიქცეს, ბავშვები ამ ადგილს მაინც არ სცილდებიან.

„თქვენც ხედავთ, რომ ამ დასახლებებში ერთი საბავშვო მოედანიც კი არ არის, რომ ბავშვებმა ითამაშონ.“

ხრიოკი ადგილია, დღისით თავს ვერსად შეაფარებ, ხე არ დგას. სადარბაზოს ჩამონგრევის შემდეგ, ბავშვები აქ მოდიან და თამაშობენ. ზაფხულში ხშირია ქვეწარმავლებიც. კორპუსი ნახევრად დანგრეულია. ბავშვებს შინ ვერ ვაჩერებთ, თამაში უნდათ და აქ მოდიან. ღმერთმა დაიფაროს და შენობა, რომ ჩამოიქცეს, შეიძლება რომელიმეს სიცოცხლე იმსხვერპლოს. პატრონი და გამკითხავი არავინაა. ვართ ასე, ბედის ანაბარად მიგდებულები“, - შემოგვიჩვიეს მობინადრეებმა.

ოფიციალურად, ამ კორპუსში ცხოვრება აკრძალულია, თუმცა, რამდენიმე ოჯახი მაინც ცხოვრობს. მათი თქმით, წასასვლელი არსად აქვთ. ქირით ცხოვრება გაუჭირდათ და უკან დაბრუნდნენ.

„ეს კორპუსი, როგორც სხვები, ავარიულია. რამდენჯერ დავენრეთ განცხადება, მივმართეთ გამგეობას, მოგვხედეთო, მაგრამ არავინ დაინტერესდა. იმ დღესაც გამგეობაში ვიყავი წასული ამ საკითხზე და როცა დავბრუნდი სადარბაზო ჩამონგრეული დამხვდა. ვერაფერი გადავარჩინე. რაც მქონდა ყველაფერი დავკარგე. ცარიელ-ტარიელი დავრჩი. ვის არ მივმართეთ, მაგრამ პატრონი არავინაა. თავდაცვის სამინისტრო ამბობს, ჩემი არ არისო, ეკონომიკის სამინისტროც იგივეს ამბობს და მათ შორის დავდივართ და დღემდე ვარკვევთ. ამ კორპუსში ცხოვრება არ შეიძლება, რადგან ნებისმიერი დროს დარჩენილი ნანაილიც შეიძლება ჩამოინგრეს. შემოგვთავაზეს ბალის შენობაში გადასვლა, მაგრამ უარი ვთქვით. ბალის შენობის პირველ სართულზე ბავშვები არიან, მეორეზე მედ-პუნქტის სამი ოთახია განთავსებული. მესამე სართული შემოგვთავაზეს, სადაც არც კანალიზაციაა და არც წყალი. როგორ უნდა გვეცხოვრა იქ? ამიტომ, ამ შეთავაზებაზე უარი ვთქვით. არჩევნების წინ რომ მიდიან ამომრჩევლებთან, ჩვენ მაშინაც არავის ვახსენდებით. ალბათ, არც იციან, რომ ამ ადგილზე ადამიანები ვცხოვრობთ“, - შემოგვიჩვილა დაზარალებულმა ია ბრეგვაძემ.

სადარბაზოს ჩამონგრევის დღიდან 63 წლის ციური მგალობლიშვილი მახლობლად მდებარე ავტოფარეში ცხოვრობს. მისი ბინა ჩამონგრეულის

„სომ ხელავთ რა საშინელი გზა არის. დეარტმა დაიფაროს და ვინაე ცუდად რომ გახდეს, სანამ სასწრაფო აქამდე მოაღწევს კი მოკვდება. ავთიაქი ჩვენ არ გვაქვს. წაგლეპი ქალაქიდან მოგვაქვს, ვიგარაგებთ“

უსში ცხოვრება არ შეიძლება, რადგან ნებისმიერი დროს დარჩენილი ნანაილიც შეიძლება ჩამოინგრეს. შემოგვთავაზეს ბალის შენობაში გადასვლა, მაგრამ უარი ვთქვით. ბალის შენობის პირველ სართულზე ბავშვები არიან, მეორეზე მედ-პუნქტის სამი ოთახია განთავსებული. მესამე სართული შემოგვთავაზეს, სადაც არც კანალიზაციაა და არც წყალი. როგორ უნდა გვეცხოვრა იქ? ამიტომ, ამ შეთავაზებაზე უარი ვთქვით. არჩევნების წინ რომ მიდიან ამომრჩევლებთან, ჩვენ მაშინაც არავის ვახსენდებით. ალბათ, არც იციან, რომ ამ ადგილზე ადამიანები ვცხოვრობთ“, - შემოგვიჩვილა დაზარალებულმა ია ბრეგვაძემ.

სადარბაზოს ჩამონგრევის დღიდან 63 წლის ციური მგალობლიშვილი მახლობლად მდებარე ავტოფარეში ცხოვრობს. მისი ბინა ჩამონგრეულის

მეზობელ სადარბაზოს მესამე სართულზეა. იცის, რომ კორპუსი ნებისმიერი დროს შეიძლება ჩამოინგრეს. ამიტომ რისკის ქვეშ ცხოვრებას ავტოფარეში არჩია.

„შვილო, აქ ჩემი ნახევარი ცხოვრება გავატარე. ჩემი ქმარი ვაზიანის სამხედრო ბრიგადაში „პოდპორუჩიკი“ იყო. აქ მისცეს ბინა. ჩემი შვილები აქ გაიზარდნენ. სამი წლის წინ ქმარი დამეღუპა. დავრჩი მარტო. შვილი და შვილიშვილი რუსთავში ცხოვრობენ. იმათთან ვერ წავალ, განა იმიტომ, რომ არ მიმიღებენ, არ შემიძლია აქაურობის მიტოვება. მთელი ცხოვრება შეექმენი და როგორ მივატოვო? კორპუსში ვერ ვიცხოვრებ. აქ ბოსტანი მაქვს, ორი ძროხა მყავს. აქაური ბავშვები ჩემი ძროხების რძით არიან გაზრდილები. ჩემს შვილიშვილს ვვებარებ. ჩემს პენსი-



ფილ სამხედრო ქალაქში

„თქვენც ხედავთ, რომ ამ დასახლებაში ერთი საბავშვო მოედანიც კი არ არის, რომ ბავშვებმა ითამაშონ. ხრიოკი ადგილია, დღისით თავს ვერსად შეაფარებ, ხე არ დგას. სადარბაზოს ჩამონგრევის შემდეგ, ბავშვები აქ მოდიან და ითამაშობენ“

იას მაგას ვაძლევ. ყველს ვყიდი და ეს ყველაფერი როგორ მივატოვო? ჯერ ჯვანი მერჩის და ჩემს შვილებს და შეილიშვილებს ვჭირდები. იმ დღეს, როცა სადარბაზო ჩამონგრება, გარაჟში ვიყავი. საშინელი ხმა შემომესმა. მეგონა რაღაც აფეთქდა, რას ნარმოვიდგენდი, რომ კორპუსი ჩამონგრეოდა?! გავიქეცი და ვხედავ ბული დგას და მოსახლეობა სადარბაზოებიდან გამორბის. ჩემი ბინა გვერდით სადარბაზოშია. იქიდან რაღაცები ნამოვილე, მაგრამ ავეჯი დავეტოვე. ხანდახან ბინაში შევდივარ, დავალაგებ, მტვერს გადავწმენდ და ავტოფარეხში ვბრუნდები. ძნელია აქ ცხოვრება. ზამთარში ორი მანქანა შემა დავწვი, ვერ ვთბებოდი. ახლა ზაფხულია და გაუსაძლისი სიცხეა, სახურავი ხურდება. ღამით კარს ვკეტავ, მეშინია ქვეწარმავალი არ შემოიჭრეს. არადა, თქვენც ხომ ხედავთ კარი ღიაა და სუნთქვა მაინც ჭირს, როცა დავკეტავ რა იქნება? ამას ნინათ სანოლზე ვინეჭი და ჩამოძინებია, კარი ღია დამრჩა და ხვლიკი შემოპარულა. ხმაურმა გამაღვიძა, რაღაცას მიეხეთქა. გულგახეთქილი ნამოვარდი, მაგრამ ვერ დავიჭირე, სანოლისკენ გაძვრა და შეიძლება დღესაც აქ იმალება“.

გვიამბო ციური ბებო.
იმის გამო, რომ ციური მგალობლიშვილს ორი ძროხა ჰყავს, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ მიანიჭეს.
„მითხრეს, ძროხები გყავს და არ გეკუთვნისო. არადა, ამ ძროხებს შენახვა ხომ უნდათ. მარტო ბალახი არ ჰყოფნის. ზაფხულში კი, საბალახოდ გავუშვებ, მაგრამ „კორმ-აზე“ გაზრდილ ძროხას ბალახი რას ეყოფა? ყოველკვირა ვყიდულობ, მშვივრებს ხომ არ დავებოცავ“. - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.
სხვა პრობლემებთან ერთად დასახლებას გადაადგილების პრობლემაც აქვს, არ აქვთ აფთიაქი.
დაბა ვაზიანში მცხოვრებთ ერთი მიმართულებით ვაზიანი-სამგორი-ისანი მოძრავი კერძო მარშრუტი ემსახურება. მგზავრობა ერთი ლარი ღირს.
„ორი ლარი მარტო იმისთვის გინდა, რომ ქალაქამდე ჩახვიდე. იმის იქით რამდენი სჭირდება გზას? შეიძლება ათი ლარიც არ გეყოს. თანაც, „მარშრუტკები“ თავის ნებაზე დადიან. გვიანობამდე არ მუშაობენ. ასეთ დროს აქ მხოლოდ ტაქსით მოხვალ. ტაქსი სულ მცირე 20 ლარს ითხოვს. ვის აქვს იმდენი საშუალება, რომ ყოველდღე ტაქსით იაროს? ძალიან ბევრი მუშაობაზე უარს ამბობს, რადგან სამსახურს



EXCLUSIVE

გვიან ამთავრებს, ამ დროს „მარშრუტკა“ აღარ არის, ყოველდღე ტაქსით თუ იარე თვის ბოლოს რა დაგჩრება? - ამბობს დევნილი ხატია.
„ხომ ხედავთ რა საშინელი გზა არის. ღმერთმა დაიფაროს და ვინმე ცუდად რომ გახდეს, სანამ სასწრაფო აქამდე მოაღწევს კი მოკვდება. აფთიაქი ჩვენ არ გვაქვს. ნამლები ქალაქიდან მოგვაქვს, ვიშარავთ. მაღაზია აქ არ არის. ერთ-ორს პატარა ჯიხურები აქვს და იქაც პროდუქტს სამმაგ ფასში ჰყიდიან“, - ჩივის მოსახლეობა.
პარალელურად, ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს. როგორც ჩვენმა რესპონდენტებმა გვითხრეს, ახალ შენობებში ახალგორიდან დევნილები უნდა შესასხლონ.

„ჯერ აქ მცხოვრებთ მოგვხედონ და მერე იზრუნონ სხვების შემოსახლებაზე. სხვების შემოსახლებას არ დავუშვებთ“. - ამბობენ სოციალურად შეჭირვებულები.
მას შემდეგ, რაც ყოფილი სამხედრო ქალაქში მცხოვრებთა პრობლემები მოვისმინეთ, კომენტარისთვის ოფიციალურ უწყებებს მივმართეთ. დავინტერესდით ვის ხელეწიფება მათი პრობლემების გადაჭრა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თენგიზ მიროტაძემ „პრაიმტიმთან“ საუბარში აღნიშნა, რომ აღნიშნული ტერიტორია გარდაბნის მუნიციპალიტეტს არ ეკუთვნის. შესაბამისად, გამგეობა პასუხისმგებელი არ არის.
„ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან განცხადება შემოვიდა, მაგრამ ეს ტერიტორია ჩვენ არ გვეკუთვნის. გარკვეული ტერიტორია რეგისტრირებულიც არ არის. ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის“, - განაცხადა მიროტაძემ.
ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოში კი განმარტავენ, რომ ჩვენს მიერ დასახლებული კონკრეტული ადგილი დარეგისტრირებული არ არის. თუმცა, მინა სამინისტროს ეკუთვნის.
რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ეკა შანიძემ განაცხ-

ადა, ვაზიანში მდებარე საცხოვრებელი სახლები ნამდვილად თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაა.
„თუმცა, ეს შენობები იმდენად ამორტიზებულია, რომ შეკეთებას არ ექვემდებარება. თავის დროზე იქ რუსი სამხედროები და მათი ოჯახები ცხოვროდნენ. ეს შენობები აშენებულია კომუნისტების დროს. მათი ნასვლის შემდეგ შენობები დაცარიელდა. დევნილები და უსახლკ-

„ზაფხულში სმირია ქვეწარმავლებიც კორპუსი ნახევრად დანგრეულია. ბავშვებს შინ ვერ ვაჩერებთ, თამაში უნდათ და აქ მოდიან. ღმერთმა დაიფაროს და შენობა, რომელიმეს სიცოცხლე იმსხვერპლოს. პატრონი და გამკითხავი არავინა“



აროები იქ თვითნებურად შეიჭრენ. ჩვენს კომპეტენციაში არ შედის მათი დაკმაყოფილება. ამის უფლება არც კანონით გვაქვს. ამ ადამიანებს ვერც გამოვასახლებთ, რადგან ამის ვალდებულება არ გავგანჩნია“, - აღნიშნა შანიძემ.
ასეთია ოფიციალური სტრუქტურების პასუხები. თუმცა, დაბა ვაზიანში მცხოვრებთათვის ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. მათთვის გაუგებარია ასეთი შერჩევითი სამართალიც. ერთი მხრივ, ვაზიანი ახალი მოსახლეობის მიღების მოლოდინშია, ხოლო მეორე მხრივ, ძველი მობინდარების მომავალი ბუნდოვანია.



VIP პატიმარმა ციხის დირექტორის კაბინეტში ინგლისურის მასწავლებელი გააუპატიურა

my View
მირიან გოქოლიძე

რა პრივილეგიებით სარგებლობდა ციხეში სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კუდის 4 მაღალჩინოსანი? ამ თემაზე „პრაიმტაიმს“ არაერთი სტატია გამოუქვეყნებია, თუმცა ისტორია, რომლის შესახებაც ახლა ვიხილავთ, ცაილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ პრივილეგია... საქმე ეხება სასჯელალსრულების #10 დაწესებულებაში მომხდარ დღემდე გაუხმაურებელ დანაშაულს.

„პრაიმტაიმს“ კარგად ინფორმირებული წყარო უყვება, რომ გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გია ალანია ციხეში ყოფნის დროს სწავლა-განათლებით დაინტერესებულა. კერძოდ, ის ინგლისურის შესწავლით იყო დაკავებული. მათთვის მინიჭებული პრივილეგიების ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ სპეციალურად ალანიასთვის სასჯელალსრულების დაწესებულებას კვირამი რამდენჯერმე სტუმრობდა ინგლისურის მასწავლებელი.

ახალგაზრდა გოგონა ინგლისურის სპეციალურ, დაჩქარებულ კურსებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაშიც ატარებდა, მათ შორის მოდულის შენობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. სწორედ კუდის თანამშრომლების თხოვნით მოხდა მისი მივლინება პატიმრობაში მყოფ გია ალანიასთან. გაკვეთილები არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ ციხის დირექტორის, თემურ ტაბალუას (მემდგომში ბერად აღკვეცილი მამა ნიკოლოზის) კაბინეტში ტარდებოდა. იმას, რომ გია ალანია ზოგადად ხშირად სტუმრობდა ციხის დირექტორის კაბინეტს, პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს ტაბალუას მოადგილე, მურად გაბუნია. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა გაბუნიას დაკითხვის ოქმი, სადაც ის ინგლისურის მასწავლებელზე არა, მაგრამ ციხეში ქალბატონების შეყვანის შესახებ საუბრობს.

„არაერთი შემთხვევა მინახავს, რომ გეგონტი ალანია ციხის დირექტორის კაბინეტში არსებულ კომპიუტერთან



EXCLUSIVE

ამაზე ციხის კედლებს არ გასცდენია. ცხადია, დაზარალებული დამინებელი იყო და საქმის განმარტება, ან გამოძიების დაწყება არც კი უფიქრია, მაგრამ რა ხდება ახლა? ამბობენ, რომ ამ ფაქტზე საგამოძიებო ორგანოს ციხის ყოფილი თანამშრომლების ჩვენებებიც აქვს და მტკიცებულებებიც (მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით), თუმცა სექსუალური ძალადობის ფაქტზე ძიება არც ამჯერად დაწყებულია. საქმე მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ გი-

ლს უწყობდნენ ციხის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. ახალგაზრდა ქალბატონმა ციხეში კონტროლიორად მუშაობა 2006 წელს დაიწყო, მალევე იქ სასჯელის მოსახდელად კუდის მაღალჩინოსნებიც მიიყვანეს. მ.დ.ს მოვალეობაში შედიოდა, რომ ყოველ ნახევარ საათში შეემომეზინა დაწესებულების საგუშაგოების მორიგეები, ასევე თვალყური ედევნებინა ციხის ტერიტორიისთვის და იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას შენიშნავდა, ხელმძღვანელობისთვის ეცნობებინა.

მისი თქმით, ერთ დღეს, ხელმძღვანელობის მითითებით, ის აღმოჩნდა ყოფილ მედპუნქტში, სადაც სუფრა დახვდა გაბლილი. ციხის კონტროლიორი ქალბატონი ყვება, რომ იმ დღეს ალექსანდრე ლაჭავაძის მისი ნების საწინააღმდეგოდ მასთან სექსობრივი კავშირი დაამყარა.

მას გირგვლიანის საქმეში მსჯავრდადებულების გათავისუფლებამდე (ისინი პრაიმტაიმსმა 2009 წლის სექტემბერში შეინყა) ორი წლით ადრე სამსახური დაატოვებინეს. ამის მიზეზად სწორედ ალექსანდრე ლაჭავაძის ციხეში არსებული ურთიერთობას ასახელებს.

„საბოლოოდ #10 დაწესებულებაში დაწყებული რეორგანიზაციაში მომსახურების და მტკიცების შემცირების მიზეზით სამსახურიდან დამითხოვეს, თუმცა ჩემი განთავისუფლების რეალური მიზეზი სწორედ ალექსანდრე ლაჭავაძის ურთიერთობა იყო“, – ამბობს ციხის ყოფილი თანამშრომელი.

მისივე განცხადებით, ზემოხსენებულ პრივილეგიებულ პატიმრებს ხშირად სტუმრობდნენ გარედან, რო-

მელთაც რეგისტრაციაში არ ატარებდნენ, ციხის ადმინისტრაცია კი პრაქტიკულად მათ მომსახურე პერსონალს ხარმოდგენდა.

„ლაჭავაძისთან და მასთან ერთად მყოფ პირებთან ბევრი ხალხი მოდიოდა. ოჯახის წევრების გარდა, რეგისტრაციას არავინ გადიოდა. ეს ყველაფერი კი ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე არ მოხდებოდა. თემურ

სა და დანარჩენ პირებთან შეთანხმების გარეშე, სტუმრების ურეგისტრაციოდ მესვლა შეუძლებელი იქნებოდა“.

კეთილმოწყობილი სამზარეულო, სადაც განთავსებულია: ორკამერიანი მაცივარი, მაგიდა, სკამები, სამზარეულოსთვის საჭირო უახლესი ტექნიკა... ასევე, კეთილმოწყობილი ოთახები ხის ორადგილიანი საწოლით, დიდი პლაზმური ტელევიზორით DVD-ით, კომპიუტერული ტექნიკით, მუსიკალური ცენტრითა და სხვა ატრიბუტიკით... გაზაზხლებული და ახლად შეღებილი იატაკი და კედლები, ფანჯრებზე ძვირადღირებული ფარდები... ასე გამოიყურებოდა სასჯელალსრულების #10 დაწესებულების ყოფილი მედპუნქტი, რომელიც 2006 წლის მარტში საგანგებოდ მოწყვეს ე.წ. VIP პატიმრებისთვის. სწორედ აქ იხილდნენ სასჯელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები. ბევრი ითქვა და ბევრიც დაინერა იმაზე, როგორი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ეს პატიმრები ციხეში, ამიტომ ამ დეტალებით თავს აღარ შეგანყენებ. გეტყვით იმას, რომ სწორედ ამ პრივილეგიების მინიჭებისთვის წაუყენეს ბრალი სასჯელალსრულების დეპარტამენტის იმდროინდელ თავმჯდომარეს, ბაჩანა ახალაიას. თავად ახალაიას ადვოკატები ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ „მინვანე შუქი“ კუდის მაღალჩინოსნებისთვის ახალაიას არ აუნთია. მაშინ გამოდის, რომ პრივილეგიები მსჯავრდადებულებს უშუალოდ ციხის ადმინისტრაციამ მიანიჭა, რომლის მიმართაც პროკურატურას პრეტენზიები ვერცხვრობით არ გასჩენია. ციხის იმდროინდელი ხელმძღვანელობა საქმეზე მონაწილე სტატუსით დაკითხეს.

სამსუაღური კალაღობის ფაქტზე ძიება არც ამჯერად დაწყებულა



ივდა და მუშაობდა. არასოდეს დარეგისტრირებულა მათთან მოსული აუარება მხაზველი, რომელთა შორისაც იყვნენ მეგობრები, ნათესავები, ყოფილი თანამშრომლები და ოჯახის წევრები. ყველა დასახელებულ პირს შეეძლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოსვლა და მათთან შესვლა, საკმარისი იყო მხოლოდ ეთქვათ, ვისთან მიდიოდნენ... მოსული მხაზველები ზემოაღნიშნულ პირებთან ხშირად მართავდნენ სუფრებს და ქეიფობდნენ გვიანობამდე, ან თუნდაც დღამდე. არ დავმაღავ და მეც მომიხია რამდენიმეჯერ მათთან ერთად სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ისმებოდა ალკოჰოლური სასმელი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ოჯახის წევრები ღამეც დარჩენილან მათთან. იყო შემთხვევები, როცა ღამეს აღნიშნულ პირებთან ათევენდნენ ქალბატონები, რომლებიც არა მგონია მათი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ. – ეს არის ამონარიდი მურად გაბუნიას ჩვენებიდან, რომელიც „პრაიმტაიმს“ ჩაუვარდა ხელში.

ამ ჩვენებით დასტურდება, რომ გია ალანია მართლაც ხშირად სტუმრობდა ციხის დირექტორის კაბინეტს. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, ერთ-ერთი მორიგი გაკვეთილის დროს ალანიამ ინგლისურის მასწავლებელ გოგონაზე სექსუალური ძალადობა განახორციელა. ეს

რგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებისთვის პრივილეგიებული მდგომარეობის მინიჭების ფაქტზე პროკურატურამ ბაჩო ახალაიას წაუყენა ბრალი.

თავად თემურ ტაბალუა კი, რომლის კაბინეტში ინგლისურის მასწავლებელი პატიმარმა გააუპატიურა, ამჟამად მონასტერშია წასული. ის საპატრიარქოს მიერ დადგენილ სასჯელს ერთ-ერთ მონასტერში იხდის მას შემდეგ, რაც ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო, მღვდელმსახურება შეუწყობდა.

სხვათა შორის, ინგლისურის მასწავლებლის გაუპატიურების ფაქტი ერთადერთი სექსუალური ხასიათის დანაშაული არ არის, რომელიც ზემოხსენებული მსჯავრდადებულების სახელს უკავშირდება.

„პრაიმტაიმს“ ერთხელ უკვე წერდა სასჯელალსრულების #10 დაწესებულების დაცვის სამსახურის კონტროლიორის შესახებ, რომელიც ზემოხსენებული პატიმრებიდან ერთ-ერთს, კერძოდ, ალექსანდრე ლაჭავაძის მისი ნების საწინააღმდეგოდ სექსობრივი კავშირის დამყარებაში ადანაშაულებდა, მისი მონათხრობით ირკვევა, რომ ლაჭავაძე ხე-



ეს ამჟამი ციხის კედლებს არ გასცდენია. ცხადია, დაზარალებული დამინებელი იყო და საქმის განმარტება, ან გამოძიების დაწყება არც კი უფიქრია

არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული სარდალი თანამდებობაზე დააბრუნეს

my View
მირიან ბოქოლიძე

ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის ეგიდით მოსული „ქართული ოცნება“ ძალიან სტრუქტურების მთავარ პრიორიტეტად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას ასახელებდა. გამოაშკარავდა რამდენიმე საქმე და პასუხისმგებში მიეცა არაერთი პირი, თუმცა, როგორც ირკვევა, ძალადობრივ დანაშაულში მხილებულ პირებს მფარველები მოქმედ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ. ამის დასტურია ისტორია, რომლის შესახებაც ახლა ვიამბობთ.

საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში სამხედრო პოლიციამ თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოჯისტიკის სარდალი გიორგი კერესელიძე დააპატიმრა. მას ბრალი ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცვლისა და სამხედროების მიმართ ძალადობრივი ქმედებების გამოყენებაში. საქმე ეხება 2012 წლის არჩევნებამდე გარდაბნის რაიონის სოფელ განიანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტს. სარდალი კერესელიძე ავტობატალიონში მძღოლების მიერ სანჯავის გადახარჯვას გაუღიზიანებია. ითქვა, რომ მან ჯარისკაცები გააშიშვლა, ფიზიკურად გაუსწორდა, ორმოში ჩაყარა და თავზე სანჯავი გადაასხა.

მოკლედ, კერესელიძეს ბრალი წაუყენეს, პროკურატურა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, თუმცა 2013 წლის 13 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მას თავდებში ჩაუდგინენ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის მინისტრის მოადგილე, სასამართლო პროკურატურის მოთხოვნა

გიორგი კალანდიაძე: „თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დააკავა და ჩრიოდა დღეში, ახვე თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თავდაპოებით სასამართლომ გაათავისუფლა. სიამართლე გითხვართ, გამიკვირდა, თუმცა შეიძლება ეს ფაქტებიც გამოაშკარავდეს, მივხვდი, რა უსწრად რაში იყნ სარდალი“



არ დააკმაყოფილა და კერესელიძე თავდების ქვეშ გაათავისუფლა. მეტიც, მალევე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცვლაში ბრალდებული სარდალი საკუთარ პოსტზე აღადგინეს და ამჟამად აგრძელებს საქმიანობას.

რის სანაცვლოდ გაათავისუფლეს და რატომ აღადგინეს თანამდებობაზე ლოჯისტიკის სარდალი გიორგი კერესელიძე? ამბობენ, რომ პატიმრობიდან მის განთავისუფლებას წინ უძღოდა სამხედრო პოლიციაში გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გიგი კალანდიაძის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება. კერესელიძე გიგი კალანდიაძეს სანჯავის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდა. ამ საქმეზე გიგი კალანდიაძე მართლაც დაკითხა სამხედრო პოლიციაში. „პრაიმტიმთან“ საუბრისას გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი ვარაუდობს, რომ კერესელიძის განთავისუფლება და თანამდებობაზე აღდგენა სწორედ ამ ჩვენებას უკავშირდება.

გიგი კალანდიაძე, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი:

– ეგ ადამიანი დააკავეს, როგორც გავიგე, თითქოს სანჯავის მოპარვის გამო გაუსწორდა სამხედროებს. ამ ინფორმაციას მე არ ვფლობდი და ვერც ახლა დავადასტურებ. მაშინ ვფიქრობდი, რომ კერესელიძე იყო თავდაცვის სამინისტროში ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც მიცნობდა და ამასთანავე, კვლავ რჩებოდა თანამდებობაზე. აი, როცა ბრალი წაუყენეს და დაიჭირეს, ეჭვი გამიჩნდა, რომ მოგონილი ბრალდებით დააკავეს იმისთვის, რომ ისიც ჩამოემორებინათ თანამდებობისთვის. რამდენიმე დღეში ის გაათავისუფლეს ხელმძღვანელი პირების თავდებობით. ანუ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დააკავა და ორიოდ დღეში, ასევე თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თავდებობით სასამართლომ გაათავისუფლა. სიამართლე გითხვართ, გამიკვირდა, თუმცა შემდგომ რა ფაქტებიც გამოაშკარავდა,

მივხვდი, რეალურად რა ხდებოდა. ამ ამბის შემდეგ კერესელიძემ ბრალი დამლო სანჯავის გაფლანგვაში, რაც რეალურად არ შეესაბამება. ჩემს წინააღმდეგ აბსურდული ბრალდების გაფლანგვის შემდეგ კი ის არა მარტო ციხიდან გამოვიდა, არამედ დიახ, ძველ თანამდებობაზე აღადგინეს, სადაც ახლაც მშენივრად გრძნობს თავს.


– ანუ მან მიიღო გარანტია, რომ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგადებდათ ხელს, თავად ძველ პოსტზე დააბრუნებდნენ?

– ესაა ლოგიკა და მე ამ ლოგიკურ ფაქტს მივყვები, სხვა რა შეიძლება იფიქრო ადამიანმა. მე ამის შემდეგ მართლაც დამკითხეს სანჯავის თემაზე სამხედრო პოლიციაში, თუმცა ჯერჯერობით საქმეს მსვლელობა არ მოჰყოლია. მეც კი დამაპატიმრეს, მით უმეტეს გაერთიანებული შტაბის უფროსი გახლდით, მაგრამ თავდებში ნამდვილად არ ჩამდგომიან თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები. რატომ და რის სანაცვლოდ გააკეთეს ეს, კერესელიძის შემთხვევაში ძალიან დიდ ეჭვს ბადებს.

ამბობენ, რომ კერესელიძის საქმეს 50-მდე დაზარალებული ჰყავს, თუმცა სამხედრო პოლიციის ჩარევის შედეგად ისინი გააჩუმეს. თავად სამხედრო პოლიციის უფროსი კახაბერ ჩიხრაძე ამ თემაზე არ საუბრობს. მან მცირე კომენტარი საინფორმაციო პორტალ „კვირას“ მისცა.

„სიცრუეა. არავინ არც დამიშინებია და არც მომიწყვიდავს. მე, რა თქმა უნდა, ბევრი ინფორმაცია მაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვალდებული ვარ, ეს ინფორმაცია პრესას ვუთხრა. მე არც არაფერი ჩამიფარცხავს და არც საქმე „შემიკურავს“, ენას ძვალი არ აქვს. ბევრს შეუძლია, რალაცები ილაპარაკოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სიმართლეა“, – განაცხადა კახა ჩიხრაძემ.

თავად გიორგი კერესელიძე კი განიანის ბაზაზე მომხდარი ინციდენტის დეტალებზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი საერთოდ არ ჰქონია. მისი თქმით, ეს ინფორმაცია უბრალოდ მონაწირია.



გიორგი კერესელიძემ ბრალად ედებდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცვლას, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცვლა. რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების საზოგადოების ან სახელმწიფო კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით. დაზარალებული პირადი ღირსების შეურაცხველი (საქართველოს სსკ-ის 333 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნტებით). ბრალდებულის სათანადო ქცევაზე პასუხისმგებლობა იკისრეს და პირად თავდებად დაუდგინეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალობის შტაბის უფროსი, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები.

50 წელი

- უსასხულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასხულო SMS-ები
- უსასხულო ინტერნეტი

მ>სტი უსასხულო

შეიძინეთ გადახდის აპჩატებში ან უფრით *010#OK

☎ 7036 - ჯეოსელიდან (ზახი უფასო)

☎ 110110 - ყველა ქსელიდან

www.geocell.ge

კონსტანტინე ფორჩხიძე: „ამ ძალების მიზანი, რომლებიც პატრიარქს ებრძვიან, ერთია – პატრიარქი გადააყენონ დროზე ადრე“



საპატრიარქოს მისამართით უარყოფითი ინფორმაციების გავრცელება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა. ხშირად საუბრობენ შიდა დაპირისპირებებზე, ეკლესიის პოლიტიკაში ჩარევის სურვილის გაზრდასა და პატრიარქის, მის სიცოცხლეშივე ჩანაცვლების გეგმაზეც... აღნიშნული ინფორმაცია ერთი კვირის წინ გავრცელდა და მას საპატრიარქოს ადგილობრივი რეაქცია მოჰყვა. დეზინფორმაციის ავტორი მალევე დასახელდა. ეკლესიიდან განკვეთილი მამაოს ინფორმაციით, 3 ივნისს ჩანიშნულ სინოდის სხდომაზე პატრიარქის გადაყენების საკითხი უნდა განხილულიყო... საპატრიარქო კონკრეტული პირების მსგავსი ქმედება მიზანმიმართულ ნაბიჯად შეაფასა: „ზოგიერთი პიროვნება რამდენიმე დღეა, მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით ავრცელებს ცრუ ინფორმაციას როგორც კათოლიკოს-პატრიარქთან დაკავშირებით, ისე 3 ივნისის წმინდა სინოდის სხდომის შესახებ. ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც ადრეც რამდენჯერმე განახორციელეს. განვმარტავთ, რომ ეს არის ჩვეულებრივი რიგითი სხდომა, რომელიც ყოველ წელს ორჯერ იმართება საქართველოს საპატრიარქოში“.

სინოდის სხდომაზე ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ამას საპატრიარქო აანონსებდა. რაც შეეხება დეზინფორმაციას და მათ ავტორებს, მათზე შეფასებებს ექსპერტები აკეთებენ და აცხადებენ, რომ პროცესს კონკრეტული დამგვამავი, განახორციელებელი და დამფინანსებელი ჰყავს, რომლის საბოლოო მიზანიც ქვეყანაში პოლიტიკური არეულობის შექმნაა. არეულობის მისაღწევად კი ისინი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინსტიტუტს იყენებენ, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ყველაზე მაღალი ნდობა აქვს გამოცხადებული და მის მიმართ დამოკიდებულება წლების განმავლობაში არ იცვლება...

ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძის განცხადებით, არეულობის შექმნით, პირველ რიგში, პრორუსული ძალები არიან დაინტერესებულნი, რომელთა გვარების ინსტიტუტებიდან თავს მხოლოდ ქვეყნის ინტერესებთან გამომდინარე იკავებს...

კონსტანტინე ფორჩხიძე, უშიშროების თადარიგის ოფიცერი, უსაფრთხოების ექსპერტი:

– გვარებს ნამდვილად ვერ დაგისახელებთ, თუმცა პროცესი რომ მიდის, ამის დასადასტურებელი მაგალითი ბევრია. ამ ძალების მიზანი, რომლებიც პატრიარქს ებრძვიან, ერთია – პატრიარქი გადააყენონ დროზე ადრე. ეს არის სრულიად მართალი პროცესი და ვფიქრობ, ეს პროცესი, პირველ რიგში, რუსეთიდან იმართება.

– რუსეთს ვინ ჰყავს დასაყრდენი ძალა საპატრიარქოში?

– რუსეთის საკუთარი ძალა ჰყავს როგორც დაბალი რანგის სასულიერო პირებში, ასევე მაღალ რანგის წრეებშიც. მე ვერ ვერ დავასახელებ მათ სახელებსა და გვარებს, ეს სახელმწიფო მნიშვნელობის თემაა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ამ ადამიანების გამჟღავნება სწორი არ იქნება.

– მხოლოდ სასულიერო პირები არიან?

– არიან როგორც სასულიერო პირები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მართლმადიდებლობას ეფარებიან, სინამდვილეში კი ცდილობენ, რამენაირად დაძაბონ სიტუაცია, შექმნან ისეთი ვითარება, თითქოს ეკლესიიდან არის მართული ის პროცესები, რომელიც შეიძლება ქვეყანაში განვითარდეს. ბუნებრივია, არის საფრთხე, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ნისქვილზე დაასხამს წყალს.

– ამბობთ, რომ რუსული ძალები ცდილობენ საპატრიარქოში დაპირისპირების პროვოცირებას, რატომ სურთ რუსეთში საქართველოს პატრიარქის შეცვლა? რის გამოა მათთვის ილია მეორე მიუღებელი?

– ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს პატრიარქი, მისი მოღვაწეობა მიმართულია იმისკენ, რომ ქვეყანა იყოს კარგ მდგომარეობაში და ქვეყანაში არ იყოს დაპირისპირება. კონკრეტულ ძალებს საქართველოში არეულობის დაწყება სურთ და აწყობთ კიდევ. ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი, რომლისაც საქართველოში ყველაზე მეტად სწამთ და ენდობიან, საპატრიარქო, მართლმადიდებლური ეკლესია და პატრიარქია... აქ არ არის საუბარი იმაზე, აწყობს თუ არა რუსეთს ჩვენი პატრიარქი, აქ საუბარია საპატრიარქოში შიდა ბრძოლაზე, რომელიც პატრიარქის ტახტის გამო მიდის. ყველა ეს მებრძოლი ძალა არის შავ-ბნელი, ისიც კი ითქვამს მათ მიერ, თითქოს სინოდის სხდომაზე პატრიარქის შეცვლის საკითხი უნდა განხილულიყო...

– დიან, თუმცა საპატრიარქო რეაგირება მოახდინა ამაზე და განაცხადა, რომ სინოდის სხდომაზე მსგავსი საკითხი არც კი განიხილულა და არც დაგეგმილია მისი

„ამ საუბარია საპატრიარქოში შიდა ბრძოლაზე, რომელიც პატრიარქის ტახტის გამო მიდის“



EXCLUSIVE

„რუსეთს საკუთარი ძალა ჰყავს რომორც დაბალი რანგის სასულიერო პირებში, ასევე მაღალი რანგის წრეებშიც“

– თუ გაქვთ ინფორმაცია, პატრიარქმა იცის ამ პროცესების შესახებ?

– ალბათ, მისთვისაც ცნობილია ყველაფერი. ამ ძალებს საპატრიარქოს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება სურთ. ეს ძალები ასპარეზზე ჩანან კიდევ, მათი დაკონკრეტება საჭიროც კი არ არის. პრორუსულ ძალებს ვგულისხმობ, მათ ვინც რუსეთში მოღვაწეობით დიდი ფული იშოვებს, ვინც რუსეთის ინტერესებს ატარებენ საქართველოში და ასე შემდეგ.

– ლევან ვასაძე იგულისხმება ამ ძალებში?

– პროცესში შესაძლებელია, ლევან ვასაძეც იყოს ჩართული, შესაძლებელია კიდევ სხვა ბიზნესმენებიც, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან. ესენი არიან კოტოვანის მსგავსი ადამიანები, რომლებიც დღეს ცდილობენ საქართველოში დაბრუნებას და სიტუაციის დაძაბვას. ვფიქრობ, სახელმწიფო ორგანოებმა დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება ამ პროცესებსა და ადამიანებს, საჭიროა პრევენციული ზომების გატარება.

– რა უნდა გაკეთდეს პრევენციისთვის?

– ეს ძალიან კარგად იცანთ თავად, საკმაოდ სპეციფიკური საკითხებია და იცანთ რა, როგორ და რანაირად უნდა გააკეთონ, რომ ქვეყანას ძირგამომხრელი პროცესები აარიდონ.

„პროცესში შესაძლებელია, ლევან ვასაძეც იყოს ჩართული, შესაძლებელია კიდევ სხვა ბიზნესმენებიც“

„პროცესში შესაძლებელია, ლევან ვასაძეც იყოს ჩართული, შესაძლებელია კიდევ სხვა ბიზნესმენებიც“



„ვფიქრობ, სახელმწიფო ორგანოებმა დროულად უნდა მიაქციონ ამ პროცესებსა და ადამიანებს ყურადღება, საჭიროა პრევენციული ზომების განხორციელება“





my View
სათუნა მბალაგლიშვილი

ირაკლი ალასანიას პოლიტიკატიმრები უპირისპირდებიან. ისინი თავდაცვის მინისტრს გაუღერებულ ბრალდებებზე კონკრეტული ფაქტების „დადებას“ სთხოვენ. ალასანიამ სოკოებივით მომრავლებულ პრორუსული ორიენტაციის არასამთავრობოებზე მინიმუმების კეთება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაიწყო, თუმცა მაშინ მინისტრს პოლიტიკატიმრები არ უხსენებია. დღეს ის უკვე ხმამაღლა ადანაშაულებს ნადრეად განთავისუფლებულ პოლიტიკატიმრებსაც და მათი განთავისუფლების ინიციატორებსაც, ანუ საკანონმდებლო ორგანოს.

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

– დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც პოლიტიკატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირები ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამინისტრის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯა.

ალასანიას განცხადების გამო თავის მართლება მოუწია საპარლამენტო უმრავლესობას. უფრო სწორად პარლამენტში შენიშვნა არ მიიღეს, ირაკლი სესიაშიღმა განაცხადა, რომ მათი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ „ვილაცებისთვის“ ნაჩქარევად ჩაითვალა, მაინც დროული და სამართლიანი იყო.

ირაკლი სესიაშვილი, უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე:

– ირაკლი ალასანიამ რა კომენტარი გააკეთა და რა პრეტენზიები აქვთ პოლიტიკატიმრებს, ვერ გეტყვით. უბრალოდ, კითხვა დამისვენებს და ვუბასუბე, რომ შეიძლება პოლიტიკატიმრების სიაზე მუშაობა და გადაწყვეტილების მიღება ვილაცას ნაჩქარევად მოეჩვენა. შეიძლება მეტი ანალიზის საჭიროება იყო იმ პერიოდში, მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გააზრებული გვექონდა ის, რომ ადამიანები იმ პერიოდში უსამართლოდ იხდიდნენ სასჯელს და სწორედ ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილება იყო სწორი, ადეკვატური და დროული.

– ხომ არ შეიძლება პოლიტიკატიმრების სიების გადახედვა მოხდეს?

– არავითარ შემთხვევაში. მეტიც, გეტყვით, რომ შეიძლება სიაში იმ პირების დამატება, რომლებიც იმ დროისთვის უკვე განთავისუფლებულნი იყვნენ, მაგრამ თავს პოლიტიკატიმრებად მიიჩნევენ. ასეთ ადამიანებს დღეს აქვთ მოთხოვნა, რომ თავდაცვით მოხედრილიყვნენ პოლიტიკატიმრების სიებში, მათი მოთხოვნა ვფიქრობ, სამართლიანია. როდესაც პოლიტიკატიმრების საკითხს ვიხილავდით, რთული სიტუაცია იყო. მაშინ ჩვენ შევცვალეთ ხელისუფლება და ეს იმ ფონზე, როცა ციხეში არაადამიანურ მოპყრობას



ჰქონდა ადგილი. რთულია, იჯდე პარლამენტში, ყველა საქმეს დეტალურად იხილავდე, ამ დროს პატიმრები უკანონოდ იყვნენ დაკავებული და ამ პროცესს თვალყურს ადევნებდნენ. მოგეცინა ამ პროცესის დაჩქარება. დავეყრდენით საერთაშორისო ანგარიშებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციას. შეიძლება, შეცდომა დაგვშვით, მაგრამ როდესაც მოხდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ვფიქრობთ, უფრო მეტი სიკეთე გავაკეთეთ.

ირაკლი ალასანია:
– როგორც ჩანს, ყოველთვის გვეჭირდება, ძალიან ნათელი განმარტებები გავუკეთოთ ხელახლა იმას, რაც ვთქვით. სამწუხაროდ, კარგი

ლევან ჩიჩუა: „ჩვენზე საუბრისას პირი გამოირიცხონ და დააფასონ ჩვენი სისხლი და ღვაწლი. რომელ პრორუსულ ძალებს გულიხსემოდა ალასანია, დადოს მათზე ფაქტები“

ტებები გავუკეთოთ ხელახლა იმას, რაც ვთქვით. სამწუხაროდ, კარგი

ნანა კაკაბაძე: „მინაზე მომუშავე ნებისმიერ ადამიანს რუსეთი უნდა და რა ვქნათ, ეს ადამიანები გავასახლოთ საქართველოდან? კახეთში მელვინებ, იმერეთში, მწვანელი ვისაც მოჰყავს, ყველას სურს რუსეთი...“

მსმენელი არა გვეყავს ხოლმე პოლიტიკური სპექტრის სახით და გამეორება გვიწევს. აქ არ არის საუბარი პოლიტიკატიმრებზე, ზოგადად. კონკრეტულად დასმული იყო შეკითხვა ჩემს მიმართ იმ კონკრეტულ პირებზე, ვინც ექვემდებარებოდა იყო ჯაშუშობაში, ანუ იყო კონტრდაზვერვითი საფრთხის მატარებელი და მე სწორედ ამ კატეგორიის ხალხზე მქონდა საუბარი და არავითარ შემთხვევაში ზოგადად, პოლიტიკატიმრებზე. აქედან გამომდინარე, ჩემი პასუხი ესეა: ვინც ვინც იყო ჯაშუშობაში, რა თქმა უნდა, ჩვენ მომავალშიც ძალიან მტკიცე ვიქნებით, როგორც სახელმწიფო, ყველა კონტრდაზვერვითი საფრთხის მიმართ და ძალიან სწრაფი რეაგირება გვექნება ყველა ასეთი საფრთხის წინააღმდეგ.

– თავდაცვის მინისტრი უშვებს უხეშ, სამართლებრივ და მორალურ მნიშვნელობის შეცდომას, როდესაც პოლიტიკატიმრებს მსოფლმხედველობრივი კატეგორიების მიხედვით ყოფს. ამით რომ ჰკითხო, თუ ადამიანი ნატოს მომხრე არ არის პოლიტიკატიმართა ვერ იქნება. ამ დროს პოლიტიკატიმართა ძალიან დიდი ნაწილი სწორედ ნატოს აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლების გამო იყვნენ დაპატიმრებული სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან. სააკაშვილის რეჟიმმა ამ ნაბიჯით თავის დროზე ქულები დაინერა. არანაირად არ არის თავდაცვის მინისტრის გადასაწყვეტი, პოლიტიკატიმარი ნატოს მომხრე იქნება, რუსეთის მომხრე თუ ჩინეთის მომხრე. ალასანია აშკარად ვერ ერკვევა ტერმინ „პოლიტიკატიმრის“ დეფინიციის არსში. ალასანიამ განაცხადა, რომ პარლამენტმა დაუშვა შეცდომა, როდესაც პრორუსული მიმართულების ადამიანებს მიეკუთვნა პოლიტიკატიმრის სტატუსი, მისი ახსნით, ეს ყველაფერი არის მაღალი კონტრდაზვერვის საფრთხის შემცველი. ხვალ რომ ხელისუფლება შეიცვალოს და სათავეში პრორუსული ძალა მოვიდეს, რა, ნატოს მომხრეობის გამო თუ ვინმეს დააკავებენ, ისინი პოლიტიკატიმრებად არ უნდა მივიჩნიოთ?

განმარტება ისევე პოლიტიკატიმრებისთვის აღმოჩნდა მიუღებელი. ისინი მინისტრისგანაც და პარლამენტის წევრისგანაც კონკრეტული პაქტების დასახელებასა და კონკრეტული პრორუსი პოლიტიკატიმრების მხილებას ითხოვენ. მათივე ენაზე რომ ვთქვათ, მიუღებელია ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა. მაგალითად, პოლიტიკატიმარ ლევან ჩიჩუას სულაც არ აწყობს ასევე პოლიტიკატიმარ ზაზა დავითიასთან გაიგივება. არადა დავითაია აშკარად ხდებდა ალასანიას მიერ დასახელებულ პოლიტიკატიმართა სიაში. ის ხმამაღლა ილაშქრებს ნატოს წინააღმდეგ და პრორუსული ხელისუფლების მოსვლას მოუთმენლად ელოდება...
ზაზა დავითაია, ყოფილი პოლიტიკატიმარი:

– პრორუსულ ძალას შანსი აქვს ხელისუფლებაში მოსვლის?
– რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ შეიძლება პრორუსული ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში? თქვენ ახლა მსჯელობთ ამერიკის პოზიციებიდან გამომდინარე, რუსეთის პოზიციებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა დაგუშვათ, რომ ხელისუფლების სათავეში ნატოს მომხრე ძალები იყვნენ. ადამიანების თავისუფალ არ-



ზაზა დავითაია



ლევან ჩიჩუა

ი ალასანის წინააღმდეგ



ზაზა ღვინია: „არავის დაუნდებია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში აუცილებლად ამერიკისა და ნატოს მომხრე ძალები უნდა იყვნენ“

ჩვენს უნდა ვცეთ პატივი.

– სწორედ ეს თავისუფალი არჩევანია ნატო, ევროკავშირი...

– ადამიანებმა თავისი თავისუფალი ნებით უნდა დაუჭირონ მხარი რუსეთს ან ნატოს. მთავარია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი იდგეს ცენტრში, თორემ განვითარების თვალსაზრისით რუსეთისკენ იქნება მიმართული თუ ამერიკისკენ, ამის მიხედვით ადამიანები არ უნდა დახარისხდნენ. არავის არ დაუნდებია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში აუცილებლად ამერიკისა და ნატოს მომხრე ძალები უნდა იყვნენ.

– აბა, რუსეთის მომხრე ხელისუფლება უნდა მართავდეს?

– მე პირადად საერთოდ არ ვარ ნატოზე ორიენტირებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის

მომხრე ვარ. მე ვიყავი პოლიტპატიმარი იმის გამო რომ ვაპროტესტებდი სააკაშვილის გამომწვევ და აგრესიულ პოლიტიკას რუსეთის წინააღმდეგ, რამაც, საბოლოო ჯამში, ომამდე მიგვიყვანა.

– პოლიტპატიმრები თქვენსავით აზროვნებენ?

– მე შემძლია, გითხრათ, რომ პოლიტპატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებით არის განმსჭვალული და სწორედ ამიტომაც იყვნენ ისინი სააკაშვილის წინააღმდეგ განწყობილები. ნატოს მომხრე პოლიტპატიმრები ხელის თითებზე იყვნენ ჩამოსათვლები და ამ ლოგიკით მაშინ პოლიტპატიმრების სტატუსი საერთოდ არ უნდა მინიჭებოდათ.

დავითაიას განცხადებით, ყოფი-

ლი პოლიტპატიმრების უმრავლესობა სწორედ მის მსგავსად აზროვნებს და ზოგი მოქმედებს კიდევ. მაგალითად, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული მერაბ გორგაძე ერთკვირიანი ვიზიტით რუსეთის დედაქალაქში იმყოფებოდა. მან შეხვედრები გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ სექციის წარმომადგენლებთან, რომლებიც საქართველოს საქმეებს კურირებენ. მერაბ გორგაძე ასევე შეხვდა რუსეთში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებსაც. ამბობენ, რომ პირადად ვლადიმერ ხომერვიკმა საქართველოში რუსული პროპაგანდისთვის 100 ათასი დოლარი გამოუყო. გორგაძე თავდაპირველად სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე, თუმცა ფინანსების ხსენებისთანავე მან ინტერვიუ შეწყვიტა და „პრაი-

მტიამის“ ზარებს საერთოდ აღარ უპასუხა.

გორგაძე არის პიროვნება, რომელმაც საპრობლიდანი განთავისუფლების შემდეგ „ევრაზიის ინსტიტუტთან“ დაამყარა საქმიანი ურთიერთობები და აქტიურად გამოდიოდა ნატოს წინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე.

გორგაძესა და დავითაიას „ქვაბში“ მოხარვებაზე უარს აცხადებს ლევან ჩაჩუა. ყოფილი პოლიტპატიმარი ალასანიას, სესიაშვილთან ერთად, ნაციონალების ბედის გაზიარებით ემუქრება და აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მკვეთრი ცვლილებები...

ლევან ჩაჩუა, ყოფილი პოლიტპატიმარი:

– სააკაშვილის პერიოდში მუდამ

ასე იყო, თუ ნაციონალების მხარეს არ იდგები, მაშინვე რუსეთის აგენტად გნათლავდნენ. სამწუხაროდ, თავდაცვის მინისტრიც ასე აზროვნებს. ჩვენ არ გვიკვირს, ალასანია, სესიაშვილი და კიდევ ზოგიერთი სახელისუფლებო წარმომადგენელი სწორედ ჩვენი, ჩვენი ოჯახების, ჩვენი ცოლ-შვილის დანაშაულის ხარჯზე და ჩვენი მშობლების ცრემლებზე მოვიდნენ ხელისუფლებაში. ახლა კი თავის თავს აყვედრიან ქართველ ხალხს. როდესაც დამნაშავე რეჟიმის გასამართლების პირობით მოდიხარ ხელისუფლებაში და ამის მაგივრად პოლიტპატიმრების სახელს იხსენიებ აუგად, ეს არის დანაშაული. ზუსტად იგივე ხვედრს გაიზიარებენ ალასანიაცა და სესიაშვილიც, რა ხვედრიც გაიზიარეს ნაციონალებმა. ჩვენზე საუბრისას პირი გამოირეცხონ და დააფასონ ჩვენი სისხლი და ღვანლი. რომელ პრორუსულ ძალებს გული-სხმობდა ალასანია, დადოს მაშინ ფაქტები. ჩვენ რომ გორში ვიყავით და რუსებს ვებძოდით, ალასანია და კიდევ ვილატები ერეგნისა და ბაქოს სასტუმროებში გარბოდნენ. ასე არ შეიძლება, რომ ყველა ერთ ქვაბში მოხარშო და ყველას ჩირქი მოსცხო. თუ რამე კონკრეტული ინფორმაცია აქვს, თავდაცვის მინისტრია თავად, სესიაშვილი კი – პარლამენტში უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი, კეთილინებონ, ჰაერზე ლაპარაკსა და ცილისწამებებს შეეშვან და ფაქტები დადონ.

– პოლიტპატიმრებში როგორი დამოკიდებულებაა საგარეო მიმართულებასთან დაკავშირებით?

– პოლიტპატიმრები აღმფოთებულები არიან. იმის მაგივრად, რომ ჩვენი რეაბილიტაცია მოახდინონ, საკუთარი ჯიბეების გასქელებით არიან დაკავებულები. მე არ ვიცი, სხვები როგორ ფიქრობენ, მაგრამ მე გეტყვით, რომ მკვეთრმა გადახრებმა საქართველო ტერიტორიების დაკარგვამდე მიიყვანა. ყოველ მკვეთრ ნაბიჯს სერიოზული პრობლემა მოსდევდა, არც ერთ ეტაპზე არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს გადახრა ჩრდილოეთისკენ იქნებოდა თუ დასავლეთისკენ, ყოველთვის ჯობია, ხელისუფლებამ ლავირება მოახდინოს.

თავდაცვის მინისტრისა და ირაკლი სესიაშვილის მიმართ პროტესტს ზვიად ბურაძე, ლევან ჩაჩუა, დავით ჟღენტი და ვასილ გოგოლაძეც უერთდებიან. მათ უფლებებს ისევ ნანა კაკაბაძე იცავს. გამონაკლისი არც ბოლო შემთხვევა გამსხდარა. უფლებადამცველისთვის გაუგებარი და მიუღებელია ალასანიას განცხადება, რადგან მიაჩნია, რომ უმუშევრად დარჩენილი პოლიტპატიმრების ორიენტაცია, წესით, არავის არ უნდა ანალღებდეს...

ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:

– პოლიტპატიმრებს არ აქვთ სასახური, არიან უმუშევრები, არ არიან განვრცობილი არც ერთ პარტიამში და როგორ უნდა გაარკვიოს ვინმემ, ისინი პრორუსული ორიენტაციის, პროდასავლური თუ პროთურქული პოლიტიკის მომხრეები არიან? თავისთავად რაკალი ალასანიას განცხადება რას ნიშნავს, არ ვიცი. ადამიანი, რომელიც სახლში ზის და არაფერს აკეთებს, არც საქმე აქვს, რა მნიშვნელობა აქვს, რა ორიენტაციის იქნება? მინაზე მომუშავე ნებისმიერ ადამიანს რუსეთი უნდა და რა გქნათ, ეს ადამიანები გავასახლოთ საქართველოდან? კახეთში მეღვინეებს, იმერეთში, ვისაც მწვანელი მოჰყავს, ყველას სურს რუსეთი... რომ ჩამოიაროთ სოფლები, ყველა გეტყვით, რომ უნდათ რუსეთი, რადგან ეს არის მათი შემოსავლის ერთადერთი საშუალება. აბა, სად გაყიდონ თავიანთი პროდუქტი? საფრანგეთში წაიღონ მწვანელი გასაყიდად თუ ამერიკაში?

– პოლიტპატიმრებში როგორი დამოკიდებულებაა?

– მე არ ვიცი, შიგნით რა სიტუაციაა, ამ მხრივ. პოლიტპატიმრები არანაირ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ, როგორ უნდა გავიგოთ, ისინი რა პოლიტიკური ორიენტაციის არიან?

„სვალ რომ ხელისუფლება შეიცვალოს და სათავეში პრორუსული ძალა მოვიდეს, რა, ნატოს მომხრეობის გამო თუ ვინმეს დააკავებენ, ისინი პოლიტპატიმრებად არ უნდა მივიჩნიოთ“

my View
მირიან გომიშვილი

„ნაცვებიდან“ „ქოცებში“ დაპორტირებული ირაკლი შინიაშვილი ადგილობრივ არჩევნებში მმართველი გუნდის მიღმა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაშიც“ მიხვდნენ, ვინ ტოვებს გემს პირველი ჩაძირვის პროცესში. შინიაშვილი გარიყეს, თუმცა პოსტზე ყოფნის დროს მან მაინც მოასწრო რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელმაც შესაძლოა, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს საგამომიბრო ორგანოებთან პრობლემები შეუქმნას.

ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილების გამო შინიაშვილს „თბილისის მთავარი მესაფლავეც“ კი უწოდეს. საქმე ეხება 2013 წლის 29 დეკემბერს მის მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც კერძო კომპანიას ლისის ტბის მიმდებარედ სასაფლაოების გაშენების ნებართვა მიეცა.

ემუქრება თუ არა ლისის ტბის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას მკვდარ ქალაქად გადაქცევის საფრთხე? რა პრობლემებს შეუქმნის რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული სასაფლაოები იქვე მდებარე „ბავშვთა სოფელს“, ადგილობრივ მოსახლეობას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს და სათბურებს, საიდანაც ბოსტნეულით მარაგდება თბილისის არაერთი სუპერმარკეტი და ბაზარი? როგორ აისახება გახრწნილი ცხედრებიდან გამოყოფილი ტოქსინები გოგირდის წყლებზე, რითაც საბურთალოს მოსახლეობის ნაწილი მარაგდება? ვისი ფინანსური ინტერესები დგას „მკვდარი ქალაქის“ იდეის უკან?

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 11 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი კომპანია „გრინ დეველოპმენტს“ ნების ნინათ შეიძინა. კომპანია იქ მცირე ტიპის კოტეჯების აშენებას გეგმავდა, თუმცა მას შემდეგ, რაც თბილისში სასაფლაოები საკმაოდ სარფიან ბიზნესად იქცა, კომპანიამ გეგმები შეცვალა და გასულ წელს მერიას სასაფლაოების მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართა. თანხმობის შემთხვევაში მერიას საკითხი განსახილველად საკრებულოსთვის უნდა გადაეგზავნა, თუმცა თბილისის მთავრობის არქიტექტურული სამსახურის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანებით „გრინ დეველოპმენტს“ აღნიშნულ ტერიტორიაზე სასაფლაოების მშენებლობაზე უა-

ემუქრება თუ არა ლისის ტბის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას მკვდარ ქალაქად გადაქცევის საფრთხე?



რა პრობლემებს შეუქმნის რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული სასაფლაოები იქვე მდებარე „ბავშვთა სოფელს“, ადგილობრივ მოსახლეობას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებსა და სათბურებს, საიდანაც ბოსტნეულით მარაგდება თბილისის არაერთი სუპერმარკეტი და ბაზარი?

რი ეთქვა. „განსახილველ შემთხვევაში დამკვეთის მიერ მითითებული საპროექტო ტერიტორია ყველა სასოფლო-სამეურნეო ზონაში. სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობით მითითებულ ზონაში, სასაფლაოს დაგეგმარება გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე, „ქ. თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის #11-4 გადაწყვეტილების მიხედვით, ახალი სასაფლაო უნდა განლაგდეს ქალაქის გარეუბანში, სულ ცოტა, 300 მეტრის დამორებით საცხოვრებელი შენობებიდან და დასასვენებელი ადგილებიდან, რაც მიმდებარედ არსებული განაშენიანების გათვალისწინებით ვერ განხორციელდება“, - ნათქვამია თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის ბრძანებაში.

ქალაქის მთავრობას კიდევ მიმართა, თუმცა საკითხი კვლავაც არ დაკმაყოფილდა. მესამე ჯერზე კი მერიამ საკითხი საკრებულოში გადაამისამართა. სწორედ დედაქალაქის კანონმდებლებს უნდა გადაეწყვიტათ საბოლოოდ ლისის ტბის მიმდებარედ უზარმაზარი მასივის სასაფლაოებით ათვისების საკითხი. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, „გრინ დეველოპმენტს“ მფარველები მოძებნა დედაქალაქის საკრებულოში, კერძოდ, ირაკლი შინიაშვილის სახით. მეტიც, ისინი არ გამოიციცხვენ, რომ „მკვდარი ქალაქის“ პროექტში სწორედ შინიაშვილის ფინანსური ინტერესები იკვეთება. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ეს საკითხი საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის სხდომის დღ-

ის წესრიგში შეაპარეს საკმაოდ ზოგადი ჩანაწერით, სადაც არაფერია ნათქვამი სასაფლაოების მშენებლობაზე. საკითხი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შემდეგი სახელწოდებით მოხვდა: „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „თბილისის საკრებულოს 5 ივნისის #6-15 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ინფორმაციით, თაღლითური დაჯგუფება ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობა სასაფლაოების მასივში მოაქციოს, რადგან საუბარია ათეულ მილიონობით შემოსავალზე. „მარტო 4 ჰექტარზე სასაფლაოების მოწყობა 20-25 მილიონიანი შემოსავალია. თქვენ იცით, რომ ერთი სასაფლაო მინიმუმ 2000 ლარი ჯდება. წარმოიდგინეთ, ეს რა თანხებზე უკავშირდება, როდესაც საუბარია ჰექტარებზე. აქ არის დიდი ინტერესი, მათ შორის შინიაშვილის. დღეს ნებართვა გასცეს მხოლოდ 4 ჰექტარზე, სამომავლოდ იგეგმება მთლიანად 11 ჰექტარის ათვისება და 100 მილიონის ამოღება. აქ დიდ ფულზეა საუბარი და ვისი ფინანსური ინტერესები იკვეთება, ამით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები. იმის გამო, რომ ვილაცამ მილიონები იშოვოს, საფრთხე არ უნდა შეუქმნან ხალხს. უნდა აღიქვას სისხლის სამართლის საქმე, თუკი ამ თაღლითური იდეის განხორციელებას შეძლებენ“, - ამბობს „პრაიმტიმთან“ საუბარში მიხეილ ადამაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიას, სადაც სასაფლაოების მასივის გაშენება იგეგმება, ყველა მხრიდან საფრთხის შემცველად მოიაზრებენ. ამ ტერიტორიის უკან, რამდენიმე მეტრში აგარაკები და ადგილობრივთა საცხოვრებელი სახლებია განთავსებული, მარცხნივ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და სათბურები, საიდანაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, თბილისის არაერთი სუპერმარკეტი და ბაზარი მარაგდება ხილ-ბოსტნეულით. ტერიტორიის მარჯვნივ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე „ბავშვთა სოფელი“, სადაც მზრუნველობა-ამოკლებული და მიუსაფარი ბავშვები ცხოვრობენ. „გრინ დეველოპმენტის“ ტერიტორიის ნინა მომიჯნავე მხრიდან კი პრაქტიკულად იწყება ნუცუბიძის დასახლება. აღარაფერს ვამბობ ლისის ტბაზე, სადაც სწორედ ამ ტერიტორიიდან ჩაედინება გრუნტის წყლები.

„შლატო ძლიერი ქართავი (ცნობილია, ქარი ყოველი დაბერვისას პლატოს მიდამოებში მჭვრის ქარბუქს აყენებს. ეს ქარბუქი, სასაფლაოდან ნაღებული მომზამეფელი ნივთიერებებით, არაერთ მეტრზე გაურცელდება. სხვათა შორის, სასაფლაოს მიწას იკვლევენ ხოლმე სპეციალისტები. სპეციალურ ქოთნებში ახარებენ სხვადასხვა მცენარეებს, სასაფლაოს მიწაში ჩარგულ მცენარესთან ვეგეტატიური პროცესი მდორედ და ძნელად მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც იგივე მცენარე ჩვეულებრივ მიწაში ჩვეულებრივად ხარობს. დიას, ხარობს, ეს მშვენიერი ქართული სიტყვაა - გახარობა, მოგვეცემა საშუალება, გავიხაროთ და ნუ დავგაკავშირებთ ყოველდღიურად სიკვდილთან, დამშლულ პროცესებთან და ტოქსინებთან, რომელიც სასაფლაოზე გვხვდება! ვინ დაზარალებდა ამ პროცესით? არაპარტო ჩვენ, ადგილობრივები. მთლიანად საბურთალოს მოსახლეობას ემუქრება პანდემიის საფრთხე, რადგან იქ ამოდის გოგირდის წყლები, რომლითაც საბურთალოს მოსახლეობა მარაგდება.

ვისი ფინანსური ინტერესები დგას „მკვდარი ქალაქის“ იდეის უკან?



გიორგი გომიშვილი

„ბავშვთა სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ამგვარი სასაფლაოს მოწყობა კატეგორიულად მიუღებელია. ეს იქნება აისახება ამ ბავშვების ფსიქიკაზე“



თავ კომპანია „გრინ დეველოპმენტს“ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის 4 ჰექტარზე სასაფლაოების მშენებლობის უფლება მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია იქ სულ 11 ჰექტარს ფლობს და ნაკლებსავარაუდოა, რომ დანარჩენ 7 ჰექტარზე გასართობი პარკის, ან საცხოვრებელი სახლების მოწყობას გეგმავდეს. სასაფლაოების გაგრძელებაზე ეს ფიზიკურად შეუძლებელი იქნება. ანუ იგეგმება მთლიანად 11 ჰექტარის ცხედრებით ათვისება.

შინიაშვილის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, ადგილობრივმა მოსახლეობამ უკვე მიმართა სასამართლოს. ისინი არ გამოიციცხვენ, რომ საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც გამოიკვეთოს.

მიხეილ ადამაშვილი „გრინ დეველოპმენტის“ კუთვნილი ტერიტორიის მახლობლად მინის ნაკვეთს ფლობს. მისი

ბავშვთა სოფელი

EXCLUSIVE



დავით ჭანტურია

იქვეა საბურთები და მინის ნაკვეთებიც, სადაც ბოსტნეული მოჰყავთ. აქედან სანიაღვრე წყლებით ივსება ლისის ტბა, წარმოიღვინეთ მინისქვეშა გრუნტის წყლები, რომელსაც ჩარეცხილი აქვს საფლავეები, მოხვდეს ტბაში, სადაც ხა-

ისინი თავისი ცხოვრებით ისედაც ტრავმირებული არიან. ეს უარყოფითად იმოქმედებს მათ სოციალურ განვითარებაზე. ეს ტერიტორია პირდაპირ ემიჯნება ბავშვთა სოფელს, სადაც ამჟამად 62 ბავშვი იზრდება 7-დან 17 წლის ჩათვლით.

პაპუნა ძიძიგური, ურბანისტი:
„თვითონ სასაფლაოების მოწყობა ძალიან რთულად გადასაწყვეტი საკითხია. არსებული კანონმდებლობით, სასაფლაოს გაშენება სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან და დასახლებული პუნქტიდან 300 მეტრის რადიუსში კატეგორიულად იკრძალება. ეს გადაწყვეტილება ამ სტანდარტის დარღვევით არის მიღებული. ამ სასაფლაოებმა მოიცვა სააგარაკე ტერიტორიები, დასასვენებელი ზონა და ა.შ. იქ მცხოვრები ხალხი ამ სასაფლაოს გამო ხვდება შეზღუდულ ტერიტორიაში, რაც პრაქტიკულად მოსახლეობას არ აძლევს ურბანული განვითარების საშუალებას. კანონში ასევე წერია ტერმინი „იძულებითი შეუსაბამობა“. კუკიისა და სხვა მსგავსი სასაფლაოების შემთხვევაში სწორედ ეს ნორმა ვრცელდება, რადგან იქ ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა – სასაფლაო და საცხოვრებელი დასახლება ერთიანად აშენდა, კანონის შექმნამდე. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ჩამოყალიბებული მდგომარეობა და იძულებით გადაწყვეტთ ეს ხალხი შეზღუდულ მდგომარეობაში. ზოგადად, შემძლია გითხრათ, რომ ქალაქს არსებულ სასაფლაოებზე აქვს რესურსები. უახლოეს წლებში ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ავიღოთ თუნდაც მუხათგვერდი, სადაც უზარმაზარი სივრცეებია ასათვისებელი სასაფლაოების კუთხით, ასევე, აეროპორტის გზისკენ. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას არსებობს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხდება ანალიზი და ამის შემდეგ კეთდება დასკვნა. ამ საკითხს არ აქვს დადებითი მხარე, გარდა მესაკუთრის ფინანსური ინტერესისა.“ – ამბობს „პრაიმტიმთან“ საუბრისას ურბანისტი პაპუნა ძიძიგური.

პროტესტის მოუხედავად, „გრინ დეველოპმენტს“ უკან დახევას არ აპირებს. კომპანიის დირექტორი ზაზა რეხვიაშვილი ჩვენთან საუბრისას უარყოფს



ზაზა რეხვიაშვილი

„ამ არის დიდი ინტერესი, მათ შორის უჩიავილის. დღეს ნებართვა გასცეს მხოლოდ 4 ჰექტარზე, სამომავლოდ იგეგმება მთლიანად 11 ჰექტარის ათვისება და 100 მილიონის ამოღება“

ინფორმაციას ირაკლი შიხიაშვილთან კავშირის შესახებ. მისი თქმით, სასაფლაოების მშენებლობაზე ნებართვის გაცემა სრულიად კანონიერად მოხდა და მშენებლობაც, გეგმის მიხედვით განხორციელდება.

ზაზა რეხვიაშვილი, „გრინ დეველოპმენტის“ დირექტორი:

- არანაირი კანონმდებლობა არ ირღვევა, არის ოფიციალური ნებართვები თბილისის საკრებულოსი, დედაქალაქის მთავრობის. რამდენიმე თვე იხილავდნენ ამ პროექტს და, საბოლოოდ, დაამტკიცეს მასქიმალური მოთხოვნებით, რაც კი შეიძლება ყოფილიყო. ის, ვინც გეუბნებათ, რომ კანონი ირღვევა, რბილად რომ ვთქვათ – გატყუებთ.
- ქალაქის მთავრობა ახსენეთ, თუმცა იგივე მერიამ თავიდანვე უარი გითხრა ამ პროექტის განხორციელებაზე...
- მაგას უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან არსებობს რაღაც ეტაპები. შეიძლება უარი იყო, ან არ იყო, მაგრამ საბოლოო შედეგი ის არის, რომ პროექტი დაამტკიცეს.
- ანუ, როგორც ვხვდები, არ აპირებთ სასაფლაოების გაშენებაზე უარის თქმას?
- ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში. სანამ კანონი გვაძლევს უფლებას, ჩვენ ვისარგებლებთ ამ უფლებით.
- ამბობენ, რომ თქვენს კომპანიაში ირაკლი შიხიაშვილის ინტერესებია...
- მაგაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეს არის ცილისწამება ამ ადამიანის მიმართ. მაგ ლოგიკით, ნებისმიერ მშენებლობას ვილაპლომირებს, ხომ?
- ნებისმიერს შეიძლება არა, მაგრამ ხშირად საუბრობენ ამა თუ იმ კომპანიასთან გავლენიანი პირების კავშირებზე...
- თქვენ თუ ჭორებზე მეკითხებით, ეგ სხვა თემაა...
- არა მარტო ჭორები, ბევრი საქმე გამოკვეთილა იგივე სასაპარტოლოებში და პროკურატურაშიც...
- მე მაგაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.



ჭანტურიის ვალაქი

„მკვდარი ქალაქის“ იღვის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული ირაკლი უჩიავილი, რომელმაც 29 დეკემბერს ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რითაც კომპანია „გრინ დეველოპმენტს“ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის 4 ჰექტარზე სასაფლაოების მშენებლობის უფლება მიანიჭა...



სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და სათბურები

როგორ აისახება გახრწნილი ცხედრებიდან გამოყოფილი ტოქსინები გოგირდის წყლებზე, რითაც საბურთალოს მოსახლეობის ნაწილი მარაგდება?

ლბი ბანაობს. სასაფლაოებზე მინა გავრეებულია ტეტანუსის ჩხირებით, რაც იქ მყოფთათვის ჯანმრთელობის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ასე რომ, პრობლემა სერიოზულია. ამიტომაც ჩვენ მოვითხოვთ, საკრებულოს თავმჯდომარის ამ ყოველად დაუშვებელი და უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას“, – ამბობს „პრაიმტიმთან“ საუბრისას ადგილობრივი დავით ჭანტურია.

პარიანში მომხდარ ტრაგედიაში

სალომე გოგონია

11 მაისს, გორის რაიონ სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს სკოლის მოსწავლეების რამდენიმე ჯგუფი სტუმრობდა. მათ შორის, თბილისის 72-ე საჯარო სკოლის პირველკლასელები. ბავშვებს თან მშობლებიც ახლდნენ. არაფრით გამორჩეული რიგითი ექსკურსია ჩვეულებრივად დასრულდებოდა, რომ არა მუზეუმში მომხდარი უბედური შემთხვევა.

ღირსშესანიშნაობების თვალყურების პარალელურად, რამდენიმე მშობელმა მუზეუმის მეორე სართულზე სამახსოვრო ფოტოს გადაღება გადაწყვიტა. მშობელი მოაჯირთან დადგა, ერთ-ერთმა კი ფოტო გადაუღო. სწორედ ამ დროს აივანის მოაჯირი ჩამოიხვრა. რის შედეგადაც, დაახლოებით სამი მეტრის სიმალიდან სამი მანდილოსანი გადმოვარდა. ერთი მოკირწყლულ ეზოში ზურგიტ დაეარდა, ზედ მეორე მშობელი დაეცა, ხოლო მესამე წყალში თავით ჩაეარდა. საბედნიეროდ, აივანზე დარჩენილებმა თავი შეიმაგრეს და გადაარჩნენ.

ორი დამავებული სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მესამეს კი ადგილზე აღმოუჩინეს დახმარება.

მათგან ყველაზე მეტად 38 წლის თეა ბოლქვაძე დაზიანდა. სხეულის უმძიმესი დაზიანებით ჯერ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს, სადაც სამი დღე დაჰყო, შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს.

თეა დღემდე საავადმყოფოში რჩება და მკურნალობას აგრძელებს. აივანიდან გადმოვარდნის შედეგად მას პოლიტრავმა, ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის დაუფეილობა, ტრავმული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, ხერხემლის დაზარალებული ტრავმა, მეთორმეტე მალის მოტეხილობა მიიღო. დაუზიანდა ზურგის ტვინი, ქვედა პარალებრა, რამაც ქვედა კიდურების ფუნქციების მოშლა გამოიწვია.

წელს ქვემოთ მოწყვეტილ პაციენტს ექიმები მცირე იმედს აძლევენ, რომ რეაბილიტაციის კურსის შემდეგ საირუს კვლავ შეძლებს. საბედნიეროდ, ზურგის ტვინი განუვითარდა არ არის, რაც პაციენტს განსწავლვის იმედს აძლევს.

უბედურ შემთხვევამდე თეა ბოლქვაძე გარდაზნის რაიონის სასწრაფო დახმარების ბრიგადაში ექიმად მუშაობდა. ექსკურსიის მეორე დღეს სამსახურში უნდა გასულიყო. თუმცა, უბედური შემთხვევის შედეგად საყვარელ საქმეს ვეღარ მიუბრუნდა.

აივანის მოაჯირის ჩამოხრებულ ვასთან დაკავშირებით თავიდანვე ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები გავრცელდა. მომხდართან დაკავშირებით სოფლის რწმუნებულმა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, თითქოს მშობლები აივანზე შემოსდნენ, მოაჯირმა სიძიმეს ვერ გაუძლო და მოხვდა. ანალოგიური განცხადება გააკეთა სახლ-მუზეუმის ყოფილმა დირექტორმაც. საგულისხმოა, რომ არც ერთი მათგანი ფაქტის თვითმხილველი არ არის.

თუმცა, ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ დაზარალებულები და თვითმხილველები. მეტიც, „პრაიმტიმის“ ფოტო მასალა მოახლოდეს, სადაც კარგად ჩანს, რომ მანდილოსნები არათუ არ შემომხდარან მოაჯირზე, არამედ არც კი მიყრდნობიან.



„ერთი მიყუდებით მოაჯირი არ უნდა გადამსკდარიყო. მოაჯირი ერთი ლურსმნით იყო დაჭედებული. შეიძლება მოაჯირი ნებოთი გაამაგრო? აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ დიდებზე პასუხისმგებლები არ ვართო. მე ვფიქრობ, რომ მუზეუმში მიმსვლელი 7 წლის იქნება თუ 77 წლის, დაცული უნდა იყოს“

ვახტანგ ბერკაძემ გორის ამ განცხადებამ ბოლქვაძის ოჯახი გაანაწყენა. მათ მთავარი პროკურორის სახელზე საჩივარიც შეიტანეს. მათი განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს კონკრეტული თანამდებობის პირები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. დაზარალებულის ოჯახი არ გამოირიცხავს, რომ ამ გზით ისინი გამოიძიებზე ზეწოლის მოხდენასა და მათი ან სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციისგან პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობენ.

ჩვენ ვარიანის გამგებელთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. „პრაიმტიმი“ წმინდა მიქაელის სახელობის საავადმყოფოში იმყოფებოდა და დაზარალებული თეა ბოლქვაძე მონიხაზულა. პაციენტი თვეზე მეტია, რაც მკურნალობის კურსს გადის.

ჩვენთან საუბარში თეამ 11 მაისის ექსკურსია და ის უბედურება გაიხსენა, რამაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

„ჩემი ძვილი პირველ კლასში სწავლობს. მასწავლებელმა ბავშვები ექსკურსიაზე წაიყვანა, მშობლებიც თან ვახლდით. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა, ამიტომ ჩემს მეუღლეს ჩვენთან ერთად წამოსვლა ვთხოვე. ვარიანში, გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში მივედი. იმ დღეს მუზეუმში ოთხი ჯგუფი იყო, ჩვენს წინ ერთი ჯგუფი, შემდეგ ჩვენ და ჩვენს შემდეგ კიდევ ორი ელოდა თავის რიგს. მეორე სართულზე ავედით. საკმაოდ ვინრო ითახებია, ამიტომ, ყველა ვერ დავეჭვიეთ. ბავშვებისთვის ხელი, რომ არ შეგვეშალა, მშობ-

ლების ნაწილი გარეთ გამოვედით. აივანზე ვიყავით. შემდეგ ბავშვები დაეწყვილეთ და პირველ სართულზე ჩავიდნენ. მათ შორის პედაგოგიც იყო, ასევე, მშობლების ნაწილიც გაჰყვით. მშობლებმა თქვეს, სანამ ბავშვები ჩავლენ და პირველ სართულს დაათვალიერებენ, სამახსოვრო ფოტოები გადავიღოთ. რამდენიმე მშობელი მოაჯირთან ახლოს დავედეთ. მე საერთოდ არ მივკარებოვარ მოაჯირს, გარკვეული დისტანციით ვიდექი. არაფერი ჩამომხსდარა, როგორც ეს მაშინ ითქვა. ჩამოვარდნის პროცესი აღარ მახსოვს. საკმაოდ მასიური აღზავობის ვარ, ინერციით წავსულვარ. ეზო მოკირწყლულია და ზურგიტ დავეცი. ზედ ერთი მშობელი დამეცა. შემდეგ მოსიგანა წამომხტარა და გაქცეულა. მე არც ის მახსოვს გორის სამხედრო ჰოსპიტალში როგორ გადამიყვანეს. გონს აქ, წმინდა მიქაელის სახელობის საავადმყოფოში მოვედი. როგორც მითხრეს, სამი დღე კრიტიკული იყო. ჩემს სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ტვინის შემუშება მქონდა. ლევის წყალობით გადავირჩი“, - ამბობს პაციენტი.

მისივე თქმით, აივანზე არ ყოფილა რაიმე სახის გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ აივანის მოაჯირს არ მიკარებოდნენ.

„მუზეუმში არანაირი უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის. ეზოში წყლის არხია, ზედ პატარა ხიდია, ჯგუფებიც კი არ არის. ამ მუზეუმში მცირეწლოვნები მიჰყავთ, ხომ შეიძლება მოულოდნელად ბავშვი ჩავარდეს? თუნდაც, იმ მოაჯირს ბავშვი, რომ მიყუდებოდა და გადავარდნილიყო? არ უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები დაცული? ჩვენი ჩამოვარდნის შემდეგ, გამგებელს, მუზეუმის ყოფილ დირექტორს უთქვამთ, რომ ჩვენ უფროსებზე პასუხისმგებლები არ ვართო. ფაქტია, რომ აივანი საფუძვლიანად გამაგრებული არ იყო, თორემ არ გადავარდებოდა. როდესაც მუზეუმში ამდენ ჯგუფებს იღებს, იქ, ცხადია, უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს. ჩვენზე თქვეს, რომ მშობლები აივანზე შემოსდნენ და მოაჯირიც იმითომ მიხსნდნენ. ჩვენ არ ჩამოვმსხდარვართ მოაჯირზე. არც კი მივკარებოვარ. დაეუშვათ, ასეც ყოფილიყო, ნუთუ აივანი ისეთი მყარი არ უნდა იყოს, რომ ვერ გაუძლოს და ჩამოვარდეს? ერთი მიყუდებით მოაჯირი არ უნდა გადამსკდარიყო. მოაჯირი ერთი ლურსმნით იყო დაჭედებული. შეიძლება მოაჯირი ნებოთი გაამაგრო? აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ დიდებზე პასუხისმგებლები არ ვართო. მე ვფიქრობ, რომ მუზეუმში მიმსვლელი 7 წლის იქნება თუ 77 წლის, დაცული უნდა იყოს. როდესაც ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთეს, გვიცნობდნენ? იმისთვის, რომ შენი სახელი გაისუფთაო, სხვას ჩირქი არ უნდა მოსცხო. მე ჯანმრთელობა დამიზიანდა, წელს ქვემოთ ვერ ვმობრუნდები, ღმერთმა იცის წინ კიდევ რა მივალდება. დაგვიკრებ

ვინ აბეზს პასუხს არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაოზე, რის შედეგადაც ახალგაზრდა ქალი

დაინვალიდა

„სატენდერო დოკუმენტაციაში ვპითხულოთ, რომ გამარჯვებულ კომპანიას მუშაუბის ღირებულების რეკონსტრუქცია, დაზიანებული კრამიტის დამონტაჟი და მონტაჟი უნდა განეხორციელებინა. ასევე, მეორე სართულის მოაჯირების აღდგენა და ფიგურების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოხვენა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ დაევალა“

პროექტისა. ჩემი ოჯახი ჩემი ხელფასით ცხოვრობდა. შვირყვანა ჩემი სახელი. ფიზიკურ ტვივითან ერთად მორალური ტვივითაც მომაცინეს. მთელი რაიონი კითხულობს ჩემს ამბავს და რატომ უნდა ეგონოს ხალხს, რომ ცანცარა, უპასუხისმგებლო მშობლები ვართ? როცა ასე არ არის. იმის ნაცვლად, რომ მომხდართან დაკავშირებით თანამდებობის პირმა თანაგრძნობა გამოხატოს, ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს“. - ამბობს თეა ბოლქვაძე.


პაციენტს თავზე და ხერხემალზე ოპერაცია გაუკეთეს. „მეთორმეტე მალა და ოთხი ნეკნი გატეხილი მაქვს. მეთორმეტე მალაზე ფიქსირებული ოპერაცია გამიკეთეს. მალა გამოცვალეს და ხელოვნური ჩამიდგეს. ზურგის ტვინი დაუფეილო მაქვს. ქვედა კიდურები პარალიზებული, ვერ ვმობრუნდები. ექიმები ელოდებიან ზურგის ტვინმა იმპულსები ადვილად გაატაროს, რომ ჩემი რეაბილიტაცია დაიწყო. საშუალოდ ერთ წელს ფიქრობენ, რომ შემდეგ გავლას შევძლებ. ღმერთი აღამიანს იმ გასაქირს უფლებს, რისი ატანაც შეუძლია, მე ამას ავიტან. აუცილებლად გავივლი, რადგან ჩემი ლუკა ჩემი გასაზრდელია. ის შვიდი წლისაა“, - ამბობს თეა ბოლქვაძე.

როგორც პაციენტის მეუღლემ გვითხრა, უბედური შემთხვევის შემდეგ თეას ჯანმრთელობის მდგომარეობით მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო დაინტერესდა. „საავადმყოფოში რამდენჯერმე ბრძანდებოდა კულტურის მინისტრის მოადგილე ბატონი ბადრი ბაგრატიონ-გურუნიანი. ჩვენ მიმართ ყურადღება გამოიჩინა. გვითხრა, თუ საყოველთაო დაზღვევის თანხები არ გვეყოფა, დაგვეხმარება“. - გვითხრა თეა ბოლქვაძე.

რაც შეეხება ვარიანის გამგებობას და მუზეუმის დირექტორს, ოჯახი ამბობს, რომ მათ ავადმყოფი არ უნახავთ.

„პრაიმტიმი“ ესაუბრა იმ მშობელსაც, რომელმაც მოაჯირის ჩამოვარდნამდე ბოლო კადრი ფოტოაპარატით დააფიქსირა. ჩვენთან საუბარში ალექსანდრა კვაპაშვილი მომხდარს იხსენებს:

„ეს არის ბოლო კადრი. სურათი როგორც კი გადავიღე, თავი დაეხარე და ფოტოაპარ-



ატი გვერდზე მოაჯირზე დავედი. გოგონათან მისვლა დავაპირე. ფოტო მათთან ერთად უნდა გადამეღო და აპარატი ავტომატურ რეჟიმში გადავიყვანე. ეს ხდება ნამებში. უცებ, საზარელი ხმა გავიგონე, თავიდან ვიფიქრე, რომ აივანი მთლიანად მოხვდა. თავი რომ ავნიე, დავინახე თეა პავრონი იყო და ძირს ვარდებოდა. მოაჯირისკენ გავიქეცი და აივანიდან გადავიხედე. თეა და მეორე მშობელი ეკა ძირს ეგდო. ეკა მოკისგან მამიწვე წამოვარდა და გაიქცა. აივანზე არც ერთი მათგანი არ შემომხსდარა. არც კი მიყუდებიან. ასეთ შემთხვევაში ყველა გადაცვივდებოდა“. - ამბობს თვითმხილველი.

დამავებული მუშელე გია არიშიძე ვარაუდობს, რომ მუზეუმის რემონტის დროს აივანის მოაჯირი არ შეუკეთებიათ. სხვა შემთხვევაში ეს უბედურება არ მოხდებოდა.

„ისი ძველი მოაჯირია, რომელიც 40 წლის წინ გაკეთდა. საფარადღედ, მერე არც შეკეთებულა. მუზეუმის დირექტორმა მითხრა, რომ რესტავრაცია უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტი არ არის. წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე მუზეუმი ღია არ უნდა ყოფილიყო. ჩემი მეუღლის ჩამოვარდნის მიმენტს არ შევსწრებოვარ. ხმაურზე მივედი და დავინახე ძირს ეგდო გათიშული, სისხ-

დანაშაულის ნიშნები იკვთება

„ეს არის ბოლო კადრი. სურათი როგორც კი გადავიღე, თავი დავხარე და ფოტოაპარატი გვერდზე მოაჯირზე დავდე. გოგოებთან მისვლა დავაპირე, ფოტო მათთან ერთად უნდა გადამეღო და აპარატი ავტომატურ რეჟიმში გადავიყვანე. ეს ხდება წამებში. უცებ, საზარელი ხმა გავიგონე, თავიდან ვიფიქრე, რომ აივანი მთლიანად მოწყდა“



EXCLUSIVE

ლი მოსდიოდა, მკვდარი მეგონა“, - ამბობს არიშიძე.

„პრაიმტიმში“ დაინტერესდა გოგებ-შვილების სახელობის სახლ-მუზეუმში ვინ ჩაატარა სარემონტო სამუშაო, შეცვალეს თუ არა მოაჯირი და რამდენად ხარისხიანად შესრულდა სამუშაო.

ჩვენ მოვიპოვეთ სატენდერო დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ გასული წლის ნოემბერში მუზეუმის დირექციამ მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოების შესასრულებლად ტენდერი გამოაცხადა. სანყისი თანხა 41 წმმ ლარს შეადგენდა.

ტენდერში საქურორტის გორის სამშენებლო სამმართველომ გაიმარჯვა. ჯამში კომპანიამ 35 ათას ლარამდე ღირებულების სამუშაო ჩაატარა.

სატენდერო დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ გამარჯვებულ კომპანიას მუზეუმის დარბაზების რეკონსტრუქცია, დაზიანებული კრამიტის დემონტაჟი და მონტაჟი უნდა განეხორციელებინა. ასევე, მეორე სართულის მოაჯირების აღდგენა და ფიგურების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოხვევა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ დავალა.

„პრაიმტიმთან“ საუბარში მუზეუმის და სამშენებლო კომპანიის დირექტორები აცხადებენ, რომ ტენდერში მითითებული სამუშაოები შესრულებულია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ კომპანიამ მეორე სართულის მოაჯირებს რესტავრაცია ჩაუტარა, მაშინ რამ გამოინვი ალბინური უბედური შემთხვევა?

როგორც მუზეუმის დირექტორმა ნათელა ადუაშვილმა გვითხრა, მიმდინარე წლის 15 აპრილს მას მუზეუმში ჩაბარდა, მანამდე სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარებული სამუშაოების ექსპერტიზა განხორციელდა.

„არსად არანაირი დარღვევა არ მაქვს. ჩემთვის მთავარია შესრულებული სამუშაო მივიღო. ტენდერი გამოაცხადეთ, კომპანიამ გაიმარჯვა, ხოლო თანხები კულტურის სამინისტრომ გადმოგვირიცხა. ერთგან პარკეტი ამოიბერა და შევასწორეთ. არანაირი წუნი არ იყო.“

„ზაქტია, რომ აივანი საფუძვლიანად გაამაგრებული არ იყო, თორემ არ გადავარდებოდა. როდესაც მუზეუმი ამაღნ ჯგუფებს იღებს, იქ, ცხადია, უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს. ჩვენზე თქვენს, რომ მშობლები აივანზე შემოსდნენ და მოაჯირიც იმიტომ მოწყდაო. ჩვენ არ ჩამოვმსდარვართი მოაჯირზე. არც კი მივპარაბივარ“

უბედური შემთხვევა მოხდა. ამის გამო დაზარალდა ქალბატონი და მუზეუმიც. საექსპერტისო სეზონი ჩავარდა და მთელი წლის განმავლობაში არანაირი შემოსავალი არ გვექნება. ერთი წელია, რაც დირექტორი ვარ. მსგავსი ინციდენტი არ მომხდარა. თუმცა, უბედური შემთხვევისგან ხომ არ ვართ დაზარალებული? კიბიდან, რომ დაგორებულყო დამნაშავე ვინ იქნებოდა? იმ მოაჯირის, რომ მიანენენ ხისაა და უკვე ძველია. ვერ გაუძლო. გამოიძვრა მიმდინარეობს და სიმათლეს დაადგენს იყო თუ არა მოაჯირი ერთი ლურსმნით დაჭედდლი. ამ შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე ჩემი შვილი, 21 წლისაა, ზუსტად იმ მოაჯირზე იჯდა. ხან ჩემი შვილი შეხტებოდა, ხან მისი მეგობარი. მანდედან კარგი ხედა და სურათებს იღებდნენ. საშიშროება რომ შენახა, როგორ ფიქრობთ, ჩემს შვილს გაგვირავდის? მე პირადად საშიშროებას ვხედავდი კიბის ამოსასვლელთან, რომელიც ძალიან დამრეცია. ბავშვებს ხანდახან ფეხი უსხლტებოდათ“. - გვითხრა მუზეუმის დირექტორმა ნათელა ადუაშვილმა.

თხოვნაზე, ჩვენთვის გაცენო სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა, უარი მივიღეთ.

„პრაიმტიმში“ ასევე დაუკავშირდა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას. როგორც საქურორტის გორის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა იოსებ ახობაძემ გვითხრა, მათმა კომპანიამ ტენდერის ყველა მოთხოვნა შესრულა.

„კომპანიამ სამუშაო დაასრულა. აივანზე ხელი არ გვიხლია, როგორც იყო ისე დარჩა. „მალიარკა“ შესრულდა. „გაიმკურნა“ და გაილაქა. მეტი არაფერი. მეგობრით გაიგოთ რა ენერა სატენდერო პირობებში. ყველაფერი შესრულებულია“. - გვითხრა ახობაძემ.

სატენდერო დოკუმენტაციაში კი შავი თეთრზე წერია, რომ გამარჯვებულ კომპანიას მეორე სართულის მოაჯირების აღდგენა და ფიგურების აღდგენა-რეაბილიტაცია ევალებოდა.

მოუხედავად იმისა, რომ დამკვეთიც და შემსრულებელიც ერთნმად ამტკიცებენ, რომ სარემონტო სამუშაო პირნათლად შესრულდა და წუნი არ არსებობს, განსხვავებული პასუხი მოვისმინეთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან.

„პრაიმტიმთან“ საუბარში ამავე უწყების მუზეუმებისა და ნებართვების სამმართველოს ხელმძღვანელმა მარიამ ბურჭულაძემ განაცხადა, ტენდერი მუზეუმმა გამოაცხადა, ხოლო სამინისტრომ თანხა გადაურიცხა.

„35 ათას ლარამდე გადაურიცხეთ. მათ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმეს. ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არ ვართ. ხარჯთაღირცხვა გადასამონმებლად წაღებული იყო სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში. ვიცი, რომ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებს ეს კომპანია ხელმეორედ აკეთებს. ამ ეტაპისთვის მუზეუმს მათთვის ფული არ გადაურიცხავს. როცა გამოასწორებენ, მაშინ გადაურიცხავენ. მუზეუმის დირექტორს ვერ არაფერზე არ აქვს ხელი მონეროლი, რაც სამუშაოს მიღებას ეხება“. - აღნიშნა ბოჭორიძემ.

მისივე თქმით, სამინისტრო მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულ თუ ბოლქვაძეს დახმარება აღმოუჩინოს.

„ბატონი ბადრი ბაგრატიონ-გრუზ-“



„მე ჯანმრთელობა დამიზიანდა, წელს ქვემოთ ვერ ვმოძრაობ, ღმერთმა იცის წინ კიდევ რა მელოდება. დავკარგე პროფესია. ჩემი ოჯახი ჩემი ხელფასით ცხოვრობდა. შეირყვნა ჩემი სახელი. ფიზიკურ ტკივილთან ერთად მორალური ტკივილიც მომაყენეს“

ინსკირამდენჯერმე იყო საავადმყოფოში და ეს ქალბატონი მოინახულა. საავარუდოდ, მას ოპერაცია დასჭირდება. ოჯახს ჩვენი პოზიცია აინტერესებდა. ბატონმა გურამმა პირველ დღესვე დააფიქსირა, რომ თუ საჭირო გახდება ფინანსური დახმარება, ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებდით. თუ საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში ვერ ჩაეტოდა, სამინისტრო უშუამდგომლებდა ჯანდაცვის სამინისტროსთან

თანხის გამოყოფის თაობაზე. ეს ეხება რეაბილიტაციას, საავარუდოდ, გერმანიაში წაყვანა გახდება საჭირო. ამ ხარჯებზე თუ დაეუდგებოდით გვერდით“. - დასძინა ბოჭორიძემ.

ჩვენ დაგუკავშირდით სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, თუმცა, პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ ექსპერტიზის დასკვნის გასაჯაროების უფლება არ აქვთ.

გამოიძება 124-ე მუხლით - ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით აღიძრა. გამოიძების დასრულების შემდგომ, გამოორიცხული არ არის კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

II მეთრე სართულის რეაბილიტაცია			
	შენიშნის მუ-2 სართულზე ახასვლედი კიბის ხის მოაჯირებისა და ფიგურების აღდგენა, რეაბილიტაცია, მოხვევა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ	მმ	48,3
1	ხის კარების მოხვევა, აღდგენა და მოლაქვა 2-ჯერ,	მმ	12
2	ხის იატაკების ნაწილობრივ აღდგენა, მოხვევა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ	მმ	48
3	კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალ-ფულისური სიდებავით	მმ	43
4	ჭერის დამუშავება, მოხვევა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ	მმ	48
5	არსებული დაზიანებული კრამიტის სახურავის დემონტაჟი დასაწოებით	მმ	150
6	სახურავზე არსებული დაზიანებული ხის მასალის დემონტაჟი და მონტაჟი	მმ	1,1
7	კრამიტის სახურავის მოწოვა (30% ახლის შესყიდვით)	მმ	150
8	მეთრე სართულის მოაჯირების აღდგენა და ფიგურების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოხვევა და შეღებვა ლაქით 2-ჯერ	მმ	65
9			

„ერთი მიყუდებით მოაჯირი არ უნდა გადამსკდარიყო. მოაჯირი ერთი ლურსმნით იყო დაჭედებული. შეიძლება მოაჯირი წებოთი გაამაგრო? აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ დიდებზე პასუხისმგებლები არ ვართო. მე ვფიქრობ, რომ მუზეუმში მიმსვლელი 7 წლის იქნება თუ 77 წლის, დაცული უნდა იყოს“

ეს არჩევნები 2016 წლამდე პოლიტიკურ ამინდს განსაზღვრავს

ქეთი ხატიაშვილი

არჩევნების შემდეგ საინტერესო პოლიტიკური ცვლილებები ანონსდება. ცვლილებებს ელოდებიან როგორც ვერტიკალში, ისე ოპოზიციამდე.

თავის დროზე, როცა ნაციონალების წინააღმდეგ ოპოზიცია ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, „გაერო-თიანებული ოპოზიციის“ ლიდერები დამაჯერებელი ტონით აცხადებდნენ, რომ საქართველოს სხნა მხოლოდ კოალიციურ მთავრობაშია და რომ არ შეიძლება, ქვეყანა მართოს მხოლოდ ერთმა გუნდმა. „ნაციონალური მოძრაობა“ და სააკაშვილის ერთიანი გუნდი მართლაც შეცვალა კოალიციამ, „ქართული ოცნების“ სახით. ძირითადი პარტიის გარდა, აქ 5 პარტიაა გაერთიანებული.

არ არის გამორიცხული, ირაკლი ლარიბაშვილმა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უკვე საკუთარი გუნდის ფორმირებაზე დაიწყო მუშაობა, რაც კოალიციის დამლას სულაც არ გულისხმობს. უფრო პირიქით, არჩევანის წინაშე, ალბათ, სხვა სუბიექტებს დააყენებს. თითოეულს მოუწევს, აირჩიოს – გუნდური თამაში თუ კოალიციის დაშლა? თავად ლარიბაშვილმა განმარტა, რომ 2016 წლის არჩევნებში კოალიცია ერთად მიიღებს მონაწილეობას. რესპუბლიკელები კოალიციას არ დატოვებენ, ეს ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ამის შესახებ აქტიურად საუბრობდნენ პრორუსული ძალებიც და პროდასავლურებიც, რომლებსაც მაინც ჰქონდათ იმედი, რომ რესპუბლიკელები „გონს მოეგებოდნენ“ და ანტიდასავლურ ძალას, ანუ „ქართულ ოცნებას“ ჩამოშორდებოდნენ.



რა შეიცვლება არჩევნების შემდეგ, ვინ მოიპოვებს პირველობას ოპოზიციაში და რა გეგმები აქვთ ახალგაზრდა ნაციონალებს

ბა და ხელისუფლებას რეალური პრობლემები ელის. თუმცა, ვერტიკალზე ამ წმების არ სჯერათ. ირაკლი ლარიბაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებას“ ძლიერი ოპოზიცია არ ჰყავს:
– მათი რეიტინგი დღითი დღე ეშვება... ისინი პოლიტიკური რადარიდან ქრებიან... ავტომატურად

გააცოცხლებს და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს. ამიტომაც ბურჯანაძისთვის მეორე პოზიციის დაკავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნაციონალებისთვისაც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგის გაუმჯობესება. მათ უნდა დაამტკიცონ,

ჩამოშორდნენ პოლიტიკურ პროცესებს. გიორგი ვაშაძემ უკვე შესთავაზა კიევის საკუთარი თავი რეფორმატორის როლი და იუსტიციების სახლების აშენებაში დახმარებას დაჰპირდა. დავით საყვარელიძეც დიდი ხანია იქითაა. ის რამდენჯერმე გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის გვერდით.



ული ეკონომიკის მოდერნიზაციაზე სოლიდური თანხები დაიხარჯება. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმაც ისაუბრა. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით:

– ევრობანკი აპირებს სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას იმისთვის, რომ, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანხმად, ქართული კომპანიების მიერ განვლილ სამუშაოები სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტით დაფინანსდეს, რათა ქართულმა კომპანიებმა ადვილად შეძლონ ევროპის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით იმ სტანდარტების მიღწევა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ევროპის ბაზარზე ექსპორტი განახორციელონ. ასევე, მნიშვნელოვანია, ითქვას, რომ ხელი ეწერება შეთანხმებას წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისთვის 8 მილიონი ევროს ფარგლებში. ეს იქნება სპეციალური დახმარება ევროკავშირისგან და ვფიქრობ, ასეთი ტიპის სპეციალური დახმარება მომავალშიც ბევრია გათვალისწინებული. გარდა ამისა, მაკროეკონომიკური სტიმულირებისთვის გათვალისწინებულია 46 მილიონი ევრო და სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული სტანდარტების მიღწევისთვის სპეციალური დახმარება 51 მილიონი ევროს ოდენობით. მოკლედ, პაკეტი საკმაოდ სერიოზულია...

ასე რომ, უკვე ამ კვირაში ადგილობრივი არჩევნების შედეგებით ბევრი რამის განსაზღვრა შეიძლება.



გადიების მოთხოვნაც და ა.შ. თუმცა ფასეულობების გადაფასების გამო, შეიძლება ითქვას, საკმაოდ გართულდა ურთიერთობა თეატრსა და ცხოვრებას შორის. სცენა აღარ არის მასობრივი სანახაობის ადგილი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში შეუცვლელი იყო, რადგან მისი სივრცის დიდი ნაწილი მაქსიმალურად შეავსებოდა ტელევიზიამ და ინტერნეტმა. ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა კი გარკვეულწილად შეაფერხა პროგრესი. ერთი სიტყვით, მასობრივმა კულტურამ თეატრს სასუნთქ სივრცესთან ერთად მაყურებლის დიდი ნაწილიც წაართვა, ისე ჩანს, თითქოს თეატრმა დაკარგა აქტიურობა, მაგრამ ფაქტია, მას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და თეატრის „ვითომ“ მოყვარულთა რიგებში, ნამდვილად მოძებნებთან ადამიანები, რომლებიც მის ღირებულებას ასე აფასებენ. თუმცა გაუგებარია რატომ ამბობს ჩვენი ბებების და ბაბუების ან თუნდაც მშობლების თაობა, რომ დღეს სულ სხვა თაობაა, ამ ახალგაზრდობას ნორმალური არაფერი აღარ აინტერესებთ. რა თქმა უნდა, დღეს სულ სხვა, წინა თაობისგან აბსოლუტურად განსხვავებული თაობაა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ერთ ქვაში იხარშება, ან მათმა დიდმა ნაწილმა სულაც არ იცის კულტურა და საზოგადოებრივ ადგილებში მოქცევის

რთლაც რომ ბევრია, უბრალოდ, ბევრი კი არა, საგანგაშოდ ბევრი. დანყებული ინფორმაციისგან დამთავრებული შემოქმედებითი პრობლემებით, რეგიონალურ თეატრების უმრავლესობაში ხდება დასების დაბერება, ცუდად არაფერს გამოიგოს ასაკოვანი მსახიობებს არაფერს ვერჩი, უბრალოდ, დასში საჭიროა ახალი სისხლი. ზუგდიდის თეატრის შენობა, როგორც ვიცი, საერთოდ ინგრევა და იქ სპექტაკლების თამაში სერიოზული საფრთხეა. რაც შეეხება თბილისის თეატრებს, მგონი რომ მდგომარეობა არც ისე ცუდია, პირიქით, კარგი მდგომარეობაა. დაფინანსება აქეთ, მიდის

როგორც ჩანს, სპექტაკლებზე დარბაზში მსხდომი ადამიანების რიცხვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისის კულტურული ცხოვრება ასე თუ ისე ახალგაზრდების ხარჯზე მაინც ყვავის, აქედან გამომდინარე, თეატრებში აქტიური ცხოვრებაც შეძლებისდაგვარად ჩქევს. იდგმება საინტერესო სპექტაკლები, ინიშნება პრემიერები, იხსნება სხვადასხვა მსახიობების ვარსკვლავები და ა.შ. თუმცა ეს მხოლოდ თბილისში, აირევიონებში კი ნამდვილად სავეალლო მდგომარეობაა. მაყურებელს არ უნდა თეატრში მივილა, ეზარება, ეს,



ალბათ, ლოგიკურია, როცა მიდიხარ თეატრში და იქ გხვდება არაკომფორტული გარემო. სპექტაკლის დროს გციოვა, ჩვეულებრივ ჩამოგდის თავზე წვიმა და სავარძლიდან ლურსმნები გერჭობა, ცოტა რთულია სიამოვნების მიღება. მიუხედავად ყველაფრისა, სამწუხაროდ, თეატრი ჩვენს ქალაქშიც ბევრს ჰგონია უბრალო ტამ-ფანდურა და ვერ ხვდება ამაში ფული რატომ უნდა გადაიხადოს. დასანანია, რომ ხშირად თეატრალური წარმოდგენები კულტურის სახლის კონცერტებთანაც კი არის ხოლმე გაიგივებული.

„რა თაობა მოდის“ - მაგივრად, მომავალ ახალგაზრდობას ყველამ ერთად, რომ შევეწყოთ ხელი ესთეტიკური კრიტიკურობების ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად მომავალი თაობის ხელოვნებით დაინტერესებას გულისხმობს, ქვეყნის კულტურული მდგომარეობა ბევრად უფრო გაუმჯობესდება და ამის საფუძველზე იქნება ეს „ახალი თაობა“ ხელოვნების ნიმუშების კარგ მომხმარებლებად, კარგ შემფასებლებად და უკეთეს შემთხვევაში ხელოვნების „პროდუქტების“ ხარისხიან შემქმნელებადაც კი ჩამოყალიბდეს. დღეს ახალი თაობის მსახიობებს საქართველოს შორის რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ზრდის. მსახიობების უმეტესობა მთელ დღეებს თეატრალურში ატარებს, თუმცა რა მდგომარეობაა დღეს უნივერსიტეტში და რას ფიქრობენ დღევანდელ ქართულ თეატრზე თავად მომავალი მსახიობები.

რა დროს ატარებ თეატრალურ უნივერსიტეტში და შენი აზრით შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს თეატრალურში არსებული დრამის ფაკულტეტი?

რატი ყულოშვილი (შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, დრამის ფაკულტეტის სტუდენტი):

პირველ რიგში, დიდი მადლობა თქვენს გაზეთს, რომ ინტერესებით თეატრალურის სტუდენტებს ცხოვრებით. ჩემი დღის უმეტესი ნაწილი უნივერსიტეტს ეთმობა, დილის ათიდან საღამოს ათამდე თეატრალურში ვარ. საერთაშორისო სტანდარტებზე ცოტა გამეცინა, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ, არ შეესაბამება. მე არ დავსწრებ-ივარ სხვა ქვეყნის თეატრალური უნივერსიტეტების ლექციებს, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით გავეცანი იქაურ სიტუაციას. შესაბამისად ვთვლი, რომ თეატრალური უნივერსიტეტი ჩვენთან საერთაშორისო სტანდარტებისგან აბსოლუტურად განსხვავდება.

გიტარდება თუ არა მასტერკლასები?

მასტერკლასები იშვიათად, მაგრამ მაინც ტარდება, როცა ტარდება უმეტესად სტუდენტების ინიციატივით. წელს, მაგალითად, 5 მასტერკლასი ჩაგვიტარდა, 3 ქორეოგრაფიაში და ორი სამსახიობო მსტატობაში. ვფიქრობ, რომ უფრო მეტადაა საჭირო მოვისმინოთ პროფესიონალების აზრი, თუმცა ამაზე ჩვენ, სტუდენტები კი არა, ზემდგომი პირები უნდა ფიქრობდნენ.

გაკონია თუ არა საშუალება მონაწილეობა მიგელო რომელიმე სპექტაკლში? გეძლევათ თუ არა საშუალება იმუშაოთ რეჟისორებთან, რომლებიც დღეს ქართული თეატრის „ბაზარზე“ აქტიურად ჩანან? თუ შენი და შენი კოლეგების გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ თეატრალურში არსებული ეტიუდების ფესტივალის შემოფარგლება?

ჩემი, როგორც მაყურებლის თხოვნაა, რომ „ყველას“ სპექტაკლს ნუ დაადგმევენებთ და „ყველას“ სცენაზე ნუ ათამაშებთ, თორემ აუცილებლად დავიღუპებით“



მონვევები მქონდა რამდენიმე სპექტაკლში, დამწყები რეჟისორებისგან, თუმცა ჩემი რეჟისორი თვლის, რომ სანამ არ მოერჩები მასთან 4-წლიანი სწავლების კურსს, მანამდე სხვა რეჟისორთან შეხება არ უნდა მქონდეს, მაგრამ გაანია რეჟისორსაც... ასეთი სიტუაციები სანყენია ხოლმე ჩემთვის, თუმცა გარკვეულწილად ჩემი რეჟისორის მესმის. სანამ აქ ჩავაბარებდი არანაირი შეხება არ მქონია სამსახიობო ოსტატობასთან, დღეს, მე პირადად, ძალიან ბევრ რაღაცას ვსწავლობ თეატრალურში, მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც არ ვარ კმაყოფილი სწავლით, მაინც ვცდილობ ბოლომდე ავითვისო ყველაფერი ის, რასაც მასწავლიან.

შენი აზრით, ზოგადად რა პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი ქართული თეატრი?

პირველ რიგში, მადლობა ამ კითხვისთვის. ძალიან ბევრი პრობლემაა, რომლის თქმის საშუალებაც ახლა მომეცა. ქართული თეატრის პრობლემები თეატრალური უნივერსიტეტიდან იწყება. დისციპლინა არ არის, სულ ტრიალებს ძველი სპექტაკლები, არ იდგმება თანამედროვე სპექტაკლები, რაც საზოგადოებას უფრო მიიზიდავს. ახალგაზრდებს დღეს უფრო სხვა აზროვნების და მენტალიტეტის სპექტაკლები ესაჭიროებათ. ყველაფერი ეს კი ერთად იკრიბება და რეჟისორები უფრო ხიან რაიმე ინოვ-

აციური აზრის გადმოცემას და კვლავ ასახავენ ძველ რეალობას. ცხადია, ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება სპექტაკლებში ასახული იყოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, რეალობა, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. უკვე ათასჯერ გადაღებული რეალობაში კი ათამაშებენ ძველ მსახიობებს, გასაგებია, რომ ეს ყველაფერი კარგია, თუმცა ძველ თაობას საკმაოდ კარგად იცნობს უკვე მაყურებელი, ამიტომ საშუალება უნდა მოგვცენ ახალგაზრდა თაობას, რომ კარგად გაიცნოს საზოგადოებამ ჩვენი ნიჭი და გაგვიცნონ ჩვენი როგორ ქვეყნის მომავალი არტისტები. ამ ყველაფერთან ერთად თეატრებში ძალიან დაბალი ანაზღაურებაა. სირცხვილია, რადგან ხელოვნების ამ დარგში მოღვაწე ადამიანებს მეტი დაფასება და შეფასება უნდა ჰქონდეთ. მსახიობები ყოველთვის ბოლომდე იხარჯებიან მაყურებლისთვის, საზოგადოებას კი ეს ყველაფერი რატომღაც ძალიან მარტივი ჰგონიათ.

შენი აზრით რატომ ხდება დღეს ქართულ თეატრში მსახიობების დაბერება? ხომ არსებობენ ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობები? აი, მაგალითად, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ მთელი ქვეყანა აღფრთოვანებულია ცოტნეს როლის შემსრულებლით.

დღესდღეობით თეატრი და კინო ბაზას არ ეძებს, მაინც ძველ სახეებს უყურებენ, ახლის აღმოჩენით თავს არავინ

ინუხებს. რეჟისორები თვლიან, რომ უფრო რეჟისორულ ნაშრომს უნდა მიექცეს ყურადღება და არა მსახიობის ოსტატობას. რაც შეეხება ბაზუტას (ცოტნეს) ძალიან კარგად ვიცნობ და ვთვლი, რომ მართლა ძალიან ნიჭიერია, თუმცა ვთვლი, რომ აუცილებელი არაა მსახიობი მაყურებელმა ტელევიზიით გაიცნოს, ბაზუტა თავისუფალში და მუსკომედიის თეატრშიც თამაშობს, საიდანაც ხალხს შეეძლო გაეცნო. ამ შემთხვევაში ბაზუტას ძალიან გაუმართლა, მისნაირი ნიჭიერი ადამიანი კიდევ ბევრია, მენდეთ. იმისთვის, რომ დანარჩენები საზოგადოებამ გაეცნოს, რეჟისორებმა (ახლებაც და ძველებმაც) უნდა ეძებონ ახალი სახეები და არა ნაცნობები ან ნაცნობი ახლობლის სახეები.

რას ელოდებით თეატრალურის დამთავრების შემდეგ შენ და შენი მეგობრები? რა შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში?

ადრე, როდესაც მსახიობები უნივერსიტეტს ამთავრებდნენ, მაშინვე ხდებოდა მათი განაწილება სხვადასხვა თეატრებში. ახლა ეს ტრადიცია მოშლილია და სულ ვფიქრობთ რა გვეშველება თუ თეატრებში ადგილი არ იქნება და ჩვენ, „ახალი თაობა“, კვლავ ვერსად მოვხვდებით. თეატრალურში ძალიან ბევრი ნიჭიერი მსახიობი იზრდება, ფიზიკურად ამდენი თეატრი არც არსებობს ჩვენთან, ალბათ, იმიტომ, რომ სამწუხაროდ, მო-

თხოვნაც არაა. საჭიროა გაიხსნას ახალი, თანამედროვე თეატრები, სადაც დავსაქმდებით, მაგალითად მე და ჩემნაირები. სულ ვნატრობ, როცა უნივერსიტეტს დავამთავრებ მომეცეს საშუალება ჩემი ნიჭი გამოვამჟღავნო ჩემივე ქვეყანაში და სხვაგან ნასვლა არ მომიწიოს. იმედია, თეატრებში ადგილები იქნება ან „განთავისუფლებდა“ და მოვხვდებით, სხვათაგან ჩვენი მომავალი დაინგრევა და ყველა არტისტი სერიოზულ სულიერ ტრავმას მიიღებს. ეს ლოგიკურია, რადგან 4 წლის განმავლობაში ისე ვშრომობთ, რომ ჩვენი დაფასება და დასაქმება უნდა ხდებოდეს. მე მინდა ჩემს ქვეყანას ვემსახურობო, თუმცა თუ რეალობა გადავხედავთ დიდი შანსია საზღვარგარეთ ნასვლამ მაინც მომიწიოს.

70-იანი წლების შემდეგ ქართული თეატრი გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. დაიწყო რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინოსახიობის თეატრების ტრიუმფალური გასტროლების ეპოქა საზღვარგარეთ. ქართულ თეატრში დანყოფილება პროცესი, პროცესი, რომელიც უწყვეტად უნდა გაგრძელდეს და გაუმჯობესდეს, თუმცა ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, პრობლემის კარგად შესწავლა და შემდეგ მისი აღმოფხვრა მყისიერად თუ არა ეტაპობრივად მაინც სჭირდება, ყოველივე ამას კი რეჟისორებთან ერთად ჩვენ, საზოგადოებამაც აქტიურად უნდა შევეწყოთ ხელი.





my View
ნათიუნა
ბაგალაშვილი

რა მიზნით ცდილობს ირაკლი ოქრუაშვილი ბერკეტების ხელში ჩაგდებას და რატომ აირჩია ბრძოლის ველად მაინცდამაინც გორი – ფაქტია, რომ ის ხელისუფლებას ადგილობრივ მოსახლეობაზე წუხილის გამო არ უპირისპირდება. მერობის კანდიდატად დარეგისტრირების მცდელობისას ოქრუაშვილმა მთავარი ინტერესი გააჟღერა, როდესაც განაცხადა, ჩემი ოცნება და მიზანი არ არის გორის მერობა, ჩემთვის ეს სხვა ტიპის კამპანიაა... სწორედ ამიტომ გორის მერობისთვის მას დიდად არც უბრძოლია. „სხვა ტიპის კამპანიაში“ მონაწილეობა კი, როგორც ექსპერტები ამბობენ, ოქრუაშვილს უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს და სერიოზულ საფრთხესაც სწორედ ამიტომ წარმოადგენს. რუსეთის ინტერესების გამტარებელ პოლიტიკოსს მხარდაჭერასაც სწორედ მოსკოვიდან უწინასწარმეტყველებენ. მართალია, საარჩევნო გეგმა წაგების გამო ჩაეშალა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ოქრუაშვილი არც მომდევნო ნაბიჯებზე აპირებს უარის თქმას. გორში გაძლიერებით ის ხელისუფლებაზე ზეწოლას სწორედ რუსეთის მხარდაჭერით გეგმავს. რა პრობლემები შეიძლება შექმნას თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ამაზე ექსპერტები და პოლიტოლოგები ხმამაღლა საუბრობენ...

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:
– ხელისუფლებას განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება მართებს, თუ გორი არ იქნება მის მიერ კონტროლირებადი, მაშინ, ბუნებრივია, საჭირო პოლიტიკას ვერ გაატარებს, იმიტომ რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნების სერიოზული დეფიციტია და პრიორიტეტულია საკუთარი პოლიტიკური პარტიის ინტერესები. ძნელია ვთქვა, რამდენად არის ჩართული ამ პროცესში ირაკლი ოქრუაშვილი, ყოველ შემთხვევაში იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მართოს სიტუაცია, პრობლემურ ტერიტორიებზე უნდა აკონტროლებდეს გორს, ზუგდიდსა და ასეთ რეგიონებს. ბუნებრივია, რუსეთს ექნება საკუთარი ზრახვები ამ რეგიონების მიმართ, არ აქვს მნიშვნელობა, ოქრუაშვილის მეშვეობით თუ კიდევ სხვა ვინმეს მეშვეობით, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რუსეთი აუცილებლად შეეცდება, იქ თავისი გაიტანოს. ისე, გორის ერთი მერი, ან საკრებულოს თავმჯდომარე პოლიტიკურ ფონს ვერ შეცვლის.
– თუნდაც რუსეთი ედგას ზურგსუკან?
– ვინც არ უნდა ედგას, არ აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, შეძლებს, ხელისუფლების პოლიტიკა არ გაატაროს და პრობლემები შექმნას, თუმცა რუსეთს რომ ჩააბაროს იქაურობა, ასე არ გამოვა.
პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვის განცხადებით, პრორუსული ძალები ყველაზე მეტად ორ რეგიონში – შიდა ქართლსა და სამეგრელოში აქტიურობენ. ბარნოვის განცხადებით, შესაბამისად,

მამუკა არეშიძე: „რუსეთს ეძნება საკუთარი ზრახვები ამ რეგიონების მიმართ, არ აქვს მნიშვნელობა, ოქრუაშვილის თუ კიდევ სხვა ვინმეს მეშვეობით“

ხელისუფლებამ აქცენტი ამ ორ რეგიონზე განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს.

ანდრო ბარნოვი:
„გორში ძალიან ბევრი ბართულაა შეიქცა, ვნახოთ, იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებს პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს რუსეთის წესებით თამაშის სურვილი. რამდენად შეიძლება ოქრუაშვილს ვუნდოდოთ ასეთი მოთამაშე? ჩემი აზრით, საკმაოდ დიდი ალბათობაა ამის. ასე რომ, მე პირადად ამის საფრთხეს ნამდვილად ვხედავ. როგორც მინიმუმ, ოქრუაშვილი პირადად ჩემში ნამდვილად არ იხვევს ისეთი პოლიტიკოსის განცდას, რომელსაც შეიძლება ქვეყნის ბედი ანდო. ის გაუგებარი მოთამაშეა ამ სფეროში.“

ანდრო ბარნოვი:
– ოქრუაშვილი სახიფათოა, რა თქმაობისა.

მა უნდა, მით უმეტეს, რომ თავის დროზე მას გაცხადებული აქვს, რომ მისი მიზანი სულაც არ იყო გორის მერობა, არამედ ბევრად დიდი პოლიტიკოსთვის ემზადებოდა. რა თქმა უნდა, ეს არის რეგიონი, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება კონფლიქტურ რეგიონს, პრინციპში, ამავე რეგიონის ნაწილია მოყოლილი კონფლიქტურ ზონაში და იქ ძალიან ბევრი გართულება შეიძლება ვნახოთ იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებს პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს რუსეთის წესებით თამაშის სურვილი. რამდენად შეიძლება ოქრუაშვილს ვუნდოდოთ ასეთი მოთამაშე? ჩემი აზრით, საკმაოდ დიდი ალბათობაა ამის. ასე რომ, მე პირადად ამის საფრთხეს ნამდვილად ვხედავ. როგორც მინიმუმ, ოქრუაშვილი პირადად ჩემში ნამდვილად არ იხვევს ისეთი პოლიტიკოსის განცდას, რომელსაც შეიძლება ქვეყნის ბედი ანდო. ის გაუგებარი მოთამაშეა ამ სფეროში.
– რუსეთი შეიძლება დაეხმაროს ოქრუაშვილს?
– ალბათ, უფრო ფინანსური დახმარება იქნება, პირდაპირი დახმარების სცენარებს მე ვერ ვხედავ. ასევე, თუ ჰყავთ დარჩენილი საქართველოში აგ-

ენტურა, რომლებიც ხალხში იმუშავებენ, შეიძლება ამ გზითაც დაეხმაროს. ჩვენ ვხედავთ აქ ორგანიზაციებს, ვგულისხმობ ვერაზიულ ინსტიტუტს და მსგავს ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად ორ რეგიონში აქტიურობენ, ეს არის შიდა ქართლი და სამეგრელო. ესეც ძალიან ყურადღაღები და მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელსაც ხელისუფლება ყურადღებას უნდა აქცევდეს.
– როგორ ფიქრობთ, ოქრუაშვილში საფრთხეს რამდენად აცნობიერებს ადგილობრივი მოსახლეობა?
– ადამიანები სხვადასხვანაირად უყურებენ ყველაფერს, ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვით. მე შემიძლია გითხრა, რომ ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებს. პირადად მეც ბევრჯერ მომიხდა საუბარი და კამათიც კი საფრთხეების საკითხებზე შეხვედრების დროს, მოქალაქეებთან. თუმცა ამ შემთხვევაში სამოქალაქო სექტორი,

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და რაც მთავარია, ხელისუფლების მოვალეობა არის ის, რომ უფრო კარგად განმარტონ საკუთარი მოსახლეობისთვის საფრთხეები. ამას, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ. მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ ისტორია: როდესაც გორში ვერაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ ჩასულნი საზოგადოებასთან შესახვედრად, სხვადასხვა სოფლებში სრულიად უპრობლემოდ დაუთმეს მათ შეხვედრისთვის ადგილობრივმა სკოლებმა დარბაზები. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საშუალება, ეკონტაქტა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვენ რომ გავიგეთ, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მოქმედებები, საჭიროდ ჩათვალა, ადგილებში ჩავსულიყავით და განმარტებები გაგვეკეთებინა. მართალია საზოგადოებასთან შეხვედრა ვერაზის დაგვიმალა, მაგრამ ჩვენთვის შეხვედრის სივრცე არავის დაუთმო, ყველა ცივ უარს გვეუბნებოდა.



ანდრო ბარნოვი:
„ჩვენ ვხედავთ ამ ორგანიზაციებს, ვგულისხმობ ვერაზიულ ინსტიტუტსა და მსგავს ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად აქტიურობენ ორ რეგიონში, ეს არის შიდა ქართლი და სამეგრელო“



მამუკა არეშიძე:
„იმისთვის, რომ ხელისუფლება მართოს სიტუაცია, პრობლემურ ტერიტორიებზე უნდა აკონტროლებდეს გორსა და ზუგდიდს“

„მე მიყვარს წიგნი“

სალი კიპარიძე

პროექტი „მე მიყვარს წიგნი“ ამოქმედდა ქვემო ქართლის გუბერნატორის, გიორგი მღებრიძის ინიციატივით, დაიწყო პროექტი, რომლის საშუალებითაც ხდება მოზარდებში წიგნის პოპულარიზაცია, ამ პროექტის ინდივიდუალობა იმაში გამოიხატება, რომ მისი პროპაგანდის ხერხები ყველაზე მარტივად და სასარგებლოდაა მოგებული მოზარდებზე. რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრისა და საბიბლიოთეკო გაერთიანების დახმარებით, უქმე დღეებში, ბიბლიოთეკაში მისულ მოზარდებს ადგილზე თეატრის მსახიობები დახვდებიან და თვალწინ სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების გმირებს გაუცხოვრებენ. პროექტი მიმზიდველი და საინტერესოა ასევე ეთნიკური უმრავლესობებისთვისაც, რადგან სპეციალურად განკუთვნილ დღეებში, ექსკლუზიურად მათთვის სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟები აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ალაპარაკდებიან. თუმცა პროექტი მარტო ზღაპრების კითხვითა და პერსონაჟების გაცოცხლებით არ შემოიფარგლება. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა აქტივობები და გასართობ-შემცნებითი კონკურსები. უფრო ვრცლად ამ თემაზე რუსთავის ბიბლიოთეკის დირექტორს თეა ჟვანიას ვესაუბრეთ.

ბიბლიოთეკაში გაცოცხლებული ნაწარმოების გმირები



– საიდან დაიბადა ამ პროექტის შექმნის იდეა?
 თეა ჟვანია (რუსთავის ბიბლიოთეკის დირექტორი):
 - იდეა ამ ცოცხალი წიგნის ქართლის გუბერნატორის, ბატონ გიორგი მღებრიძის ინიციატივით გაუჩნდა, როდესაც მან თავისი საინტერესო პროექტის გეგმა გაგვაცნო, ძალიან მოვიხიბლეთ და ბიბლიოთეკის მიერ შემადგენ-

ობა იდგის მყისიერი განხორციელებისთვის მუშაობას შეუდექით. საერთო ჯამში ეს გამოვიდა გუბერნატორის, რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და რუსთავის თეატრის ერთობლივი პროექტი. სულ რამდენიმე დღის წინ გაიმართა პროექტის პრეზენტაცია.

– რატომ თვლით, რომ თქვენი პროექტი განსაკუთრებულია? რითი განსხვავდება სხვა მსგავსი პროექტებისგან?

- ამ პროექტის მნიშვნელობაზე ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან ყველა კარგად იცის, როგორ გართულდა გლობალური კომპიუტერულიზაციის ხანაში მოზარდი თაობის წიგნთან მიყვანა. წლებადელი წელი

წიგნიერების წაღება გამოცხადებული, ჩვენც ძალიან არ ვიბრუნებთ საინტერესო პროექტების დაწერვისთვის, როცა კონსტიტუციური მსახიობი მსატრეულად კითხულობს ამა თუ იმ საინტერესო, ცნობილ ნაწარმოებს წიგნების სამყაროში მოხვედრილი ბავშვებისთვის, იზრდება ბავშვების ინტერესო წიგნის იდეალური სამყაროს მიმართ.

– არ ასაკის კატეგორიაზე გათვლილი პროექტი?

- ეს პროექტი სწორედ იმ ასაკის ბავშვებზეა გათვლილი, როდესაც მათი ტვინი წელ-წელა იწყებს ცნობიერების აღქმას და განვითარებას. ასაკი, ამ ეტაპზე, განესაზღვრეთ 6-10 წლამდე კატეგორიაზე, მაგრამ ვფიქრობთ, უფრო პატარებიც უნდა ჩაერთონ. არავის ეგონოს, რომ ეს იქნება მარტო ზღაპრების კითხვა, პროექტის ფარგლებში მოხდება გამოჩენილი მხერლების მოთხრობების, იგავ-არაკების, მითების გაცოცხლება, ნაწარმოების განაღობვა და მსჯელობა. პროექტი მხოლოდ და მხოლოდ უქმე დღეებში განხორციელდება, მაშინ, როცა მოზარდები პროექტით არ იქნებიან დაკავებული და მთლიან დროს დაუთმობენ წიგნებს.

– მსახიობების ჩართულობა როგორ იქნება ამ პროექტში და მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერადი სახე ხომ არ ექნება მათ ინიციატივასა და დახმარებას?

- სწორედ მათი მონოსპექტაკლები და სამსახიობო ოსტატობა დაეხმარება პატარებს მსატრეული სიზუსტით აიქვან წიგნის სამყარო. რუსთავის თეატრი აქტიურად ჩართო ამ პროექტის განხორციელებაში და ეს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება არ იქნება, ამ პროექტს სერიოზული სახე მიეცემა და ამ სერიოზულობაში აუცილებლად ფიგურირებს თეატრი, როგორც პროექტის ხორცის შემსხმელი ძალა.

– როგორ იგეგმება პროექტში ეთნიკური უმცირესობების ჩართვა?

- მოგხსენებთ ჩვენი ქალაქი ეთნიკურად მრავალფეროვანია, სწორედ ამიტომ ჩვენი პროექტის იდეაზე იყო ჩადებული ეთნიკური უმცირესობების ჩართვა. მსახიობები ამ მოზარდებს მონოსპექტაკლს ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე გაუმართავენ, ნაუკითხავნ მრავალ ნაწარმოებს, რომ საშუალება მისცემენ მათ უფრო მარტივად და სწრაფად მოახერხონ ინტერირება ქართულ საზოგადოებაში.

– ამ კვირაში პროექტმა სტარტი უკეთაილი. გამოიხატა თუ არა მოზარდების ინტერესი პროექტის პირველმა ნაკადმა და ხომ არ ვარაუდობთ, რომ პროექტი მასშტაბებს გასცდება?

- დიას, როგორც უკვე აღნიშნეთ ჩვენი პირველი შეხვედრა მოზარდებთან 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მოხდა. პატარებს ლამაზად გაფორმებულ წიგნების სამყაროში გუბერნატორი თვითონ მასპინძლობდა შეხვედრა ვარსკვლავური ცხველმა მეზღაპრე და ზღაპრის გმ-



ირებმა, პეპიმ, ნითელ ქუდამ, ბურატინომ, მუსიკის თანხლებით აუხსნეს ბავშვებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წიგნი ადამიანის ცხოვრებაში და რამდენად ცოდნას სძენს ის თითოეულ ჩვენგანს. პირველივე შეხვედრამ, ბავშვების, მშობლებისა და პედაგოგების დიდი ინტერესი გამოიწვია. იცით ეს საინტერესო და მეტად აუცილებელი პროექტი ქალაქის მასშტაბებს წესით მალე უნდა გასცდეს. ბატონი გიორგის უშუალო ხელშეწყობით პროექტი აუცილებლად ჩართვებთან სხვადასხვა რეგიონის პატარებზეც.


პროექტის ინიციატორის, გიორგი მღებრიძის თქმით, ნებისმიერი მოზარდისთვის აუცილებელია წიგნის კითხვა, რაც სამშუაროდ, ჩვენს დროში, ინტერნეტის და სხვადასხვა გარემოებების გამო მნიშვნელოვან ნილად შეზღუდულია.

„აღნიშნული პროექტის მიზანია, რომ ბავშვებმა საბიბლიოთეკო სივრცე და წიგნი ალიქვან, როგორც შექმნილების ჯადოსნური სამყარო. ჩემი სურვილია, რომ პატარები უფრო დაუხლოვდნენ წიგნს, ინტერნეტი ძალიან კარგია, მაგრამ ის ნარმოსახვის უნარი, რომელიც ყოველივე ახლის, პროგრესის ქვაკუთხედი, სწორედ წიგნიერების ფონზე ვითარდება. ერთდროულად თაობა ჩვენი ძალა და მომავლის რწმენაა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რუსთავის თეატრის მსახიობებს და საბიბლიოთეკო გაერთიანებას ამ იდეის მხარდაჭერისთვის. კარგი იქნება, თუ ამ ნამოწყებას ქვემო ქართლის სხვა მუნიციპალიტეტებზეც გაიზარდებენ“- აღნიშნა ქვემო ქართლის გუბერნატორმა. რუსთავის დრამატული თეატრის დირექტორმა ლალი თაბაგარმა კი განაცხადა, რომ მსახიობები

ამ საინტერესო და ორიგინალურ პროექტში დიდი მონდომებითა და სიხარულით ჩართვებში და ამ ჩართულობას ინტენსიური სახე მიეცემა.

„ჩვენი თეატრის მსახიობები გუბერნატორის ამ იდეას დიდი ენთუზიზამით შეხვდნენ და პროექტში უანგაროდ ჩაებნენ. მისასალმებელია ყველა ის ნამოწყება, რომელიც ჩვენს ჯანსაღ მომავალს ეხება და ბავშვების წიგნიერების დონის ამაღლებას ემსახურება. ბიბლიოთეკებში გამოქვეყნებული იქნება ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტა, სადაც მშობლებს შეეძლება, პატარები სამკითხველო კლუბში წინასწარ ჩაწერონ და არჩეულ დღესა და დროს პროფესიონალი მსახიობები მათ კლასიკურ ნაწარმოებს ნაუკითხავნ. მოხარული ვარ, რომ გარდა მთავარი მიზნისა, ეს პროექტი თეატრის პოტენციური მაყურებლის აღზრდასაც ემსახურება“.

პროექტის ფარგლებში საბიბლიოთეკო სივრცეში მსახიობებისა და ბავშვების პირველი შეხვედრა მხიარული სიმღერების, მონოსპექტაკლებისა და შექმნილი ვიდეორეგენების ფონზე მიმდინარეობდა. მსატრეული პერსონაჟების ფორმები გამოწყობილი მსახიობები ახალგაზრდა და მწყებ მკითხველებს, მსოფლიოში ცნობილ ლიტერატურულ გმირებზე საკუთარ შთაბეჭდილებებსაც უზიარებდნენ. ასე რომ, ყოველ შაბათ-კვირას რუსთაველ ბავშვებს და არამარტო მათ, რუსთავის ბიბლიოთეკებში მსახიობები ელოდებიან იმისთვის, რომ პატარებს საინტერესო ისტორიები და გმირები მათთვის მისაღებ და გასაგებ მარტივ ენაზე უფრო ახლოს გააცნონ.



„მოზილური გიდი“ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უპრეცედენტო პროექტი სტუდენტებისთვის

ნანა შონია

„მოზილური გიდი“ - ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელსაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სტუდენტებს სთავაზობს. ერთი წლის წინ საპილოტედ დაწყებული პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ წელს „მოზილური გიდის“ არსებულ ჩამონათვალს 60 სტუდენტი შეემატება. მათ ვისაც სურთ ტურიზმის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება და ზაფხულის სეზონზე მუშაობა, შეუძლიათ ივნისის ბოლომდე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიმართონ. საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, ვინც ინგლისურ და რუსულ ენებს ფლობს, აქვს შანსი, „მოზილური გიდი“ გახდეს და ამით, საჭირო გამოცდილებასთან ერთად, ქვეყნის პოპულარიზაციის საქმეში მიიღოს მონაწილეობა. „მოზილური გიდი“ უცხოელ ტურისტებს დედაქალაქის უკეთეს ცაცრობაში და საჭირო ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. რა პრიორიტეტები აქვს პროექტს და რატომ არის ის მიზიდველი ქართველი ახალგაზრდებისთვის, ამაზე „პრაიმტაიმთან“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოზილური მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ნინო ქინქლაძე საუბრობს.

ნინო ქინქლაძე, მოზილური მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი: „ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ერთი წლის წინ დაიწყო პროექტი, სახელწოდებით „მოზილური გიდი“. საპილოტე პროგრამას ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. აქედან გამომდინარე, წელს, უკვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ამ პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. თუ შარშან „მოზილური გიდის“ პროგრამის ფარგლებში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში გადამზადდება 8 სტუდენტმა გაიარა, წელს ამ პროგრამაში ჩართულთა რაოდენობა 60-ამდე აღწევს. „მოზილური გიდის“ პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.

- როგორ ხდება პროექტში მონაწილე ახალგაზრდების შერჩევა და რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის ამ პროექტში ჩართვა?
- პროექტში ჩართვა, პირველ რიგში, ამ ახალგაზრდების ინტერესშია. რადგან აქ სწავლობენ მომსახურებას, კომუნიკაციას, იუმჯობესებენ ენას, ამყარებენ კონტაქტებს და, რაც



jazzme

მთავარია, აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა პროექტებში. ჩვენი უმთავრესი მოთხოვნაა, რუსული და ინგლისური ენების ფლობა, რადგან მათ შეეძლონ კომუნიკაციის დამყარება ტურისტებთან. ყველა მსურველს, 20 ივლისის ჩათვლით, შეუძლია გამოგვიგზავნოს CV ელექტრონულ მისამართზე n.kinkladze@gnta.ge

რის შემდეგაც მოხდება ამ ახალგაზრდების გასაუბრება დაბარება. გასაუბრებაზე არა მარტო ენის ცოდნა, არამედ კომუნიკაციის უნარი შეიმონდება. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად შეძლებენ ისინი პოზიტიურად განაწყო თითოეული ადამიანი. ამის შემდეგ ხდება გადამზადება და ახალგაზრდების ინფორმირება ჩვენი მხრიდან, თუ როგორ უნდა მოიტყუონ პრაქტიკული სამუშაოს დაწყებამდე. გარდა ამისა, ვატარებთ სპეციალურ ტრენინგებს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. მასში დაიწყო განაცხადების მიღება, მერე გარკვეული პერიოდი შეწყდა და ახლა ისევ განახლდა. დღეის მდგომარეობით 40 სტუდენტი უკვე მიღებულია, თუმცა ამ დროისთვის ვაკანტურია 25 პოზიცია. მინდა ვუთხრა სტუდენტებს, დროს ნუ დაკარგავენ და სწრაფად გამოაგზავნონ CV მეილზე, ინფორმაციისთვის კი დაგვირეკონ ნომერზე 2436999.

სამომავლო გეგმები...
„მოზილური გიდებთან“ დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას გრძელვადიანი გეგმები აქვს. ამ პროექტის ფარგლებში, სექტემბრიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 80 საშტატო ერთეული მოქმედებს. „მოზილური გიდების“ მომსახურების მიღება, ყველა ტურისტს,

ქვეყნის მასშტაბით არსებულ სამ აეროპორტში და ოთხ გამშვებ სასაზღვრო პუნქტში შეეძლება.

ნინო ქინქლაძე, მოზილური მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი:
„რეგიონებში ყველა სასაზღვრო პუნქტზე და ქვეყნის მასშტაბით არსებულ სამივე აეროპორტში, ვფიქრობთ, რომ გვყავდეს ჩვენი მოზილური გიდები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში იქნებიან წარმოდგენილი. თითოეულ მათგანს რვა საათი მოუწევს სამუშაოზე ყოფნა. გიდები მიიღებენ ტურისტებს და გაუწევენ მათ საჭირო საინფორმაციო მომსახურებას. ჩვენი გიდები მზად იქნებიან მათ პრობლემებზე მოახდინონ სწრაფი რეაგირება. გარდა ამისა მიიღონ ყველა სახის ინფორმაცია მათგან მომსახურებასთან და ხარისხთან დაკავშირებით. რაც მთლიანობაში უფრო ეფექტურს გახდის მომსახურების სფეროს საქართველოში. ეს ადამიანები იქნებიან შტატის თანამშრომლები და ბუნებრივია, მათი შერჩევის დროს განსაკუთრებული პრიორიტეტი იმ ახალგაზრდებს მიენიჭება, ვინც ჩვენს პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას. როდესაც „მოზილური გიდების“ უპირატესობებზე და იმაზე ვსაუბრობთ, თუ რატომ არის კარგი ამ პროექტში ჩართვა, აუცილებელია ითქვას, ის ახალგაზრდები ვინც სწორედ ახლა ერთვებიან პროექტში, წარმოდგენილი იქნებიან ჩვენს ღონისძიებებში. გარდა ამისა, ჩვენ მათ ვუწვევთ რეკომენდაციებს სხვადასხვა კომპანიაში და ისინი იღებენ სერტიფიკატს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის გამოცდილებით“.

ვუთხრათ „ჯინო ფერედაის“ რომელიც ბავშვებს, მის კომპლექსში, კვირაში ერთი დღე უფასოდ დასვენებისა და გართობის საშუალებას აძლევს. ასევე არიან კომპანიები, რომლებიც ჩვენი ბავშვების კვებაზე ზრუნავენ. რესტორნებისა და სალონების ქსელებთან გვაქვს მოლაპარაკებები და არა ერთი სასიამოვნო სიახლის შეთავაზებას ვგეგმავთ ჩვენი სტუდენტებისთვის. მთლიანობაში იმდენად მასშტაბურია ეს შეთავაზება, რომ ის, შესაძლოა, დამატებითი მოტივაცია გახდეს ახალგაზრდებისთვის.

გიორგი კაცაძე, თსუ-ს ტურიზმის მეორე კურსის სტუდენტი:
- უკვე მეორე კვირაა, რაც „მოზილური გიდის“ პროექტი ვარ ჩართული. სასიამოვნო პროექტია და ვფიქრობ, რომ მასში ჩართვით ძალიან გამომართლა. ჩემი კარიერა მინდა ტურიზმის სფეროს დავუკავშირო. ეს, პირველ რიგში, მეტი კომუნიკაცია და ადამიანური ურთიერთობებია. ჯგუფურად დავდივართ ბავშვები და ძალიან ბევრი პოზიტივი მოდის იმ ადამიანებისგან ვისთან ერთადაც გვიწევს ქალაქში გადაადგილება და ჩვენი კულტურის მათთვის გაცნობა.
- ამ ფონზე რამდენად მნიშვნელოვანია ბონუსები და ის სიურ-



jazzme

სტუდენტებს „მოზილური გიდის“ პროექტის ფარგლებში მუშაობა კვირაში ოთხი დღე, დღეში კი ოთხი საათი მოუწევთ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ამ დრომდე მუშაობს მათთვის შესაბამისებელ ბონუს პაკეტზე, რომელიც საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება.

ნინო ქინქლაძე: - ინტენსიურად გვიკავშირდებიან სხვადასხვა კომპანიები და პროექტში ჩართვის სურვილს გამოთქვამენ. კომპანია „ბორჯომი“ ჩვენს ბავშვებს ამარაგებს ნყლითა და მაისურებით. გვინდა განსაკუთრებული მადლობა

პრიზები, რომელსაც ადმინისტრაცია გთავაზობს?
- თავიდან არც კი ვიცოდით, რომ ბონუსების სახით სიურპრიზები გველოდა. იმდენად მიმზიდველი იყო პირველივე შეთავაზება, რომ ბონუსებზე არც კი გვიფიქრია. ნინომ რომ გვითხრა ამ სიურპრიზების შესახებ, რა თქმა უნდა, ძალიან გვესიამოვნა. მართლაც ძალიან მაგარი პროექტია, ყველა სიკეთესთან ერთად, ტურისტებთან აქტიურად ვამყარებთ ურთიერთობას. მადლობა გვიხდის და მათთან ერთად ფოტოების გადაღებას გვთხოვენ. არის შემთხვევები, როდესაც ეს ყველაფერი პირად მეგობრობაშიც გადადის, სოციალურ ქსელში, მაგალითად, ერთ-ერთი ტურისტისგან მიწვევა მივიღე ბაიკ ტურზე და ძალიან ბედნიერი ვარ.



jazzme



გაზეთი „პრაიმტაიმი“ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის ჯილდოს მფლობელი გახდა



ვადასხვა უნივერსიტეტების, განათლების სამინისტროს და ღონისძიებების ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „პრაიმტაიმი“ განხორციელებული პროექტებისთვის განსაკუთრებული მადლობა მიიღო.

ნინო გოგიჩაძე ფსიქოლოგი, ილიას უნივერსიტეტის, სკოლამდელი აღზრდის ინკლუზიური ცენტრის თანამშრომელი: - ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას ამ პროექტების განხორციელებას გვერდში დაუდგეს. სასიამოვნოა, რომ „პრაიმტაიმი“ ასე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ამ სფეროში. განსაკუთრებით მადლიერები ვართ იმ ფოტოგამოფენისთვის, რომელიც „პრაიმტაიმი“ მოგვცა და დღეს ამ ღონისძიებაზე მოსულ ადამიანებს მათი ნახვის შესაძლებლობა მიეცათ.



თამარ ფხაკაძე, „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი: „პრაიმტაიმი“ წლებია გვერდში უნდვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ჩვენ ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ. წლების მანძილზე ჩვენ უსინათლოებისთვის გამოვცემთ გაზეთ „პრაიმტაიმს“ ბრაილის შრიფტით. ჩავატარეთ გამოფენა სახელწოდებით „ერთი ნაბიჯით წინ“, სადაც ფოტოები იყო გამოფენილი და ამ გამოფენაზე შემოსული თანხებით, 60 ათასი ევრო გადავრიცხეთ პოლონეთის საელჩოს უსინათლოებისთვის სინთეზატორის შესაძენად. ცოტა ხნის წინ პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების კარიკატურების გამოფენა მოვანწყვეთ, აქედან შემოსული თანხებით 202-ე საჯარო სკოლის უსინათლო და მცირემხედველობის მქონე ბავშვებს დავეხმარეთ. დღეს ჩვენი მთავარი მიზანია უსინათლოებს ჰქონდეთ ხმოვანი სინთეზატორი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრაციას.“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს საქართველოს ხუთი უნივერსიტეტის (ილიას უნივერსიტეტი, ჯიპა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების) რექტორებმა ხელი მოაწერეს ინკლუზიური დეკლარაციას, რომელიც სამ ძირითად გზავნილზე

ეა დაფუძნებული, „შექმენი გარემო, ალიქვი შესაძლებლობა და განაპირობე განათლება“.

გიგა ზედანია, ილიას უნივერსიტეტის რექტორი: „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. დღეს მნიშვნელოვანი იყო ის, რომ განათლების სამინისტროსთან ერთად ხუთმა უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც აიღო ვალდებულება იზრუნოს ამ სფეროს გაუმჯობესებაზე. ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პრობლემას, ჩვენ გავხსენით მოზარდთა განვითარების კლინიკა. ფაქტია, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და ამ მიმართულებით ძალიან დიდი გზა გასავლელი, ილიას უნივერსიტეტი მაქსიმუმს გაეკეთებთ ამ პროექტის ფარგლებში.“

ეკა დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი: „ეს არის ის ნაბიჯი, რომელსაც ამდენი ხანია ელოდება განათლების სამინისტრო. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ინკლუზიურ განათლებაზე. დეკლარაციაზე ხელმოწერა დღეს ითვალისწინებს იმას, რომ ამ დეკლარაციის ხელმოწერილი უნივერსიტეტები იღებენ პასუხისმგებლობას არა მარტო მისაღები გარემოს შექმნაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, არამედ ხელს შეუწყობენ ასეთ სტუდენტებს მიეღი ამ სასწავლო პროცესის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს პირველად, მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა დაიწყო ფუნქციონირებას, ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ ინკლუზიური განათლება ფუნქციონირებდეს საქართველოში.“

ნანა შონია
გაზეთი „პრაიმტაიმი“ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის ჯილდოს მფლობელი გახდა.

დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც ილიას უნივერსიტეტში გაიმართა, სს-ს

ყოფის პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება მედიას. ჩვენ ჯილდო გადავეცით „პრაიმტაიმს“, რომელიც ყველანაირად ცდილ-



„ბრავო რეკორდსმა“ ნინა სუბლატის ალბომი გამოუშვა

my View
თაყარ გომეზაძე

12 ივნისს „ბრავო რეკორდსმა“ ორი ახალი მუსიკალური პროექტის პრეზენტაციაზე მიგვიწვია, რომლებიც გარკვეულწილად ერთმანეთთან კავშირშია. ერთი მათგანი გახლავთ მსოფლიოში უდიდესი ელექტრონული და საცეკვაო მუსიკის ბრიტანული ფესტივალი „Global Gathering 2014“, რომელიც 15 წელია ბრიტანეთში ტარდება და ასობით ათასობით აუდიტორიას კრებს (ბრიტანეთის საუკეთესო ფესტივალად არის აღიარებული). ფესტივალი ამიერკავკასიაში ჩამოვიდა. „ბრავო რეკორდსმა“ გახლავთ პირველი ლიცენზიანტი, რომელმაც ამ ფესტივალის ჩატარების უფლება იყიდა. ფესტივალი 19 და 20 სექტემბერს ქალაქ რუსთავის მოტოპარკში ჩატარდება. მსოფლიოს საუკეთესო დიჯეები 40 ათას მსმენელს დაუვინყარ უიქენდს ჰპირდებიან. ფესტივალზე გამოვლენ ქართველი დიჯეები და მუსიკოს-შემსრულებლებიც. მათ შორის მოხვდა ნინა სუბლატიც, რომლის ალბომის პრეზენტაციაც ამ დღეს მოეწყო. „საქართველოს ვარსკვლავი 2013“-ის გამარჯვებულმა სუბლატმა კომპანია „ბილინისგან“ პირველი ალბომის დაფინანსება მიიღო ჯილდოდ, რომელიც „ბრავო რეკორდსმა“ ჩაინერა. ალბომის სახელწოდებაა „Dare To



EXCLUSIVE „Dare To Be Nina Sublatti“-ზე ნინამ ერთი წელი იმუშავა


ზაზა შენგელია: „ეს ალბომი აზროვნებითაა შენიჭებული, სინტეზის და სხვადასხვა „ბრავო რეკორდსის“ ისტორიაში. ეს იყო ზიკაძის ალბომი, სადაც დამკვეთს სრული თავისუფლება მიეცა. ტექსტი, არანჟირება, ალბომის სტილისტიკა ნინამ თავად გადაწყვიტა. თავის ფანტაზიას გასაღებია მისი. ეს იყო ძალიან გულწრფელი მუშაობა. თავი გამოამჟღავნა, როგორც მუსიკალურმა პროდიუსერმა. დიდი მადლობა ყველას, ვინც



Be Nina Sublatti, რომელიც ათი კომპოზიცია შედის, აქედან ხუთი ქვეყნისა და ხუთივე ნინას ეკუთვნის. პრეზენტაციაზე მსურველებმა ალბომები შეიძინეს და ნინასგან სამასხვო ავტოგრაფებს მიიღეს. სუბლატს ახალი იმიჯი აქვს.

ზაზა შენგელია: - გადაწყვიტეთ, რომ ფესტივალი „Global Gathering 2014“ ქალაქ რუსთავის მოტოპარკში ჩატარდეს, სადაც უნიკალური ინფრასტრუქტურაა ასეთი ფესტივალის ჩასატარებლად. ამით რუსთავი სრულიად ახალ სივრცეში შეიძინა. ის გახდება კულტურულ-ტურისტული ცენტრი. ჩვენ ველოდებით რამდენიმე ათეულ ათას ტურისტს უცხოეთიდან. ველოდებით უამრავ სტუმარს, მსოფლიო დონის დიჯეებს, მათ შორის ქართველი დიჯეებიც გამოვლენ. თავისი ახალი რეპერტუარით ნინა სუბლატიც წარსდგება ფართო აუდიტორიის წინაშე. დიდი მადლობა ბატონ დავით ჯიქიას, რუსთავის მერობის კანდიდატს „ქართული ოცნებიდან“, რომლის მერობის პერიოდში ამ ფესტივალის შესახებ დაიწყეთ საუბარი. მან ფესტივალის სამზადისში დიდი დახმარება გაგვინა.

- რატომ მოგიწიათ ამ ფესტივალის საქართველოში ჩატარება?



- მე ამ მუსიკას არ ვუსმენ, ბოლომდე ჯაზის ერთგულად ვრჩები. თუმცა რეალურად ვაღიარებ და რასაც ჰქვია ელექტრონული საცეკვაო მუსიკა, უფრო და უფრო მეტ აუდიტორიას კრებს. ამას ფეხი ჩვენი ავუწყვეთ და გვინდა, რომ თავი მოვსინჯოთ. პირველი ლიცენზიანტი ფესტივალია, რომლის ლიცენზიაც შევიძინეთ.

დავით ჯიქია: - ეს მართლაც არაჩვეულებრივი ფესტივალი იქნება. მსგავსი ღონისძიება ხელს შეუწყობს რუსთავის განვითარებას. რუსთავი გამოცოცხლდება.

პრეზენტაცია ესწრებოდნენ „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეები. ისინი მხარს უჭერდნენ ნინას, ინტერესით უსმენდნენ ახალი ალბომიდან შესრულებულ სიმღერებს. როგორც ნინამ „პრეპრეზენტაციას“ საუბარში აღნიშნა, ალბომზე ერთი წელი იმუშავა.

ნინა სუბლატი: - ეს დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის ეს სიმღერები. ყველაზე მეტად მთელ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად გამეკეთებინა ჩემთვის საინტერესო და თანამედროვე მუსიკა. ისეთი მაგარი რაღაცები შეიქმნა ამ ალბომისთვის, ვფიქრობ, ეს ალბომი იქნება პირველი ისეთი შემთხვევა, როდესაც მსმენელი აუცილებლად იტყვის - ყოჩაღ, ნინაო. დიდი იმედი მაქვს, რომ მოგეწონებათ. მადლობა „ბრავოს“ შემოქმედებით ჯგუფს.

რომელი სიმღერა გიყვარს განსაკუთრებულად?
- ხუთივე, რომელიც მე დავწერე.

ჯიჯის ფოტო მოგონს ალბომის გარეკანზე?
- ძალიან მომწონს ჯიჯის ფოტო.

ზაზა შენგელია: - ეს ალბომი აზროვნებითაა შენიჭებული, სინტეზის და სხვადასხვა „ბრავო რეკორდსის“ ისტორიაში. ეს იყო პირველი ალბომი, სადაც დამკვეთს სრული თავისუფლება მიეცა. ტექსტი, არანჟირება, ალბომის სტილისტიკა ნინამ თავად გადაწყვიტა. თავის ფანტაზიას გასაღებია მისი. ეს იყო ძალიან გულწრფელი მუშაობა. თავი გამოამჟღავნა, როგორც მუსიკალურმა პროდიუსერმა. დიდი მადლობა ყველას, ვინც

რუსთავის მოტოპარკში ელექტრონული და საცეკვაო მუსიკის ბრიტანული ფესტივალი „Global Gathering 2014“ ტარდება

დაწყვიტა. თავის ფანტაზიას გასაღებია მისი. ეს იყო ძალიან გულწრფელი მუშაობა. თავი გამოამჟღავნა, როგორც მუსიკალურმა პროდიუსერმა. დიდი მადლობა ყველას, ვინც

- ეს არის დემიან რაისის სიმღერა, მეათე თრექი. მანქანაში ვუსმენ და შემეფიქვარდა. მას ნინამ მეუღლის თანხლებით ასრულეს. სხვათა შორის, ალბომში შესულ ქვეყნებში ირაკლი ჩარკვიანის „ნაიარევისაც“ შევიდა.

ლევან მასპინძელაშვილი:
- ძალიან მიხარია ნინას წარმადობას.



ნინა სუბლატი:
„ეს ალბომი იქნება პირველი ისეთი შემთხვევა, როდესაც მსმენელი აუცილებლად იტყვის - ყოჩაღ, ნინაო“



ამ ალბომზე იმუშავა. პირადად მე, როგორც რეკორდლეიბლის ხელმძღვანელმა, დიდი სიამოვნება განვიცადე ამ მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას. ალბომში შესული ხუთი სიმღერის ტექსტი ნინას ეკუთვნის და ჩემთვის აღმოჩენა იყო ის, რომ ნინა ტექსტებს წერს.

- თქვენთვის რომელია განსაკუთრებით საყვარელი სიმღერა ამ ალბომში?

ატება. ეს ყველას უნდა უხაროდეს. ასეთი კარგი და ხარისხიანი ალბომის ჩანერა არამხოლოდ ნინას, ბევრი ადამიანის გამარჯვებაა.

ელენე კალანდაძე: - ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ძალიან კარგი ალბომი გამოვიდოდა. ის ერთ-ერთი ჩემი ფავორიტი შემსრულებელია, მე მისი ხმის ტემბრის თავისებურებას ვარ. ვუსურვებ ძალიან დიდ წარმატებას. ეს არის იმ კატეგორიის ადამიანი, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევს.

euro pe-bet.com

12 ივნისიდან - 13 ივლისამდე
ონლაინ ტოტალიტორის
გათამაშება
მოიგე JAGUAR XJ

მიიღე ყოველ 5 ლარზე 10 ბილეთამდე




JAGUAR

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ - „კრაიმბაიზისა“ და

მაგდა კლდიაშვილი

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ - ასე ჰქვია „კრაიმბაიზისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ პროექტს, რომელმაც სტარტი 13 ივნისს აიღო. პროექტის პირველი სტუმრები, ვეტერანი ფეხბურთელები და ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები, მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული ესპანეთი-ჰოლანდიის დაპირისპირებას „ევროპაბეთის“ „თბილისი ცენტრალის“ ფილიალში დაესწრნენ.

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ - ქართველ გულშემატკივარს საშუალებას აძლევს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად უყუროს და მათი პროგნოზები გაითვალისწინოს.

„ევროპაბეთმა“ პროექტის სტუმრებს სპეციალური ბილეთები დაუზღავდა. მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული არგენტინას გულშემატკივრობენ და დარწმუნებულები არიან მის გამარჯვებაში.


„ბაზელის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ესპანეთი-ჰოლანდიის მატჩის დაწყებამდე საკუთარი პროგნოზი გააკეთა და ფრე ივარაუდა, თუმცა ამჯერად, ყაველაშვილს ინტუიციამ უმტყუნა და ალბათ, მხოლოდ მას არა - ბევრისთვის მოულოდნელად, მსოფლიოს ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი, ლუის ვან გაალის შეგირდებმა 5:1 გაანადგურეს.

ვეტერანი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატს პროფესიული კუთხით უყურებენ და აფასებენ. ისინი თვლიან, რომ ევროპული გუნდები ფიზიკურად სხვა კონტინენტის გუნდებზე უკეთ არიან მომზადებული.

მიხეილ ყაველაშვილის პროგნოზით, მსოფლიო ჩემპიონატზე უფრო მეტ წარმატებას ევროპული გუნდები მიაღწევენ.

„ვერ გეტყვით, სამხრეთ ამერიკაში რამდენად დარჩება თასი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ევროპული გუნდები ფიზიკურად უკეთესად არიან მომზადებული, თუმცა ჯერ მხოლოდ ახლახან აიღო სტარტი მსოფლიო ჩემპიონატმა და ვნახოთ, შეფასებები შემდეგ გავაკეთოთ.“

ჯამარაული და ყაველაშვილი ფიქრობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატს არგენტინა მოიგებს, ყაველაშვილმა ეს „ევროპაბეთის“ მიერ, სპეციალურად მისთვის დამზადებულ ბილეთზე დააფიქსირა, თუმცა ამბობს, რომ მისთვის უფრო მეტად საინტერესო წმინდა საფეხბურთო დეტალებია.



„ორმილიონიანი ბილეთი შევავსე, არგენტინაზეც დავაფიქსირე, რომ გულშემატკივრობ და მიინდა, მსოფლიო მოიგოს, ეს უფრო გართობაა, თუმცა პროექტი შედგა. პროფესიული თვალსაზრისით უფრო მეტი ინტერესი მაქვს, რა სიახლეები მოხდება, ვინ იქნებიან წარმატებული ფეხბურთელები, ვინ მოახერხებს თავის გამოჩენას. ამ ყველაფერზე ატმოსფეროც მოქმედებს. ბილეთიც თუ გამართლდა, ამას რა სჯობს“, - ამბობს მიხეილ ყაველაშვილი.

ფეხბურთელები მსაჯობის თემასაც ეხებიან და ამბობენ, რომ პირველ ტურში ბრაზილია-ხორვატიის დაპირისპირებისას მსაჯს გადამეტებული სიმპათიები ჰქონდა მასპინძელი გუნდის მიმართ.

მიხეილ ყაველაშვილი: - საინტერესო სტარტი ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატს. იყო ვარაუდები, რომ სენსაციით დაიწყებოდა, როგორც ეს სხვა მსოფლიო ჩემპიონატებზე მომხდარა და ბრაზილია-ხორვატიას მატჩში, მართლაც იყო ალბათობა, სენსაცია მომხდარიყო.

რომ არა, მსაჯის გადამეტებული სიმპათია, შესაძლოა, ესეც გვეხილა. თავისთავად, საინტერესო მატჩი გამოდგა. ჯერჯერობით ძნელია პროგნოზების გაკეთება. ბრაზილია მასპინძელი ქვეყანაა და ის, რომ მსაჯებს მათ მიმართ



„ევროპაბეთის“ მორიგი სარუჟარი მომხმარებელს - ერთი ილზლიანი „იაბუარის“ მფლობელი გახდება

„ევროპაბეთის“ წარმომადგენელი, გიორგი აფციაური ამბობს, რომ ეს პროექტი მისთვისაც საინტერესოა, რადგან ითვალისწინებს

პროფესიონალების რჩევებს სხვადასხვა თამაშებზე და მათთან ერთად თამაშის ყურებას ერთგვარი სიამოვნებაა. აფციაურსაც, სტუმ-



გიორგი აფციაური: „ჩვენს სტუმრებს საკუთარი ფავორიტი ჰყავთ, ეს არგენტინის ნაკრებია, თუმცა, მაინც დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატს ისევ ესპანეთი მოიგებს“



გადამეტებული სიმპათიები ექნებათ, ალბათ, ჩვეული მოვლენაა.

მსაჯობის პრობლემა ყველა ასეთ დიდ საფეხბურთო ზემოს ახლავს თან. ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ ევროპელი არბიტრები გაცილებით უკეთესად არიან მომზადებულნი, ვიდრე სხვა კონტინენტის მსაჯები, ამიტომ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მსაჯთა კორპუსის კვალიფიკაციის მომზადებაზე საუბრობენ.

მიხეილ ყაველაშვილი: - ფეხბურთი დინამიკური გახდა, მსაჯების პრობლემებმა კი იმატა. მესმის, რომ მათ წამის მეთაველებში უწევთ გადანაცვლებების მიღება, ეს მარტივი არ არის. უფრო 5 მსაჯის გამოყენების ნება დართო, ფიფამ კი ამაზე უარი განაცხადა. ყოფილა თამაშები, 25 მსაჯს უმსაჯია, მაგრამ იგივე შეცდომები დაუშვიათ არბიტრებს. ესეც ფეხბურთის ნაწილია. რა შეხვედრებსაც ვუყურე, ორ მათგანში ისეთი შეცდომები მოხდა, რომ შედეგზე აისახა ეს ყველაფერი. ამიტომ, ჯერჯერობით, ევროპელი მსაჯები, ამ მხრივაც, უფრო მომზადებულიები ჩანან. ფეხბურთის მმართველმა ორგანოებმა უნდა გაააქტიურონ სხვა ქვეყნის მსაჯების მიმართ მოთხოვნები, ეს პროფესია უფრო მეტად უნდა იყოს დატვირთული, პასუხისმგებლობა დიდია. მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს, ველარავინ გამოასწორობს.



EXCLUSIVE



მიხეილ ყაველაშვილი: „ვფიქრობ, პროექტი უაღრესად“

რების მსგავსად, საკუთარი ფავორიტი ჰყავს. „ევროპაბეთმა“ „პრაიმტიმთან“ ერთად მშვენიერი პროექტი წამოიწყო. ეს პროექტი გულშემატკივრისა და ფეხბურთელების უფრო მეტად დაახლოებას ისახავს მიზნად - ანუ, ჩვენი ფე-

ხბურთელები მოდიან „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალში, წერენ ერთ სიმბოლურ ბილეთს, უყურებენ ფეხბურთს ქართველ ქომაგებთან ერთად. ეს მეც მსიამოვნებს. ჩემ გვერდით ზის, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს,

უყურებს ფეხბურთს და მეც მასთან ერთად ვუყურებ. მართალია, ჩვენს სტუმრებს საკუთარი ფავორიტი ჰყავთ, ეს არგენტინის ნაკრები, თუმცა, მაინც დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატს ისევ ესპანეთი მოიგებს“, - განაცხადა „ევროპაბეთის“ წარმომადგენელმა.

ცოცხალ ლეგენდასთან, ალექსანდრე იაშვილთან შეხვედრის ბედნიერება ექნებათ. ამის შესახებ უკვე სამაბათს „პრაიმტიმის“ სატელევიზიო სიუჟეტ-

ში მოგიხრობთ, ხოლო რეპორტაჟს, „ევროპაბეთის“ „ბეთშოპიდან“ გაზეთი „პრაიმტიმი“ 23 ივნისს შემოგთავაზებთ.



„ევროპაბეთის“ „თბილისი ცენტრალის“ ფილიალში ბევრი ადამიანი მოსული, მათ შორის უცხოელებიც. ერთ-ერთი შეგნაკიანი სტუმარი, ჩვენდა გასაკვირად, ესპანეთის ნაკრების ქომაგი აღმოჩნდა, თუმცა შინ ისიც იმედაცრუებული დაბრუნდა, თუმცა „პრაიმტიმთან“ საუბარში, აღნიშნა, რომ ამ ადგილს ხშირად სტუმრობს, რადგან მისთვის კომფორტული გარემოა.

სხვა სტუმრებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ, ზოგიერთი მათგანი იტალიას გულშემატკივრობს, ზოგი - არგენტინას, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ „ევროპაბეთს“ მათთვის სასიამოვნო გარემო აქვს შექმნილი და მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზეც კარგი კოეფიციენტები აქვთ დანესებული.

„ევროპაბეთს“ ონლაინტოტალიზატორის მომხმარებლისთვისაც აქვს სიურპრიზი მომზადებული. 12 ივნისიდან, 13 ივლისამდე, ყველა ის ადამიანი, ვინც 5-ლარიან ბილეთს განათავსებს, ტოტალიზატორისგან გათამაშების 10 ბილეთამდე მიღების შანსი აქვს. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს, „ევროპაბეთის“ ერთი ილბლიანი მოთამაშე ავტომობილ - „იაგუარის“ მფლობელი გახდება.

თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. „პრაიმტიმის“ შემდეგი გაჩერება, „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალია. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს,





გაზეთი „პრაიმტაიმი“ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის ჯილდოს მფლობელი გახდა

EXCLUSIVE
„მა მიყვარს ნიბნი“



**ბიბლიოთეკაში
გაცოცხლებული
ნანარმოების
გმირები**

EXCLUSIVE
თეატრები და
თეატრალები
ჩვენს ქალაქში



EXCLUSIVE

ISSN 1987-7404



EXCLUSIVE

„ზაზა შენგელია: „ეს ალბომი აბსოლუტურად უნიკალური, საინტერესო და სპეციფიკურია „ბრაჰო რეჟორდის“ ისტორიაში. ეს იყო პირველი ალბომი, სადაც დამკვეთს სრული თავისუფლება მიეცა. ტექსტი, არანჟირება, ალბომის სტილისტიკა ნინამ თავად გადაწყვიტა. თავის ფანტაზიას გასაქანი მისცა. ეს იყო ძალიან გულწრფელი მუშაობა“

EXCLUSIVE

„Dare To Be Nina Sublatti“-ზე ნინამ ერთი წელი იმუშავა

„ბრაჰო რეჟორდსმა“ ნინა სუბლატის ალბომი გამოუშვა

გიორგი სიბუას ოჯახური EXCLUSIVE პორტრეტი

„მე უკვე, ჩემი ასაკისთვის, ბევრი რამ მოვასწარი. 32 წლის ასაკში მოვახერხე 19 პროფესიის გამოცვლა, 12 ქვეყანაში ცხოვრება, 9 ენის შესწავლა, 4 შვილის ამქვეყნად მოვლენა. აღმასვლა, დაღმასვლა, დევნილობა და კარიერის შექმნა“